# საერთო გაზეთი

№30 (342) • 7 ოქტომბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ვახტანგ ხარჩილავა: დიახ, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ „ნაციონალები" ქვეყანაში დიდი არეულობის მოწყობას გეგმავენ!



## `naruSilovka~ nacmoZraobisTvis



ქართული სახელმწიფოს მომავალი იმაზეა დაფუძნებული, როდის გაიტანენ „გრელანდიას" ანუ როდის გაწმენდენ ძალოვან სტრუქტურებს ნაცმოძრაობის მეხუთე კოლონისგან?

## ვალერი კვარაცხელია:



შევარდნაძე იყო მოღალატე! თუ რაიმეს მიაღწია პოლიტიკურ კარიერაში, მიაღწია ღალატით და მხოლოდ ღალატით. შეიძლება ითქვას, ის პროფესიონალი მოღალატე იყო...

## გენმოდიფიცირებული გენოციდი




**აიკრძალება თუ არა საქართველოში კეთილშობილი იდეებით „შეფუთული" ქიმიურ-ბიოლოგიური იარაღის შემოტანა?**

## „ჰიტლერს რომ „რუსთავი-2" ჰქონოდა..."

— ეგენი ისეთი გათახსირებულები არიან, ეკუთვნით, „ლომი" (ძალაყინი) გააცხელო და ცივი მხრიდან გაუკეთო უკან სათითაოდ. — თქვა ერთმა.

— ცივი მხრიდან, რატომ? — ჩაეძია მეორე.

— გამოლება რომ მოუნდეთ, ხელი ვერ მოკიდონ, — დაუზუსტა „იდეის ავტორმა".

გათახსირებულებში ვინ იგულისხმა „იდეის ავტორმა", ამის თქმას ნუ მომთხოვთ, იმედია ისედაც მიხვდებით...

## ვაშინგტონი და მოსკოვი ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ სირიაში და არა ერთმანეთის წინააღმდეგ



**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# დიახ, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ „ნაციონალები“ ქვეყანაში დიდი არეულობის მოწყობას გეგმავენ!



ვახტანგ ხარჩილავა

ამ რამდენიმე კვირის წინათ „საერთო გაზეთში“ სოსო მანჯავიძესთან ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელსაც დიდი ხმაური და ვნებათაღელვა მოჰყვა. თუმცა გავიდა სულ მცირე ხანი და ბატონი სოსოს მიერ გაჟღერებული ვერსიები „ნაცმოძრაობის“ მიერ დაგეგმილი პროვოკაციების შესახებ კიდევ რამდენიმე ადამიანმა გაიმეორა.

ამასობაში გაჩნდა კიდევ უფრო საგანგაშო ინფორმაცია, რომ მზადდება ტერორისტული აქტი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს ინფორმაციები, და, საერთოდ, არსებობს თუ არა ამ ვერსიების დამამტკიცებელი რაიმე კონკრეტული მასალა, თუმცა „ნაცმოძრაობის“ მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ აქციებს, მათ განცხადებებს, მათ აგრესიულ რიტორიკას თუ დავაკვირდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ნაცმოძრაობა“ რაღაც დიდ უბედურებას უმზადებს ქვეყანას.

მართალია, ამ ვარაუდის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული დოკუმენტი და სამხილი არ მაქვს, სამაგიეროდ, მაქვს ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც თავისთავად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ **„ნაცმოძრაობა“ დიდი პროვოკაციისთვის ემზადება. უფრო ზუსტად, უნდა მას ეს თუ არა, ის იძულებულია იაროს პროვოკაციების და დესტაბილიზაციის გზით, რადგან მისი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის გადარჩენის სხვა ვარიანტი არ არსებობს.**

მოდით, ბოლოდან, ანუ მომავალი საპარლამენტო არჩევნებიდან დავიწყოთ.

მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობა“ ომახიანი ხმით გაჰყვირის, რომ მისი რეიტინგი მაღლა იწევს და ის არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს, „ნაცმოძრაობამ“ შესანიშნავად იცის, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ის სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწევს, უფრო მეტიც, საერთოდ ვერ მიაღწევს ვერანაირ წარმატებას.

**2016 წელი, ეს იქნება 2012 წლის ოქტომბერში დაუმარხავი „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური დასაფლავების წელიწადი.**

ძალიან მცირე შანსია, თითქმის გამორიცხულია, რომ ეს დაუმარხავი მკვდარი, რომელსაც ხრწნის და ლპობის სუნი ასდის, რომელიმე პარტიამ ან კოალიციამ შეიკედლოს.

დღეს თუ ვიღაცები ეკეკლუცებიან და ეფარისევლებიან „ნაცმოძრაობას“, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ვიღაც-ვიღაცები პოლიტიკური ხარაკირის გაკეთებას აპირებენ და პოლიტიკურ ბატალიებში „ნაცმოძრაობასთან“ ერთად აპირებენ ბრძოლას.

დიახ, სერიოზული პოლიტიკური პარტიებიდან არავინ არ აპირებს „ნაცმოძრაობასთან“ დამმობილებას, რომ ამით მათი ცოდვების თანაზიარი გახდეს.

**„ნაცმოძრაობა“ 2016 წლის არჩევნებში მარტოობისთვის არის განწირული, მარტო კი მას გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს.**

მოკლედ რომ მოვჭრათ, 2016 წლის არჩევნებში „ნაცმოძრაობას“ სრული ფიასკო ელოდება, რაც, როგორც ვთქვით, შესანიშნავად იცის თვით „ნაცმოძრაობამ“.

გამომდინარე აქედან, „ნაცმოძრაობას“ ხელს აძლევს მოვლენათა განვითარების ერთადერთი ვარიანტი — საქმე არ მივიდეს ნორმალურ, ასე თუ ისე დემოკრატიულ და სამართლიან არჩევნებამდე, ამისთვის კი საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ქაოსი, არეულობა, დესტაბილიზაცია.

**„ნაცმოძრაობისთვის“ უაღრესად ხელსაყრელი იქნება თუ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვრამდე ან უფრო კარგი მათთვის — სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა.**

აი, აქ, ასეთ სიტუაციაში, ასეთ კრიზისულ ვითარებაში უჩნდება შანსი საერთაშორისო ძალების ერთი ნაწილისაგან ზურგგამაგრებულ „ნაცმოძრაობას“ მღვრიე წყალში ოქროს თევზი დაიჭიროს და ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამომყვანი ერთადერთი პოლიტიკური ძალის როლი მოირგოს.



„ნაცმოძრაობას“ რომ ასეთი გეგმა აქვს, ეს თუნდაც მათ მიერ გაჟღერებულ მოწოდებაში გამჟღავნდა — „ნაციონალები“ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვენ!

ერთი შეხედვით, რა ლოგიკაა ამაში?! არჩევნები ხვალ არის და დღეს რა ვადამდელ არჩევნებს უნდა ითხოვდე, მაგრამ სწორედ ამ ალოგიკურობაშია ის ლოგიკა, რაც „ნაცმოძრაობას“ თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად სჭირდება.

ცხადია, ვადამდელი არჩევნები არ შეიძლება ჩატარდეს ისე, უმიზეზოდ, უარგუმენტოდ, უმოტივაციოდ.

**ვადამდელი არჩევნები რომ დაინიშნოს, ამისთვის ქვეყანაში საგანგებო ვითარება, უკიდურესად კრიზისული სიტუაცია უნდა შეიქმნას.**

**აი, ამ კრიზისული სიტუაციის შექმნას აპირებენ „ნაციონალები“, აქეთკენ მიჰყავთ პროცესები. აი, ეს არის ის პროვოკაციული, ქვეყნისთვის უაღრესად დიდი საფრთხეების შემცველი გეგმა, რომელსაც „ნაციონალები“ ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებენ.**



მიუხედავად იმისა, რომ არ მაქვს კონკრეტული სამხილები, არ მაქვს კონკრეტული ფაქტები, იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან იკვეთება, მაინც მივედი იმ დასკვნამდე, რომ „ნაციონალები“ ქვეყანაში დიდი არეულობის მოწყობას გეგმავენ.

როგორ და რანაირად აპირებენ ისინი ამ გეგმის სისრულეში მოყვანას, ამის გასარკვევად და დასადგენად იმ სტრუქტურებმა უნდა იმუშაონ, რომლებსაც სამსახურებრივად ევალებათ პრევენციული ზომების მიღება ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად.

დიახ, ნაციონალები ქვეყანაში დიდი არეულობის მოწყობას აპირებენ, რამაც შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს — ასეთია ჩემი პროგნოზი, თუმცა აქვე მინდა შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებს ერთი თხოვნით მივმართო — ნუ დამიძახებთ დაკითხვაზე და ნუ მომთხოვთ იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რაზე დაყრდნობით ვაკეთებ ამგვარ საგანგაშო პროგნოზს.

ხომ გითხარით, არ მაქვს მე არანაირი დოკუმენტები და ფაქტები, მაქვს მხოლოდ ლოგიკური აზროვნების უნარი.

ჰოდა, თუ თქვენც მიჰყვებით ლოგიკას, ზუსტად იქ მიხვალთ, სადაც მე მივედი, დანარჩენი კი თქვენ იცით და თქვენმა პროფესიონალიზმმა.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# უმადურობის სინდრომი

## სამი 1 ოქტომბერი — ვინ იხეირა და ვინ იზარალა?

სამი წელი გავიდა რაც საქართველომ მართლაც რომ ქედიდან მოიხსნა სააკაშვილის ხელისუფლების სისხლიანი უღელი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხს სიბრძნეზე გაცილებით მაღალი დოზით გულმავიწყობა დასჩემებია და კიდევ, ანალიზის უნარი მეტად დაჰკარგვია, ვიდრე ჰქონდა. თუ ეს ასე არ არის, აბა, რას უნდა ნიშნავდეს რიგითი ადამიანების პრეტენზიები და გულისწყრომა, ყველა მათგანი ხომ „ნაცკოორდინატორი“, „ნაცმოძრაობისგან“ რაღაცით დავალებული ან უბრალოდ, ინტრიგანი არ არის?

მარტივად ვთქვათ — უპირველესად ასობით უკანონო პატიმარი გათავისუფლდა სასჯელაღსრულების ადგილებიდან (კანონიერად დაპატიმრებულებიც კი გამოჰყვნენ ამ ტალღას);

ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლების მხრიდან ათასობით ადამიანის წამება, სადისტური ცემა-გვემა, გაუპატიურების მუქარა და გაუპატიურება შეწყდა არა მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პოლიციის განყოფილებებში, მოდულის შენობასა და სხვა ე.წ სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ კერძო საკუთრების სხვადასხვა ადგილებში, ბუნებასა თუ მიტოვებულ შენობებში;

ბიზნესის „სავალდებულო რეკეტი“, ჩამორთმევა, მიტაცება და ა.შ იმდენად შეწყდა, რომ ფაქტები, ყოველ შემთხვევაში აღარ ხმაურდება.

ყველა მედია-საშუალება, რომელიც „ნაცმოძრაობის“ შვილობილი იყო ჟურნალისტებიანად, ფაქტობრივად, კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ სამსახურშია, ზოგადად კი, ყველა მათგანი ისეა მიშვებული, რასაც მოისურვებენ იმ ლაფს ესვრიან ვისაც მოისურვებენ და რა უმსგავსობის პროპაგანდასაც მოისურვებს დამკვეთი, იმას ავრცელებენ — კაცი არაა მომკითხავი და თითის დამქნევი, ანუ აბსოლუტურად თავისუფალია მედია, თვით შინაგანი ცენზურისგანაც კი. მეტიც, სექსუალურ მარაზმსა და აღვირახსნილობაშია გადაშვებული;

ვისი ტელევიზია ვისაშია და ვისი რომელია, საჯარო რეესტრს ცალკე აქვს აბნეული ტვინი, ნოტარიუსებს ცალკე და კანონიერ მფლობელებს ცალკე, ანუ ვინ ვის „ახია“, თვითონაც კი აერიათ რიგითობა და ამ ყველაფერზე თანდართული, რომელ კონკრეტულ ტელევიზიას რამდენი ათეული მილიონი აქვს გადანთქმული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გვერდითი გზებით და ვისი მეშვეობით, არავის აინტერესებს და აგრძელებენ ჩვეულ მავნებლობას;

რიგითი ადამიანების თუ პოლიტიკოსების იმ განცხადებებსა და ქმედებებზე, რასაც სააკაშვილის რეჟიმის დროს, გარკვეულ მიზეზთა გამო კონკრეტულ განმცახდებლებს თუ არა მათ ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს ციხეში გამოალპობდნენ სხვადასხვა ბრალდებით, ან საპროცესო გარიგებით უსახლ-კაროდ დატოვებდნენ.

აქვე, იხეირა მან, ვინც იგივე თვისებები გამოავლინა და 2012 წლამდე დროულად გადმოეწერა დღევანდელი ხელისუფლების ბანაკში;



ჩამონათვალი ვრცელია და მოიცავს ყველა სფეროს, დაწყებული ჯანდაცვით, დამთავრებული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობით, მაგრამ სოციალური სფეროები დროებით განზე გავწიოთ, რადგან ხალხის უკმაყოფილების მიზეზი ის კი არ არის, რაც კეთდება, ანუ რაც იხეირა, არამედ ის, რაც არ კეთდება.

მიუხედვად იმისა, რომ ძალზე კმაყოფილები უნდა იყვნენ, უკმაყოფილოები არიან დამნაშავე რეჟიმის შემქნელ-შემოქმედებიც, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სამი კინკილა თავკაცი ჰყავთ გისოსებსმიღმა და მხოლოდ რამდენიმე სადისტი შემსრულებელი, თუმცა, გულში, ალბათ, ღმერთს მადლობას სწირავს თითოეული მათგანი, რომ მეოთხე კაცად თვით არ არის მითვლილი, რაც აბსოლუტურად კანონიერი იქნებოდა;

აქვე, უკმაყოფილოები არიან ვითომ, მაგრამ სახეზე ეტყობათ ყმაყოფილება ახალი ხელისუფლების იმ შტოს წარმომადგენლებს, ვისაც კანონის აღსრულება ევალებათ, მაგრამ არავინ ავალებს და არ მოუწიათ ტვინის ჭყლეტა იმაზე, როგორ აღესრულებინათ სამართალი სისხლის სამართლის იმ დანმაშავეების მიმართ, რომელებთანაც გუშინ და გუშინწინ ერთად ტეხდნენ პურს;

ყოველგვარ უკმაყოფილებას კმაყოფილებით ხვდებიან, ანუ მარადიულ კმაყოფილებაში იმყოფებიან არცთუ გაურკვეველი წარმოშობის, დანიშნულებისა და დაფინანსების მქონე ე.წ დასავლური ღირებულებების „მეტრები“, რომელთა გრანტების რაოდენობაც ლამის საქართველოს ბიუჯეტზე მეტია — არანაირი სარგებლობის მომტანი, პირიქით, სახიფათოდ „დალატკული“ მეხუთე საბურავი;

ამ მცირე ჩამონათვალიდანაც კი აშკარად ჩანს, ვინ რა იხეირა და არის თუ არა ეს მართებული, ან უბრალოდ, კარგი, მაგრამ ახლა ერთი უმარტივესი კითხვა დავსვათ: — რომ არა ბიძინა ივანიშვილის სწორი სვლები შინ თუ გარეთ, შეძლებდა თუ არა საქართველოს მოსახლეობა სისხლით ან უსისხლოდ, თავიდან მოეშორებინა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი?

პასუხი ცალსახაა: — არა, ვერ შეძლებდა!

ახლა, ეს ვიკითხოთ: — მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დანაპირები სრულყოფილად ვერ შეასრულა, დღეს რომ 2012 წლის 1 ოქტომბერი იყოს და იგივე არჩევანის წინაშე იდგეთ, ვის მიცემდით ხმას?

პასუხი ცალსახაა: — „ქართულ ოცნებას“!

აი, ამ შემთხვევაში კი ცოტა „ვიჭედებით“ — ხალხმა ხმა მართლაც მისცა „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ეს „ოცნება“ გაიგივებული იყო ბიძინა ივანიშვილთან, მის დაპირებებთან და არა ცალკეულ პირთა, ან პირთა ჯგუფის ოცნების ასრულებასთან...



**ვიკითხოთ, რა სარგებელი მიიღო ბიძინა ივანიშვილმა 1 ოქტომბრით? — ერთადერთი, თუ მანამდე მხოლოდ მისი გვარ-სახელი ჰქონდათ გაგონილი აქა-იქ, ახლა ყველამ იცის მისი არსებობის შესახებ და ცნობენ სახეზეც.**

**ასევე, გაიგო ხალხმა, რომ მას ჰყავს შვილები და ჰყავს მეუღლე.**

უფრო საინტერესო ბიძინა ივანიშვილის საქართველოში გამოჩენა და მისი პოლიტიკაში ფეხისშემოდგმის ვერსიებია.

ვერსია I — აღარსად დაედგომებოდა და ფულის საშოვნელად დაბრუნდა.

კაცი, რომლის პირადი ქონება საქართველოს ბიუჯეტს უტოლდებოდა, იმ ქვეყანაში დაბრუნდა ფულის საშოვნელად, სადაც იქით არიგებდა ფულს? მითუმეტეს, სადაც სიცოცხლის ხელყოფის საფრთხის ქვეშ უნდა დაეყენებინა საკუთარი თავი და საკუთარი ოჯახის წევრები? კაცს, რომელსაც საშვილთაშვილოდ უზრუნველად ცხოვრება შეეძლო მსოფლიო ყველა კუთხეში?

ვერსია II — ხელისუფლების ხელში ჩაგდება სურდა.

ხელისუფლებაც ხელში ჰქონდა და თვითონ აფინანსებდა გარკვეული დროით იმ ხელისუფლებას, პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც დღემდე ტყვიასავით ეშინია მისი გვარის ხსენებისაც კი, უარს შეჰბედავდა ნებისმიერ პოსტზე? თუ საკუთარსავე მონაპოვარ ხელისუფლებაში ვერ დარჩებოდა მმართველად?

ვერსია III — პუტინის კაცია და რუსეთის კაცია.

აქ ცოტა საინტერესოდაა საქმე, აზრთა სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე, რადგან ვიღაცებისთვის პუტინი ცალკე „კაცია“ და რუსეთი — ცალკე; ვიღაცებისთვის — პუტინი და რუსეთი განუყოფელია; ვიღაცებისთვის — პუტინი ცალკე დაჯგუფებაა, რაც დიდ რუსეთს წარმოადგენს, ხოლო რუსეთი ის რუსეთია, რომელიც პუტინს ებრძვის დასავლური ღირებულებების დასამკვიდრებლად.

მოკლედ, რომელი პუტინის ან რომელი რუსეთის კაცია ბიძინა ივანიშვილი თვითონვე გაიხლართნენ ამ ვერსიიის ავტორები და მოწყინდათ აღნიშნული ვერსიით ჩხირკედელობა.

ვერსია IV — რუსეთში „მოღვაწე“ „კანონიერი ქურდების“ მოყვანილია, აბა, რატომ არ ეხებოდნენ მის ბიზნესს მაშინ, როცა რუსეთში ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ერთი თმის ღერი რატომ არ ჩამოუვარდა.

აღნიშნულ ვერსიას ვრცელი გადაცემაც კი მიეძღვნა, მაგრამ მალევე მიინავლა.

ვერსია V — საქართველოს გასანადგურებლად მასონებმა გამოაგზავნეს აშშ-იდან.

ვერც ამ ვერსიამ მოიკიდა ფეხი. მესამე ვერსიიდან, სავარაუდოდ, იმიტომ ვერ გაამართლა ვერც ერთმა ვერსიამ, რომ აღნიშნული „ნიშები“ თვით ამ ვერსიების გავრცელების დამკვეთებს ჰქონდათ და აქვთ დაკავებული და ივანიშვილის ადგილი, უბრალოდ, აღარ იყო დარჩენილი.

ახლა ეს ვიკითხოთ: — 2012 წლის 1 ოქტომბრიდან რა მიიღო თვით ბიძინა ივანიშვილმა?

პასუხი ცალსახაა: — ბევრი მტერი და არანაკლებ ბევრი უმადური და კიდევ შეძახილი „უუუ“!

**გიორგი ჩხეიძე**

# `naruSilovka~ nacmoZraobisTvis

## ქართული სახელმწიფოს მომავალი იმაზეა დაფუძნებული, როდის გაიტანენ „გრელანდიას“ ანუ როდის გაწმენდენ ძალოვან სტრუქტურებს ნაცმოძრაობის მეხუთე კოლონისგან?

სანამ უფრო ფართოდ მიმოვიხილავდეთ ,,ნარუშილოვკის“ წარმომავლობას და დანიშნულებას, რომელზეც ახლა მთელი საქართველო მსჯელობს, მოკლედ გეტყვით, რომ ეს თურმე გახლავთ სპეციალური დოკუმენტი, სპეცსაშვი, რომლის მფლობელიც დაზღვეული ყოფილა, რომ დარღვევის, თუნდაც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში არ დასჯიან, ანუ მისი მფლობელი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს. ვინ გასცა ეს საშვი რიგით მოქალაქეებზე, როგორც ამას ყოფილი პატრულ-ინსპექტორი გიორგი ბაბუნაშვილი და გარკვეული მედიასაშუალებები გვიმტკიცებენ, იმედია გამოძიება დაადგენს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე ის უფრო მაინტერესებს ვინ გასცა ,,ნარუშილოვკა“, თანაც გაფართოებული უფლებებით, უფრო ზუსტად, ყოველმხრივ ხელშეუხებლობის უფლებით ნაცმოძრაობაზე? საზოგადოება სულ იმას ამუნათებს დღევანდელ ხელისუფლებას, რომ ძალოვანი უწყებების სხვადასხვა სამსახურები (მათ შორის პრესსამსახურები) ისევ ნაცმოძრაობის კადრებითაა გაძეძგილი, თუმცა არავინ ცდილობს მათ ,,გაცხრილვას“. თუ ვისაუბრებთ ,,ნარუშილოვკაზე“, როგორც ზოგად ფორმაზე, ამით გარკვეული მედიასაშუალებებიც სარგებლობენ (ამის ყველაზე აშკარა მაგალითია ტელეკომპანია ,,რუსთავი-2“), მათ თურმე რატომღაც ყველაფერი ეპატიებათ. დიახ, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება პირველ რიგში ის გავარკვიოთ ვინ გასცა ,,ნარუშილოვკა“ ნაცმოძრაობაზე, რადგან ყველა უბედურება აქედან იწყება. სახელისუფლებო სტრუქტურებში მეხუთე კოლონის არსებობა იმდენად თვალშისაცემია, რომ ეჭვს აღარ იწვევს, განა ამაზე არ მიუთითებს ის გარემოება, რომ საიდუმლო ინფორმაციები, გასაიდუმლოებული დოკუმენტაცია ხან პრესაში იბეჭდება, ხან ,,რუსთავი-2“-ის ეთერით ჟღერდება. გავიხსენოთ ე.წ. ჩანერგილებთან დაკავშირებული თემა, როდესაც საიდუმლო მასალები (თუმცა მათ ავთენტურობაზე თავს ვერ დავდებ) რომელზეც ხელი მხოლოდ ამ საქმეზე პასუხისმგებელ პირებს მიუწვდებოდათ, სერიულად იბეჭდებოდა ერთ-ერთ გაზეთში. ძნელი გასარკვევი არ იყო საიდან ჟონავდა თუნდაც აგენტურასთან დაკავშირებული ინფორმაციები, დაეკითხათ ის ხალხი ვინც ახმაურებდა თუ საიდან ჰქონდათ, ვინ მიაწოდა, ეს ხომ არ იყო ჩვეულებრივი ინფორმაცია. ამ მასალების გამოქვეყნებიდან თითქმის ორი წელი გავიდა, მაგრამ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია გამოძიებამ რა გაარკვია. ძალოვანი სტრუქტურის რომელი ჭკუათმყოფელი თანამშრომელი გაახმაურებს აგენტების ვინაობას, თუ მას გამიზნული ზრახვა არ ამოძრავებს. ან ვინმეს ბიზნესაქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საიდან ჟონავს, ეს ხომ არ არის საჯარო სამსახურის ინფორმაცია, რომ ოფიციალურად გაწვდიდნენ. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ვინ აწვდის საიდუმლო ინფორმაციებს ,,პრივილეგირებულ“ მედიასაშუალებებს, რომლის ვფიქრობთ, ყველაზე ლოგიკური პასუხია, რომ სწორედ ის მეხუთე კოლონა აწვდის, რომელიც ნაცმოძრაობამ დატოვა თუ შეაგზავნა იგივე ძალოვან უწყებებში, ის არის მათი საყრდენი, რომლის საშუალებითაც ხდება საიდუმლო ინფორმაციების გახმაურება.





### „სპეცოპერაცია“ სპეციალურად ლევან იზორიასთვის და ნათია მეზვრიშვილისთვის?

ვინ იყო გიორგი ბაბუნაშვილი, რომელიც ახლა საზღვარგარეთაა გაქცეული (თუ გააქციეს) - საპატრულო პოლიციის ოფიცერი, ანუ შსს-ს კადრი. მის სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუებს რომ გაეცნობი შთაბეჭდილება დაგრჩება, რომ ეს ადამიანი შეგნებულად, მიზანმიმართულად დასდევდა წინასწარ შერჩეულ ,,სამსხვერპლოებს“, რომლებიც ამ შემთხვევაში პოლიციის მაღაჩინოსნის ლევან იზორიას ძმა, პროკურორი ნათია მეზვრიშვილი და ადვოკატი ირმა ჭკადუა აღმოჩნდნენ. მართალია ქალბატონი ირმა საჯარო მოხელე არ გახლავთ, მაგრამ ის ადვოკატია, რომელიც ყოველთვის ილაშქრებდა ნაცრეჟიმის წინააღმდეგ და ალბათ ამიტომაც გახდა ,,სკანდალური საპატრულო ეკიპაჟის“ სამიზნე. აბა, სხვას რას მივაწეროთ, როცა ამ ქალბატონს დაახლოებით ნახევარკილომეტრიან მონაკვეთში სამჯერ აჩერებენ და მის სიმთვრალე-სიფხიზლეზე შემოწმებას სამი საპატრულო ეკიპაჟის ალკოტესტების მარაგი ,,ეწირება“, პატრულების მხრიდან მიმართვის ფორმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. საბოლოოდ მაინც ვერ გავიგე, რა დაადგინეს პატრულებმა მის სიმთვრალე-სიფხიზლესთან დაკავშირებით, ეტყობა ეს არც აინტერესებდათ. ნათია მეზვრიშვილი კი ის პროკურორია, რომელიც თითქმის ყველა ,,ბობოლა“ ნაციონალის სს-ის საქმეზე ბრალმდებელი თუ ზედამხედველი პროკურორის ფუნქციას ასრულებდა. როგორც იქნა გავარკვიეთ, რომ ნათია მეზვრიშვილს ,,ნარუშილოვკა“ კი არა, ავტომანქანის მინების დაბურვის ნებართვა წარუდგენია პატრულ ბაბუნაშვილისთვის. მაშინ რაში დაჭირდათ პროკურორ მეზვრიშვილის ამ საქმეზე ,,მიკერება“ თუ რაიმე ინტერესი არ არსებობდა მის მიმართ? ეს ქალბატონი სამსახურებრივი ავტომანქანით გადაადგილდებოდა, მე რიგითმა ჟურნალისტმა ვიცი შსს-სა და პროკურატურის კუთვნილი ავტომანქანების სახელმწიფო ნომრები და როგორ დავიჯერო, რომ პატრულ-ინსპექტორმა გიორგი ბაბუნაშვილმა არ იცოდა და შესაბამისად არ იცოდა რომ პროკურატურის კუთვნილ ავტომანქანებს მინების დაბურვის უფლება მინიჭებული ჰქონდათ. რატომ იქცეოდა პატრულ-ინსპექტორი ბაბუნაშვილი ასე, ეხალისებოდა? ეტყობა, მას სპეცდავალება ჰქონდა და იმას ასრულებდა, რის შემდეგაც საზღვარგარეთ გააქციეს, ,,დავალების მიმცემებმა“ როგორც ჩანს, თავი დაიზღვიეს, ეშმაკს არ სძინავს, რა ვიცით ხვალ-ზეგ რას იტყვისო. ლევან იზორიას ადვოკატობას არ ვაპირებთ, მაგრამ მავანთ ისიც რომ თვალში ეკლად ესობათ, გიორგი გაბუნიას გადაცემა ,,არჩევანმაც“ დამარწმუნა, თუმცა ამაზე ქვემოთ. კიდევ რამდენი პოტენციური ,,ბაბუნაშვილია“ შსს-სა თუ სხვა ძალოვან სტრუქტურებში, მომავალში ვინ რა საიდუმლო ინფორმაციას გამოიტანს, ღმერთმა უწყის.






### სად გაქრა სისხლიანი რეჟიმის მამხილებელი დოკუმენტებით სავსე კასრები?

სამეგრელოში ფარული კადრებით გაძეძგილი ათეულობით კასრი აღმოაჩინეს, რომელიც საზოგადოებას არ უხილავს ისე დაწვეს და გაანადგურეს, რისი ,,თავგადაკლული“ ინიციატორი არასამთავრობო სექტორის ის ნაწილი გახლდათ, რომელსაც დამოუკიდებლობა-ობიექტურობაზე აქვთ პრეტენზია, სინამდვილეში კი სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული ნაცმოძრაობასთან. ეს იყო ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი შეტევა ხელისუფლებაზე, სწორედ ეს სამოქალაქო სექტორის სახელით შებურვილი ,,დამრტყმელი ძალა“ გამოუშვეს ასპარეზზე, ნაცრეჟიმის მაკომპრომეტირებელი მასალების გასანადგურებლად. თუ ფარული კადრები ვინმეს პირად ცხოვრებას ეხება, კი ბატონო, გაანადგურეთ, მაგრამ სამაგრელოს სამალავებში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებში ადამიანების ცემა-წამების, ღირსების შემლახავი მოპყრობის კადრები იყო ასახული. ვინმემ ჰკითხეთ იმ ნაწამებ, გაუბედურებულ ადამიანებს თუ იყვნენ თანახმა, რომ მათი მწამებლების მამხილებელი მტკიცებულებები განადგურებულიყო, ვისი აზრია ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი, საზოგადოების თუ ერთი მუჭა გრანტზე გაყიდული ,,ენჯეოშნიკების“? ამ ფარული ჩანაწერების განადგურებამ მავანთ ხელ-ფეხი გაუხსნა, ნაცრეჟიმის დროს რასაც აკეთებდნენ, დღესაც იმავეს ცდილობენ, თავს უშიშრად გრძნობენ, რადგან მათი მამხილებელი მასალები აღარ არსებობს. ვინმემ გამოიკვლია და დაადგინა ვინ არის ეს ხალხი? მედიასაშუალებებით ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი მაღალჩინოსნები კვლავაც აგრძელებენ მუშაობას ძალოვან სტრუქტურებში (პროკურატურასა და სასამართლოზე აღარაფერს ვამბობთ), უფრო მეტიც, მათ აწინაურებენ. რა ლოგიკური ახსნა უნდა მოუძებნო ამ საკადრო პოლიტიკას? თუ ვინმეს ჰგონია, რომ ხსენებულ კადრებს სათავისოდ გამოიყენებს, ძალიან შემცდარა, ისინი დღეს შეიძლება ფორმალურად ეთანხმებიან ხელისუფლებას, მაგრამ თავიანთ პატრონებს ვერ უღალატებენ, გადამწყვეტ მომენტში მათ სურვილებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს შეასრულებენ. ვფიქრობთ, ამის დასტურია პატრულ-ინსპექტორ გიორგი ბაბუნაშვილის შემთხვევაც.

### „ნარუშილოვკა“, რომელიც ნაცებმა ახლა „აღმოაჩინეს“, თვითონ მათ შემოიღეს 2005 წელს

რაც შეეხება უშუალოდ ,,ნარუშილოვკებს“, ისინი 2009 წელს ეტყობა ,,ფართო მოხმარებაში“ შემოვიდა, თორემ გაცილებით ადრე დაუნერგავთ, ოღონდ ისევ ნაციონალების მმართველობისას. როგორც კარგად ინფორმირებულმა სანდო წყარომ გვითხრა, 2005-2006 წლებში სპეცსაშვებით მხოლოდ სოდისა და კუდის თანამშრომლები სარგებლობდნენ, ამ უწყებების ოპერატიულ სამსახურებზე ოფიციალურად 2-3 სპეცსაშვი ყოფილა გამოყოფილი, თუმცა შეიძლება გაცილებით მეტი რაოდენობით არსებობდა. ამ დოკუმენტში არც მოსარგებლის ვინაობა ყოფილა მითითებული და არც ავტომანქანის მარკა და სახელმწიფო ნომერი, მას სპეცდავალებაზე მიმავალ ოპერთანამშრომელზე გასცემდნენ და ამ თანამშრომელს დავალების შესრულების შემდეგ, პასუხისმგებელი პირისთვის უნდა ჩაებარებინა. სპეცსაშვში მითითებული იყო, რომ პატრულს (სხვა პოლიციელსაც) უფლება არ ჰქონდა მისი წარმომდგენისთვის ვინაობა ეკითხა, არც ის სად მიდიოდა და მისი ავტომანქანა გაეჩხრიკა. ამ




საბუთს შს მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი და კონკრეტული დეპარტამენტის ხელმძღვანელი (ერეკლე კოდუა და დათა ახალაია) აწერდნენ ხელს. ეს სპეცსაშვი თურმე იმ მიზნით შემოიღეს, რომ ოპერატიულ დავალებაზე მიმავალი თანამშრომელი არ გაშიფრულიყო, წყაროს ინფორმაციით, სინამდვილეში ეს სულ სხვა მიზანს ემსახურებოდა. აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ თვითონ სოდი და კუდი იყვნენ აქტიურად ჩართული იარაღისა და ნარკოტიკების ბიზნესში, გავიხსენოთ, როგორ დააკავეს სოდის უფროსის მოადგილე მისირელი ნარკოტიკების რეალიზაციის მიზეზით უკრაინელმა სამართალდამცავებმა. მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უშუალო ჩარევა გახდა საჭირო, რომ ეს საქმე ჩაფარცხულიყო. აქედან გამომდინარე, ხსენებული უწყებების თანამშრომლები თუ მათთან „საქმიან" ურთიერთობაში მყოფი პირები „არამკითხე" შემმოწმებლებისგან დაცული უნდა ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, გაუმართლებელია, როცა სპეცსაშვით გარეშე პირი სარგებლობს, მაგრამ ნაციონალები და მათი მართული მედია, იმაზე რატომ არაფერს ამბობს, რომ სპეცსაშვებით და უფრო მეტიც, ოპერატიული სანომრე ნიშნებით არამარტო მაღალჩინოსნების ოჯახის წევრები და ნათესავები, არამედ მათი მთელი სახლობლო სარგებლობდა. ისინი დაზღვეული იყვნენ, რომ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლეც რომ ემსხვერპლათ, ვერავინ დასჯიდა, ელემენტარულად ვერც იპოვიდნენ დამნაშავე მძღოლს. შსს-ს ოპერატიულ სამსახურებზე ათეულობით ამგვარი სახელმწიფო ნომერი იყო გაცემული და რომც დაედგინათ დამნაშავე ავტომანქანის ნომერი, რომელი პატრული გაბედავდა „ელიტურ კასტასთან" დაპირისპირებას. გარდა ამისა, ეს რიგითი მოქალაქეები ძალოვან სტრუქტურებშიც ჰყავდათ გაფორმებული და ბიუჯეტის ხარჯზე ხელფასებსაც უხდიდნენ. როგორც ჩანს ეს ყველაფერი მაშინ არ უკვირდა შოთა უტიაშვილს, რომელსაც შსს-ში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა, ყოველ შემთხვევაში, ამ მახინჯი ფორმის მიმართ მისი პროტესტი მაშინ არავის მოუსმენია. თუ ასეთი სიმართლის მოყვარული კაცია, ხმას რატომ არ იღებდა, მან ხომ შესანიშნავად იცოდა, რაც ხდებოდა? აქაოდა მის ძმას ვადაგასული „ნარუშილოვკა" აღმოუჩინეს, ლევან იზორია უნდა გადადგესო. ნაციონალები იგივეს და უარესსაც რომ აკეთებდნენ, პასუხი არ უნდა აგონ, ეს ყველაფერი ხომ მათი დანერგილია? ღიმილისმომგვრელია ყოფილი პატრულ-ინსპექტორის გიორგი ბაბუნაშვილის ის განცხადება, რომ თურმე არ წაუკითხავს თუ არ დაუმახსოვრებია, ვინ აწერდა ხელს ლევან იზორიას ძმის „ნარუშილოვკას", შემთხვევით სპეციალურად ხომ არ მოხდა „არწაკითხვა-დამახსოვრება", ვინმე ისეთი ხომ არ აწერდა ხელს, რომლის ვინაობის გამჟღავნებაც არ აწყობდათ „ობიექტურ" ჟურნალისტებს, მით უმეტეს, რომ ეს სპეცსაშვი უკვე ვადაგასული ყოფილა? ვფიქრობთ, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ლევან იზორიას ძმას სპეციალურად შეაჩეჩეს ხსენებული სპეცსაშვი, ვიღაც წაემლიქვნელა, რომ მერე მისი ძმის წინააღმდეგ „კომპრომატი" ჰქონოდათ.

### პარტიული „ვენდეტა" „განდგომილთა" წინააღმდეგ

სიმართლე გითხრათ, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ლევან იზორიას წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში, თავისუფალი დემოკრატებიც" იყვნენ ჩართულნი, თეა წულუკიანი და ლევან იზორია ამ პოლიტპარტიის წევრები გახლდნენ, მაშინ, როცა ირაკლი ალასანიამ და მისმა გუნდმა „ქოში უკუღმა ჰყარეს" და ოპოზიციაში გადაბარგდნენ, წულუკიანი და იზორია მათ არ გაყოლიან, რის შემდეგაც არაერთხელ გამხდარან „მშობლიური" პარტიის წარმომადგენელთა კრიტიკის ობიექტი. გადაცემა „არჩევანის" წამყვანი გიორგი გაბუნია ეტყობა ისეა დაინტერესებული ლევან იზორიას გადადგომით, რომ გადაცემის სტუმარ ალექსი პეტრიაშვილს ჩააცივდა, უნდა გადადგეს ლევან იზორია და დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი, კონკრეტულ „ნარუშილოვკაზე" მისი ხელმოწერა რომც არ იყოსო (გაბუნიამ ეტყობა იცის, რომ იზორია არ არის ხელმომწერი), რაზეც „მართალმა" ალექსიმ ხატოვანი პასუხი გასცა „ობიექტურ" გიორგის, არც ერთია მუშნი ზარანდია და არც მეორე დათა თუთაშხია, წყნარად და მშვიდად რომ დაველოდოთ გამოძიებას, ლევან იზორიას მორალურად გადაწყვეტილება უკვე მიღებული უნდა ჰქონდეს, შს მინისტრმა და სუს-ის უფროსმა ხომ თქვეს, ვინც არ უნდა იყოს ყველა უნდა დაისაჯოსო... აქვე წამყვანმა და რესპოდენტმა ეკა ყურშიტაშვილის გაცილებით ტრაგიკომიკური შემთხვევაც გაიხსენეს, თუმცა რატომღაც ნაწილობრივი ამნეზია დაემართათ და სიტყვა არ დასცდენიათ ნაცდეპუტატ გიორგი ბარამიძესა და გიორგი კარბელაშვილზე, რომლებიც „ძაღლებს" დასძახოდნენ და უწმაწური სიტყვებით ლანძღავდნენ პატრულებს. ეს ორმაგი სტანდარტი რას მივაწეროთ ბატონო ალექსი? თქვენ ის დეპუტატი არ ბრძანდებით, რომელიც ტაშის კვრით მიესალმა თავდაცვის მინისტრ ხიდაშელის გადაწყვეტილებას ე.წ. კაბელების საქმეში ბრალდებულების თანამდებობაზე აღდგენას, როდის ხართ გულწრფელი, საქმეს როგორც ჭირდება?





### ვინ გაიტანს „გრელანდიას?"

ვფიქრობთ, სწორია ის მოსაზრება, გიორგი ბაბუნაშვილი მიხვდა, რომ სახელმწიფო არ იდგა მის უკანო, მართალია, აშკარად სხვები იდგნენ, მაგრამ ერთგული, წესიერი ადამიანების უკან უნდა იდგეს სახელმწიფო და ეს თანადგომა იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ ის პოლიციელები, რომლებმაც გუშინ დანაშაული ჩაიდინეს, დღეს სამართალდამცავ სისტემაში აღარ უნდა მუშაობდნენ. ასეთი კადრები კი, როგორც ჩანს ბევრია. თუ ერთბაშად უჭირთ ამ კადრების გაშვება, ისინი მაინც მოიშორონ, რომლებსაც წინა ხელისუფლების დროს მაღალი თანამდებობები ეკავათ და რომლებიც ყველა სიბინძურეში არიან გარეული. „გაცხრილონ" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, პრესსამსახურები, არ უნდა დაინტერესდნენ ვინ არის იქ მომუშავე კადრები? ის ჟურნალისტები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის „ჯიბის ჟურნალისტებად" ითვლებოდნენ, რატომ განაგებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს სფეროს, მერე რომ გიკვირთ საიდან გაჟონა ინფორმაციამო? ხომ არ გონია ვინმეს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის უმნიშვნელო სამსახური უმნიშვნელო სტრუქტურული რგოლია, პირიქით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ის არის დამაკავშირებელი რგოლი. **გვინდა შს ახალ მინისტრს მოვუწოდოთ, ბატონო გიორგი, თქვენს წესიერებასა და პატიოსნებაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ თუ თქვენს უწყებას არ გაწმენდთ საეჭვო კადრებისგან, ეს კადრები უკან მოუტრიალდება მთელ სისტემას. ხომ ხედავთ, „მაღალ დონეზე" ინფორმირებული ჟურნალისტები შემოდგომაზე მეორე „ვარდების რევოლუციას" აანონსებენ, მისი ინფორმატორი „ჩიტიც" კარგად დაძებნეთ თქვენს უწყებაში, მართალია, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ „მთავარი ჩიტი" საზღვარგარეთაა გადახვეწილი ძებნილის სტატუსით, მაგრამ „ბარტყები" დატოვებული ექოლება. არ წამოეგოთ იმ ვერსიას (რაშიც ძალიან ცდილობენ რომ დაგვაჯერონ), რომ ეს „ჩიტი" პინგვინია.**

ქართული სახელმწიფოს მომავალი იმაზეა დაფუძნებული, როდის გაიტანენ „გრელანდიას" ანუ როდის გაწმენდენ ძალოვან სტრუქტურებს ნაცმოძრაობის მეხუთე კოლონისგან?

თუ დროზე არ მოხდება ეს, შეიძლება ამ მეხუთე კოლონამ თვითონ მოინდომოს „ქართული ოცნების" ერთგული კადრებისგან ძალოვანი სტრუქტურების გაწმენდა და ვაი თუ მაშინ გვიან იყოს თითზე კბენანი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# „ჰიტლერს რომ „რუსთავი-2“ ჰქონოდა...“

**— ეგენი ისეთი გათახსირებულები არიან, ეკუთვნით, „ლომი“ (ძალაყინი) გააცხელო და ცივი მხრიდან გაუკეთო უკან სათითაოდ. — თქვა ერთმა.**

**— ცივი მხრიდან, რატომ? — ჩაეძია მეორე.**

**— გამოღება რომ მოუნდეთ, ხელი ვერ მოკიდონ, — დაუზუსტა „იდეის ავტორმა“. გათახსირებულებში ვინ იგულისხმა „იდეის ავტორმა“, ამის თქმას ნუ მომთხოვთ, იმედია ისედაც მიხვდებით...**

ნიკა გვარამიაზე, როგორც ნაცზონდერ ადამიანზე, ჩვეულებრივ ნაცპროკურორზე თუ ფინანსურ მაქინაციაში ეჭვმიტანილ პირზე, ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ამისთვის სქელტანიანი ტომებია დასაწერი და არა შეზღუდული საგაზეთო ფორმატი. მხოლოდ ის ვიკითხოთ, სად იყო და რას საქმიანობდა ნიკა გვარამია (და ვითომ თავისუფალი მედიის თავგადაკლული დამცველი, რეალურად სინდის-ნამუსგარეცხილი ბანდა „საიას-ა“ და მისი ნაბარტყის ჩათვლით), ახლა რომ ჭყივის (სხვა სიტყვა არ ესადაგება მის ინტონაციას) სამგლე გოჭივით, როცა ერთი მეორის მიყოლებით ქუჩაში გამოაყარეს გამომცემლობა „სამშობლოში“ დაბინავებული ყველა მედია-საშუალება? გამოყრაცაა და გამოყრაც — ხვალიდან დაცალეთო არავის უთქვამს, შევარდნიდან იმწამსვე ფანჯრებიდან გადმოუყარეს მთელი მატერიალური ქონება და მოსახმარად უვარგისი გახადეს ყველა სახის, დანიშნულებისა და ფორმის ნივთი;

სად იყო და რას საქმიანობდა ნიკა გვარამია (და მისი იდეური ბანდა), როცა ტელეკომპანია „იბერიას“ არბევდნენ? როცა „იმედში“ სპეცნაზი შევარდა და სადამდეც ბრძანებაში იყო „გაწერილი“ იქამდე მიანგრ-მოანგრია, ჟურნალისტებს კი ბაჭიებივით დასდევდნენ? როცა ერთმანეთის მიყოლებით გამოკეტეს „მზე“ და „მეცხრე არხი“ და ა.შ

და სულაც, საინტერესოა, ნიკა გვარამიას როდის უნდა მოეკითხოს პროკურორობისდროინდელი „ცოდვები“?

მხოლოდ ნიკა გვარამიაზე რატომ ვიკითხოთ, სად იყვნენ „რუსთავი-2-ის“ ჟურნალისტები და ზემოთ უკვე ნახსენები სინდის-ნამუსგარეცხილი ბანდა, როცა მართლა თავისუფალი მედიის ასეთი დაწიოკება ხდებოდა?

ზოგიერთის უტიფრობას ხომ საზღვარი არ აქვს!...

ზოგჯერ, არ გინდა კონკრეტულ ადამიანს შეეხო, მითუმეტეს, ქალს, მაგრამ თვითონ რომ გაიძულებს? როგორ უნდა „ჩაატარო“ მშვიდად ეკა ხოფერიას სიტყვები, რომელიც საკუთარი ხელით დაწერა (უცვლელად გთავაზობთ):

— „ბევრის დაწერა შეიძლება. არ არის ჩემთვის ასე ცალსახად ყველაფერი, რაც წლების მანძილზე რუსთავი ორის ირგვლივ ხდებოდა, მით უფრო, რომ ბევრის მოწმე მეც ვიყავი და ვიცი, რომ რამდენიმე ადამიანს უსამართლოდ მოექცნენ. არ არის ეს ჩემი გასარჩევი. მიუკერძოებელმა და დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ თემებზე. ვნანობ ბევრ რამეს. ვნანობ თავის დროზე „იბერიას“ რომ გვერდში არ დავუდექით ჟურნალისტები, „მაესტროს“ აფეთქებებს გულგრილად რომ ვატარებდით (დღემდე არ არის გამოძიებული) დასანანია, რომ „იმედსაც“ თავის დროზე ბევრი არ დაუდგა გვერდში და წლების მანძილზე პატარკაციშვილების ოჯახს ის ჩამორთმეული ჰქონდა და ვითომც არაფერი, გრძელდებოდა ცხოვრება...

ამიტომ მთავარი: ყოველთვის ვეცადოთ დავუდგეთ გვერდში ჟურნალისტებს, მათ უნდა ჰქონდეთ თავისუფლად და დამოუკიდებლად მუშაობის პირობები, იმის მიუხედავად, მოწონს ვინმეს მათი რეპორტაჟები თუ არა. სწორედ ამიტომ დღეს ჩემი როგორც ჟურნალისტის მხარდაჭერა კოლეგებს რუსთავი ორიდან“.

 აი, ასეთ შემთხვევაზე შეიძლება პირდაპირ ცნობილი ნათქვამის პერიფრაზი: „ეკა ხოფერია შეიძლება წავიდეს „რუსთავი 2-იდან“, მაგრამ „რუსთავი 2“ ვერ წავა ეკა ხოფერიადან“...

ერთ დროს და კარგახანს „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო სამსახურის (კიდევ სხვა რამის) გამგებელი ქალბატონი, ანუ სიცრუის, ცილისწამებისა და ადამიანების სახელისა, ღირსებისა და პატივის ამყრელ-შემრყვნელი, პოლიტ-პროპაგანდისტული მანქანის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და მონაწილე ქალბატონი, რაც ჩამოთვალა, თურმე „ეხა იმაებს“ ნანობს. ეკრანიდან რა „ნიჭიერებასაც“ აფრქვევს ხელების ქნევითა და არაადექვატური მეტყველება-ინტონაცია-მიმიკებით, სახეზეა და აზრის წერილობით ჩამოყალიბებაც რომ არ შეძლებია? — მაგრამ, გული არ უშვებს და რა ქნას, გული ხომ „რუსთავი-2-შივე“ დარჩა...

ხალხი თვლის, რომ — ნიკა გვარამია იქნება, ეკა ხოფერია თუ სხვა და სხვა, ვინც სიტყვას დაასველებს „რუსთავი-2-ის“ რამენაირი ფორმით მხარდაჭერაზე, პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ მხარს უჭერ გახმაურებული თუ გაუხმაურებელი მკვლელობების გამართლებას; უდანაშაულო ადამიანების დამნაშავეებად გამოცხადებას, ცილისწამებების კასკადის სამართლიანად აღიარებას, სახელმწიფო და სისხლის სამართლის მრავალი მუხლით ეჭვმიტანილი პირების ანგელოზებად წარმოჩენას და ა.შ ყველა უმსგავსობას, რის პროპაგანდასაც აღნიშნული ტელევიზია ეწეოდა და ეწევა დღემდე.

როგორც „რუსთავი-2-ის“ ყოფილი თანამშრომელი ამბობს, „ქიბარ ხალვაშის მფლობელობის დროს ჰგავდა ტელევიზია ყელევიზიას, თორემ, დავარაშვილის, ჩიქოვანის, გეგეშიძის და მითუმეტეს პოლიცმეისტერი გვარამიას დროს საკონცენტრაციო ბანაკად გადაიქცა. კეზერაშვილი დემოკრატიის შუქურაა და ქიბარ ხალვაში პინოჩეტიო? ხომ არ დაგავიწყდათ, ახალაიებთან, კაბინეტში რომ წყდებოდა, ვის რამდენი უნდა ჰქონოდა ხელფასი? ან სულაც, ხომ არ დაგავიწყდათ, ეგ შენობა შსს-ს არალეგარული ფონდებიდან რომ დაფინანსდაო?“ — კითხულობს იგი.

ხალხი რას თვლის მართებულად, სრულებით არ აინტერესებთ იმავე ხალხის წლობით აბუჩად ამგდებ, მწამებელ და მრავალ სისხლისმიერ ცოდვაში ეჭვმიტანილ სუბიექტებს, თავისას მიერეკებიან და კიდევ იმავე ხალხს ამუნათებენ, გვიშველეთ, რათა საკუთარ თავს უშველოთ, თორემ სიბნელეში აღმოჩნდებითო.




რასაც ხალხი ჰქვია, რას მოიმოქმედებს, დავინახავთ, რადგან 2000 წლიდან დღემდე ადამიანების გონება ერთგვარად მაინც განათდა, აღარ სჯერა ყველა იმ ზღაპრის, რასაც ტელეეთერიდან უამბობენ. ხალხმა ზუსტად იცის, რომ „რუსთავი-2“ იგივე „ნაცმოძრაობაა“ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთი გასართობი გადაცემები აქვთ, რაც მათ ამხიარულებს, არ ნიშნავს, რომ ის ადამიანები „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებად მოიაზრებიან.

მიშას მატარებელს გაჰყვა ის დრო, როცა ვინმე აკაკი გოგიჩაიშვილის გადაცემის დახურვის საშიშროების გამო ხალხი ერთმანეთს ასწრებდა სახლიდან მთავრობის კანცელარიასთან მივარდნას, ან „რუსთავი-2-ის“ ყოველ დაძახილზე ტელევიზიის ეზოში მირბოდა, არიქა, მართალ სიტყვას ჩაგრავენო.

კი, ფაფხურობს რაღაცას, ცდილობს დესტაბილიზაციის აგორებას „რუსთავი-2“, მაგრამ ტელევიზია, რომლის მთავარი სახეც მრავალთათვის საძულველი, ცინიკოსი ნიკა გვარამიაა, რაგინდ ფინანსები გამოყოს „ნაცბანდის მოლარე“ და არა მხოლოდ მოლარე კეზერაშვილმა, ვერაფერს მიაღწევენ გარდა იმისა, რომ იმავე „ნაცმოძრაობასთან“ საეჭვოდ მიკრულმიხუტებული დასავლეთელი პოლიტიკოსები აბოჟირდებიან...

ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ჩვეულებრივ იყიდება, როგორც სულიერი ნივთი, ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, მაგრამ მათ მიმართ კანონი რატომ არის მუდმივად ჩასვრილის მდგომარეობაში, თუ ის ჯგუფი ე.წ ოპოზიციურ ფრთას წარმოადგენს? პარლამენტის შენობის ბლოკირება და პარლამენტარებისთვის მუშაობაში ხელის შეშლა, ან მათზე ფიზიკური ძალადობა დასჯადი თუ არ არის, დოკუმენტურად და საჯაროდ გაცხადდეს!!!!

„ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ მხარდასაჭერად მრავალათასიანი აქციები გაიმართება! ვიდრე დაიხურება „რუსთავი-2“ დაიხურებით თქვენ! სულ ტყუილად ჰგონიათ, რომ მოსამართლეზე და სასამართლოზე ზეწოლა არ იქნება!“ — ხმამაღალ შეტყობინებებს შეტყობინებებზე და მუქარებს მუქარებზე უშვებს ხელისუფლების მისამართით ნიკა გვარამია და ისეთ ფრაზებს ისვრის, საკვირველია, საფლავიდან როგორ არ დგებიან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დროს დახოცილი ადამიანები...

— ჩვენ იმ მთავრობას არ ვგავართ, როდესაც მოსამართლეებს სახლებში უვარდებიან და მათ ბავშვებს შეურაცხყოფენო... მოდი და ნუ გაეპასუხები — ის მთავრობა ხომ ხართ, მშობლებს შვილების გაუპატიურებით რომ აშანტაჟებდით; შვილებს რომ მშობლების თვალწინ ცემდით; შვილებს რომ მშობლების თვალწინ ხოცავდით... დაუმორჩილებელ მოსამართლეებს და პროკურორებს უკეთეს შემთხვევაში სამსახურებიდან აძევებდით, შუალედურში — ციხეებში ამწყვდევდით სქესის განურჩევლად.

ე.წ საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერია“, ანუ იგივე „ნიკა რურუა და კამპანია“ თავის მხრივ მკაცრად აფრთხილებს „ხელისუფლებას და მის არაფორმალურ მმართველს, ბიძინა ივანიშვილს, რომ ხელი აიღონ თავისუფალი სიტყვის მოგუდვის სუიციდიალურ სურვილზე, რადგან, ნათქვამია: ვინც დასთესს ქარს, მოიმკის ქარიშხალს.“ რა თქმა უნდა, ნორმალურთან ოდნავ მიახლოებული მართლმსაჯულება რომ იყოს საქართველოში, მათ მიერ დათესილ ქარიშხალს ნამდვილად უნდა მოჰყოლოდა სამართლებრივი ცუნამი...

იქით, შალვა ნათელაშვილმა ისროლა „ისტორიული“ ფრაზა„ — „დღეს „რუსთავი-2“, მისი სიმართლე, მისი მთავრობისადმი დაუმორჩილებლობა ისე ჭირდება საქართველოს, როგორც დაჭრილი ირმების გუნდს წყარო ანკარა-ო...

ამას რაღა უნდა გაეპასუხო, როცა, გაგიკვირდებათ და იმავე კაცის სიტყვებია: — „რუსთავი-2“ იმდენ ტყუილს აფრქვევს, ჰიტლერს რომ „რუსთავი-2“ ჰქონოდა, გერმანელებს დღესაც არ ეცოდინებოდათ, რომ ომი წააგესო“...

**გიორგი ჩხეიძე**





ეხ, „რუსთავი-2“ რომ მქონოდა...



# ვალერი კვარაცხელია:

# შევარდნაძე იყო მოღალატე! თუ რაიმეს მიაღწია პოლიტიკურ კარიერაში, მიაღწია ღალატით და მხოლოდ ღალატით. შეიძლება ითქვას, ის პროფესიონალი მოღალატე იყო...

**ინტერვიუ ანალიტიკოს ვალერი კვარაცხელიასთან**

**— ბატონო ვალერი, თქვენს სატელევიზიო გადაცემებს აუდიტორია საკმაოდ გაუფართოვდა. გადაცემებში თქვენ საუბრობთ იმ თემებზე, რომლებზეც წლების წინაც ლაპარაკობდით, მაგრამ ცოტა ვინმე თუ გისმენდათ. პოლიტიკური გემოვნება შეეცვალა ჩვენს საზოგადოებას თუ რა ხდება?**

— არ ვიქნები მოკრძალებული და გეტყვით: რასაც ვამბობდი 15 წლის წინათ, იგივეს ვამბობ ახლაც, ოღონდ, როგორც თქვენ თქვით, ადრე ნაკლებად მისმენდნენ, ახლა მეტი მსმენელი გამოჩნდა.

სათქმელი არ შეცვლილა, მაგრამ, როგორც ჩანს, რეალობამ, დრომ, სიტუაციამ მოიტანა ამ სათქმელის გაგების აუცილებლობა. საზოგადოებაში ჩნდება იმ სიმართლის მოთხოვნილება, რომელიც მაშინ ძნელი დასანახი იყო და დღეს შედარებით ნათლად გამოიკვეთა.

**— კერძოდ, რა იყო და რა არის ეს სიმართლე?**

— პოლიტიკა არ არის რომანტიკის სფერო. პოლიტიკა არის რეალური ვითარების გაანალიზების ადგილი და არა მაქსიმალური, არამედ ოპტიმალური შედეგის მიღების სფერო.

საქართველო განცალკევებული სუბიექტი არ არის მსოფლიოში. ის მსოფლიოს ნაწილია. როდესაც ქვეყანა მხოლოდ თავისი „სამრეკლოდან“ რეკავს და არ ან ვერ ითვალისწინებს გარე ფაქტორებს და ინტერესებს, ის ყოველთვის წაგებული რჩება.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩვენ აზროვნება არ შეგვიცვლია. ვამბობთ, რომ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ და არასდროს დაგვისვამს კითხვა: ჩვენი ინტერესები თანხვედრილია თუ არა სხვის ინტერესებთან, იგივე ქვეყნის შიგნით?! ამის გაუთვალისწინებლობამ ძალიან ბევრი უსიამოვნება მოგვიტანა.

იგივე ნატოში ალიანსზე რომ ვილაპარაკოთ.

„შევდივართ“ ნატოში. ნატო კი სამხედრო ბლოკია და რაკი სამხედრო სამხედრო ბლოკი, ის დაპირისპირებულია ვიღაცასთან. ასე რომ, ჩვენ ვუპირისპირდებით, ძალაუნებურად, იმ „ვიღაცას“.

ინფანტილურია განცხადება — არავის საზიანოდ არ ვმუშაობთ. ნატოს ბაზები თუ გაიხსნება ჩვენს ტერიტორიაზე და განთავსდება მძიმე და სტრატეგიული შეიარაღება, ამ შეიარაღებას ექნება გარკვეული მიმართულება, მაშინ საპირისპირო მხრიდანაც იქნება მომართული ჩვენზე იგივე ტიპის ან უფრო მძლავრი შეიარაღება, ანუ რუსული ძალები.

გამოდის, რომ ის მოწინააღმდეგე მხარე, რუსეთი, გერიდება და ხელს გიშლის, რომ არ შეხვიდე იმ სამხედრო ბლოკში. ამ დროს ჩვენ ვამბობთ, რომ არავის აქვს უფლება, ხელი შეგვიშალოს ნატოსკენ სწრაფვაში.

**— გასულმა წლებმა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ვერაფერი გვასწავლა?**

— გამოკითხვებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 31% ევრაზიულ კავშირში გაერთიანების მომხრეა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება პოლიტიკურად გაიზარდა, მაგრამ თავად პოლიტიკოსებს არაფერი ეშველათ.

ამას თავისი მიზეზები აქვს.

პოლიტიკოსებად გვევლინებიან ის ადამიანები, რომლებსაც 25-30 წლის წინანდელი ლექსიკით ალაპარაკებენ. დასავლეთის, აშშ-ის ხელშია ყველა ბერკეტი და განსხვავებული შეხედულების მქონესთვის თითქმის შეუძლებელია პოლიტიკაში მოსვლა.

**— გასაგებია, მაგრამ თუ, მაგალითად, რუსეთი მტრულად მოდის, როგორ „ვიმეგობროთ“ მასთან?**

— რუსეთთან მეგობრობის კუთხით საერთოდ არ გვილაპარაკია. არ გვითქვამს მათთვის, რა არის ჩვენთვის პრინციპული საკითხები. ეს საკითხებია: ვერ დავთმობთ პოლიტიკურ სუვერენიტეტს, ვერ დავთმობთ ტერიტორიებს, სხვა ყველაფერზე შეიძლება დალაპარაკება. თუმცა არც ამ საკითხებზე არ გვისაუბრია რუსეთთან. 25 წლის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა ხელისუფლება, რომელიც ამისთვის მზად იქნებოდა. ყველა ხელისუფალი იყო დანიშნული. კი, გასაგებია, რომ ყველა მმართველი არჩევნების შედეგად ქართველმა ხალხმა აირჩია, მაგრამ ერთია არჩევა და მეორეა გარემოებანი, რის გამოც აირჩიეს ესა თუ ის ხელისუფალი.

შევარდნაძე ხომ ჩემს ჩამოყვანილად ითვლება. იმ შევარდნაძესაც ყოველთვის ვეუბნებოდი იმას, რაც აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. არ ვეთანხმებოდი ძალიან ბევრ რამეში. არ მიგდებდა მაშინ ყურს არავინ, მაგრამ სიმართლე ერთია და ხომ იცით, რას ჰგავს?! — მწვანე ბალახს, რომელიც ასფალტსაც კი ამოხეთქავს ხოლმე.

**— სიმართლე რა არის?**

— სიმართლე ისაა, რომ დასავლეთი იმ მაღალი ღირებულებების, დემოკრატიის და ა.შ. ნიღაბქვეშ თავის ნამდვილ ინტერესებს მალავდა. განვლილმა პერიოდმა გააცნობიერებინა ქართველ ხალხს, რა არის სინამდვილეში დასავლეთი და ევროპა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე განადგურდა ეკონომიკა, დავკარგეთ ტერიტორიები, გარდა ამისა, განვიცდით სრულ სულიერ დეკადანსსა და დეგრადაციას, გაირყვნა ენა, მოსახლეობის ერთი მესამედი მონური შრომის ანაზღაურებისთვის გაქცეულია ქვეყნიდან.

სამწუხაროა, რომ ამ ამბების მომსწრე და მონაწილე ვართ ყველა. პირადად მე ვიყავი შევარდნაძის პრესცენტრის ხელმძღვანელი. სადაც ის მოგზაურობდა, მე მის გვერდით ვიყავი. ვიცი, რა ხდებოდა და ყოველთვის ვლაპარაკობდი, რომ ეს იქნებოდა დამღუპველი ჩვენთვის. შევარდნაძე ახალი ჩამოსული იყო, მე უკვე დავუპირისპირდი მას. იმ ხანებში ვკითხე: როგორ წარმოგიდგენიათ, თუ საქართველო ამ გზით წავა, როგორი რეაქცია იქნება რუსეთისგან? მან მიპასუხა: ამერიკამ ჩაუშვა ღუზა კავკასიაში და მინიმუმ 50 წელიწადი ის აქედან წამსვლელი არ არისო.

ის, რომ აშშ-ი შემოვიდა, სსრკ დაიშალა, ეს მისი მონაწილეობის გარეშე არ მომხდარა. მან ჩაიდინა უდიდესი ღალატი. უღალატა საბჭოთა კავშირს, კომუნისტურ პარტიას, სოციალიზმს, საქართველოს.

თუ რაიმეს მიაღწია პოლიტიკურ კარიერაში, მიაღწია ღალატით და მხოლოდ ღალატით. შეიძლება ითქვას, ის პროფესიონალი მოღალატე იყო...

**— შევარდნაძე მოღალატე იყოო, ბრძანებთ, მაგრამ უჭკუო კაციც იყო?**

— ჭკუა ის არის, შენი ნააზრევი საუკუნეებს რომ გასცდება, თორემ ათ წელიწადში რომ გამოვლინდება ჩადენილი ქმედების შედეგი, ეს არ არის ჭკუა და გონება. მაგრამ რაიმე სიკეთე მოიტანა შევარდნაძის ქმედებებმა აქამდე?!

**— ბატონო ვალერი, რა როლი აქვს რუსეთის სახელმწიფოს დღეს მსოფლიოში?**

— 1991 წლიდან მოყოლებული, რუსეთმა ორი ეტაპი გამოიარა: ელცინის მმართველობის და პუტინის ეპოქა. პუტინმა დაჩოქილი რუსეთი ფეხზე წამოაყენა, მაგრამ ყოველივე ეს თანმიმდევრულად გააკეთა. 2000-დან 2007 წლამდე მჭიდროდ ითანამშრომლა დასავლეთთან. 2007 წელს მიუნჰენის კონფერენციაზე მან გარდამტეხი განცხადება გააკეთა და თქვა: რომ ერთპოლარული მსოფლიო მიუღებელი იყო მისთვის. იქვე დასძინა: ეს არც დემოკრატიაა და არც ზნეობაო.

2014 წელს ვალდაის კლუბში იგივე განცხადება გაიმეორა — აშშ-ი უსინდისოდ მოქმედებს და საერთაშორისო სამართალს არღვევსო.

ახლახან გაეროს ასამბლეაზე უკვე ღიად გააკრიტიკა აშშ-ი: ხვდებით კი რა დაატრიალეთ მსოფლიოში? ამის მოთმენა შეუძლებელიაო. თქვა ეს, დაამთავრა ვერბალური რიტორიკა და გადავიდა სხვა ტიპის მოქმედებებზე. რადგან, სადაც უნდა მოქმედებდეს აშშ-ი, ყველგან მოქმედებს რუსეთის საწინააღმდეგოდ.

რა მოხდა უკრაინაში? — ფაქტობრივად, რუსეთს აქცევენ ალყაში.

ობამამ უთხრა კიდევაც ახლახან პუტინს — რუსეთი რეგიონული მნიშვნელობის „დერჟავაა“ და არავინ გეკითხებათ არაფერსო, მაგრამ გამოჩნდა, რომ რუსეთი არც ისე ხელწამოსაკრავია და პუტინის ბოლოდროინდელი განცხადებები არის ახალი ეტაპის დასაწყისი მსოფლიო პოლიტიკაში.

**— საქართველოს ადგილი სად არის ახალ მსოფლიო წესრიგში?**

— ახლახან გაიხსნა ნატოს საწვრთნელი ცენტრი საქართველოში, რომელსაც აქ სასწავლოს ეძახიან. მაგრამ რაც გინდა დაარქვა, ნატოს 28 წევრი ქვეყანა ამ ცენტრს გამოიყენებსო და რა ჰქვია ამას, თვითონ განსაჯეთ.

ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, რუსულმა პროპაგანდამ წალეკა საქართველოო, მაგრამ სად არის ეს რუსული პროპაგანდა. მე არ ვიცი და სხვამ როგორ იცის, ხომ ვერ მეტყვის ვინმე?!

ამერიკელები საქართველოში მუშაობენ ასეთი პრინციპით — იკავებენ ყველა ნიშას, კერძოდ, ჰყავდეთ თავიანთი ხელისუფლება, თავიანთი ოპოზიცია, თავიანთი მედიასაშუალებები, თავიანთი არასამთავრობოები, სოციოლოგიური კვლევის სამსახურები და სპეცსამსახურები. სადაც გაჩნდება ახალი ნიშა, ახალი ძალა, იქ ჩასვამენ თავიანთ ხალხს, რომ მერე არჩევნებში ხალხმა აირჩიოს მათ მიერ ჩასმული პირი, თითქოს ახალი, სინამდვილეში კი დამუშავებული, რომელიც ძალაუფლების მოპოვების შემთხვევაში, კვლავ აშშ-ზე იმუშავებს.



როცა გამოვდივარ ტელეეკრანზე, ხშირად ვამბობ: მე არ ველაპარაკები პოლიტიკოსებს, მე ველაპარაკები საზოგადოებას. საზოგადოებამ უნდა ჩამოაყალიბოს მიდგომები და გააკეთოს ის, რაც გასაკეთებელია, მაგრამ რა ქნას საზოგადოებამ, როცა ყველა ჭუჭრუტანიდან, ყველა მხრიდან ერთი და იგივე დეზინფორმაცია იღვრება. არ გავამტყუნებდი ჩემს ხალხს, ბოლომდე რომ დაბნეული იყო და სინათლის სხივი მის ცნობიერებას არ მიჰკარებოდა, მაგრამ გააცნობიერა ხალხმა და მიხვდა, რა გვჭირს და რატომ. ამის შედეგია ამერიკელი სოციოლოგების კვლევის რეზულტატი — ქართველი ხალხის 31% ევრაზიული კავშირის მომხრეაო. ამ საქმეში დიდი „დამსახურება“ მიუძღვის თვით აშშ-ს, მათ კარგად იმუშავეს, რომ ხალხი მათკენ ზურგით შებრუნებულიყო.

პლებისციტი ან რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია რომ დააფიქსიროს საზოგადოებამ, მაგრამ ამას არ გააკეთებს სახელმწიფო, არც აშშ-ის საელჩო და ვიქნებით ასე, სანამ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ვის არგუნებენ ადგილს „ქართული ოცნების“ „ნოეს კიდობანში?“



გვესაუბრება უფლებადამცველი **დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

**— ბატონო დიმიტრი, ბოლო დროს პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური ძალები გააქტიურდნენ, ეს განწყობა საზოგადოებაშიც ღვივდება მითუმეტეს, რომ დასავლეთმა ჩვენი მოლოდინები ვერ გაამართლა. რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ქართულ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?**

— დღეს, საზოგადოება ორადაა გაყოფილი, მისი ერთი ნაწილი თავისი სულისკვეთებით მატერიალისტია და სოდომიზმის აპოლოგეტობასაც არ ერიდება, მეორე კი ის ძალაა რომელიც თავის როლს, ადგილს და ისტორიულ მისიას აცნობიერებს. საქართველომ უნდა გააცნობიეროს, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა სწორედ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკაა. რაც დრო გადის, ამას, მით უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს და სწორედ ესაა დასავლური ძალებისთვის შემაშფოთებელი სიგნალი. მიუხედავად იმისა, რომ „ენ-დი-აი“ და „აი-რაი“ კვლევის შედეგებს ყოველთვის აყალბებდნენ, მათ, პრაქტიკულად, აღიარეს, რომ თურმე, მოსახლეობის 31% ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს. დამერწმუნეთ, 31%-დან შეიძლება, 1%-მაც არ იცოდეს რა არის ევრაზიული კავშირი. ეს ეკონომიკური კავშირია, რომლის სახე და ფორმა ჯერ ჩამოყალიბებული არაა, მაგრამ ევრაზიულს დავარქმევთ, საბაჟოს თუ შანხაის კავშირს, მნიშვნელობა არ აქვს, აქ, ლაპარაკია უალტერნატივოს ალტერნატივზე, რასაც დასავლეთი ასე მისტირის. საქართველოს რომელიც დიდი ხნის მანძილზე რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და ბევრი ქარტეხილი გამოიარა, ბუნებრივია, დღეს, სერიოზული არჩევანის გაკეთება უწევს თუ რომელი გზა არის მისთვის განვითარების უზრუნველმყოფი. ამ ფონზე, როცა ასეთ გზაჯვარედინზე ვიმყოფებით, მაგონდება ზღაპარი როცა მარცხნივ, მარჯვნივ და წინ წასვლის შემთხვევაშიც გამოსავალი ლეტალურია. მიუხედავად ამისა, საქართველოს არჩევანის გაკეთება მაინც მოუწევს. დიახ, ქართულმა საზოგადოებამ არჩევანი ერთიან ევროპულ ოჯახში შესვლაზე გააკეთა. უდაოა, თუკი სადმე ვინმე ევროპული ღირებულებებით ამაყობს საქართველოს ამის საფუძველიჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ ჰქონდა, თუნდაც, ავიღოთ, თამარ მეფის ეპოქა და იმდროინდელი ადამიანის უფლებების დაცვა, როცა სიკვდილით დასჯა გაუქმდა და მთელი რიგი სოციალური პრეფერენციები დაწესდა. დღეს, ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი დასავლურ უნივერსიტეტებში ნათლდება და მნიშვნელოვან ცოდნას, გამოცდილებას იღებს, რაც სახელმწიფოს უნდა მოხმარდეს. მაგრამ მეორე მხრივ, მოდით შევხედოთ, როგორია დასავლეთის მიდგომა საქართველოსადმი, რა გაკეთდა ბოლო 20 წლის მანძილზე დასავლეთის მხრიდან ქართული დემოკრატიის, ინსტიტუციების განსამტკიცებლად, ეკონომიკის დასავლურ ინვესტიციებზე დასაფუძნებლად და ა.შ. მოვიხმოთ სტატისტიკა. მაგალითად, ჩვენი პარტნიორი აშშ, 2009 წელს ხელმოწერილი ქარტიის შემდგომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება. მაგრამ ერთადერთი მსხვილი ინვესტიცია რომელიც აშშ-მ განახორციელა თელასის პროექტი იყო, რომელიც ძალიან მალე რუსულ კომპანიაზე გაიყიდა. სხვა, მეგაპროექტი, რომელსაც საქართველო ჭაობიდან უნდა ამოეყვანა, არ განხორციელებულა. საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო ქვეყანა გახლავთ, საზღვაო ფლოტი არ გააჩნია. ასევე, არ გააჩნია განვითარებული ინფრასტრუქტურა, ტურიზმისთვის განკუთვნილი ისეთი შესაძლებლობა, რომელიც მის პოტენციალს ბოლომდე გამოავლენდა ბალნეოლოგიური კურორტებისა და მინერალური წყლების პოპულარიზაციის დონეზე. ასევე, ჩვენს ქვეყანას აქვს ჰუმანიტარული პრობლემები დევნილებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთიც რაც მთელს მსოფლიოში უნიკალურს გვხდის — დევნილები გვყავს ფერლანადან ე.წ. თურქი-მესხების სახით, ჩეჩნეთიდან, ორგზის დევნილები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან და ახლა სირიიდან და ერაყიდანაც შემოგვდის. წარმოგიდგენიათ, რა ჰუმანიტარულ მისიას ატარებს საქართველო იმ ფონზე, როცა ეკონომიკა ძალიან დასუსტებული და არამდგრადია. შესაბამისად, როდესაც ვამბობთ, რას ირჩევს საქართველო, ისიც უნდა გავიაზროთ რა ხელშეწყობა, რა პირობა იშლება საქართველოს წინაშე დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან თუ აღმოსავლეთიდან. კარგად ვხედავთ, რომ მთავარი ბერკეტი ეკონომიკური მოძრაობისა, ფაქტობრივად, რუსული კომპანიების ხელშია. ყველა ენერგოგენერაციის ობიექტი — 96% რუსული კომპანიებისაა. ასევე, რუსული კომპანიისაა „თბილისის წყალი“, რომლის მენეჯ-



მენტს შვეიცარიული კომპანია ახორციელებს, მაგრამ მის უკან რუსები არიან. ასევე, „კვარციტი“, „ქიმბოჭკო“, „აზოტი“, „ფეროშენადნობები“ რუსული ეკონომიკური ექსპანსიის გააქტიურებასთანაა კავშირში. ამის ფონზე, ისმის კითხვა — როცა ერთი ხელით ლანძღავ, ხოლო მეორეთი შენს ეკონომიკას რუსულ კომპანიებს აბარებ, რას ნიშნავს ეს? რას დავაბრალოთ ეს? ამ პოლიტიკას ქვეყანა გამოსწორების გზამდე არ მიჰყავს, არამედ უფსკრულამდე. დღეს, რუსეთი ახლო აღმოსავლეთში გააქტიურდა და, ახალი კოალიციის პირობების განსაზღვრით, სამშვიდობო მისიის შესრულება დაიწყო, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა აუცილებლობა და ვალდებულება, პირდაპირი დიალოგის გზით, რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებისა, რათა საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობის ფასი განისაზღვროს.

**— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან სამი წელი გავიდა. როგორ შეაფასებთ განვლილ ეტაპს?**

— გვახსოვს, მთავარი ორი პირობა — სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენა, რომლის გზა სწორედ, დამნაშავე სინდიკატის პასუხისგებაში მიცემაზე გადიოდა და მეორე — რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის აღდგენა. პროკურატურაში, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, 20 ათასზე მეტი განცხადება შევიდა, მათ შორის, ათასამდე, წართმეული ქონების დაბრუნების მოთხოვნა, რომელთაგან, ერთეული შემთხვევების გარდა, არაფერი დაბრუნებულა. დღევანდელი ხელისუფლება ჯერ მარტო იმიტომაა უკიდურესად გასაკრიტიკებელი, რომ პროკურატურაში ფინანსური პოლიციის ის მაღალჩინოსნები მოიყვანეს, რომლებიც ქონების უკანონო ექსპროპრიაციას უშუალოდ ეწეოდნენ. დღეს ისინი გამოძიებაზე ზედამხედველი მთავარი პასუხისმგებელი პირები არიან. იმავე უწყებებში, რომელთაც თავად ხელმძღვანელობენ, მათ წინაალმდეგ, არაერთი საჩივარია შესული. სისტემური ცვლილების აუცილებლობის ფაქტის წინაშე ვართ. ამიტომ, დიამეტრალურად განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ძალები ერთად უნდა დადგნენ. მათ რიცხვში, „ქართული ოცნება“ არ იგულისხმება, ან იგულისხმება სუბიექტების, იმ ადამიანების დონეზე, რომლებიც ერთეულნი არიან და სამართლიანობის აღდგენისთვის გათითოკაცებული იბრძვიან. ვგულისხმობ, თამაზ მეჭიაურს, დათო ლორთქიფანიძეს, სოსო ჯაჭვლიანს და ა.შ. ისინი მაქსიმუმს აკეთებენ, რათა პირადი შესაძლებლობების ზღვარზე იარონ და სიმართლე თქვან. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობის“ უკან დაბრუნების შანსი, თეორიულ დონეზეც კი, ჩვენში პოსტრამვული აშლილობის სინდრომს იწვევს. არადა, კოაბიტაციის მავნე პროცესის შედეგად „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები უკვე გამოცოცხლდნენ, ვინაიდან მათ უკან ძალიან დიდი შავი ფულია, ასევე, ნება იმ პოლიტიკური პარტნიორებისგან, რომლებიც სააკაშვილს უმაგრებენ მხარს, დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც მაღალჩინოსნებს ბრალის წაყენების გარეშე ტოვებს, მათ შორის სააკაშვილებს, კეზერაშვილებს, ადეიშვილებს და ა.შ. და განტევების ვაცად მყოფი ჩინოვნიკები, რომლებიც ვაშლის საჭრელი დანის ტარით მიყენებული დაზიანებისთვის ჩასვეს ციხეში, იმის არგუმენტად ვერ გამოდგებიან, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო. თავად ის ფაქტი, რომ 200 პოლიოტ.პატიმარი პარლამენტმა აღიარა და მათ უკან არსებული სისხლის სამართლის საქმეებზე დადგენილი განაჩენების მიმღები მოსამართლეები ისევ მოსამართლეებად რჩებიან, დაწინაურდნენ, ეს კრიტიკასაც ველარ უძლებს. ეს პოლიტიკური დანაშაულია, რასაც დღევანდელი ხელისუფლება სჩადის და რაზეც საზოგადოება თვალს ვერ დაიბრმავებს. აქვე, აღვნიშნავ, რომ დემოკრატიის მთავარი ბურჯი არჩევნებია. იმისთვის, რომ ხელისუფლებაში სასურველი ადამიანი მოიყვანო მარტო არჩევნებზე მისვლაც აღარაა საკმარისი. კარგად ვხედავთ, გვინდა სხვა ავირჩიოთ და ამ დროს სხვა იგებს არჩევნებს იმიტომ, რომ იგი ყალბდება. დღეს, „ქართული ოცნება“ დუმს და ამბობს რომ არჩევნების თემას 2020 წლიდან მიხედავს. ისმის რიტორიკული შეკითხვა — გვეშველება რამე? არასდროს არ გვეშველება, სანამ ამის წინაალმდეგ ქირურგიული პოლიტიკური ოპერატიული ჩარევა არ მოხდება. ჩვენმა გუნდმა ეს უნდა უზრუნველყოს. ველოდებით ახალი ძალების შემომატებას, რათა ვუზრუნველყოთ ქირურგიული ჩარევა და ერთხელ მიცემული სიტყვა არ გავტეხოთ.

**— „მოქ. კავშირის“ პერიოდი მახსენდება, როცა ედუარდ შევარდნაძე მისივე პარტიის წევრებმა გააძევეს. იგივე საფრთხე დღესაც ხომ არ არის?**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

— დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც, პირველ რიგში, მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასთანაა“ დაკავშირებული, მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურ ხომალდს მაგონებს, რომელსაც საწვავი სჭირდება იმისათვის, რომ ის ბარიერები დასძლიოს, რითაც მისი ღია კოსმოსში გაყვანა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ამ ბარიერის დაძლევას ენერგია სჭირდება. ენერგიისთვის კოალიციას ბალასტი ჰყავს — „ქართული ოცნება“, ხოლო თავად ხომალდი, რომელმაც შემდგომ ღია კოსმოსში უნდა იმოგზაუროს, ესაა ნეოლიბერალური ძალები, რომელთა მხოლოდ ერთი კომპონენტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ სეგმენტში წარმოდგენილი „რესპუბლიკელების“ სახით. თუმცა, ვფიქრობ, მათ გარდა, არიან სხვა კონკრეტული ფიგურებიც, რომლებიც ნელ-ნელა პოლიტიკურ „ქამინგ აუთ“-ს გააკეთებენ და „რესპუბლიკელებს“ შეუერთდებიან. სამკითხაოდ, ახლა, მხოლოდ ერთადერთი რამ გვრჩება — ეს ყველაფერი მოხდება 2016 წლის არჩევნების შემდგომ, როდესაც „ქართული ოცნების“ ბალასტი, გარკვეული ფინანსური ინექციის, არჩევნების გაყალბების ხარჯზე ორბიტაზე კვლავ „რესპუბლიკური პარტიის“ გაყვანას მოახდენს, თუ ეს არჩევნებამდე მოხდება და „რესპუბლიკური პარტია“ უკვე დღეს დაიწყებს კონსულტაციებს მის მონათესავე ორგანიზაციებთან, რომელთა შორის ირაკლი ალასანია და „ნაცმოძრაობა“ უალტერნატივო გახლავთ. ანუ, „რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაცმოძრაობა“ იმ პლატფორმაზე დგას, რომელთაც მხარს დასავლეთი და მათი პარტნიორი აშშ უჭერს. ბუნებრივია, მათ სქემაში ასეთი კონფიგურაცია დგება. დღეს მოვლენები ისე ვითარდება, არამგონია, ამ ტენდით, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ თავისი შესაძლებლობები შეინარჩუნოს რათა მთლიანად კოალიციაში დომინანტი იყოს. სამწუხაროდ, ივანიშვილმა ურეიტინგო პარტიის დომინანტ პარტიად ქცევა შეძლო. ისინი არ კმაყოფილდებიან მიღებული პოსტებით, თანამდებობებით და მოქმედებენ პრინციპით — არცერთი დამატებითი პოზიცია არ გვაწყენს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების პროცესში მათ ბევრი თავიანთი წევრი, დესანტის სახით, „ქართულ ოცნებაში“ ჩასვეს და შემდგომში, ისინი, სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად შემოიერთეს. მაგალითად, ირინა იმერლიშვილმა, რომელიც „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი იყო, კენჭი „ქართული ოცნების“ კვოტით იყარა და საბოლოო ჯამში, „რსპუბლიკური პარტიის“ საქმე გააკეთა. იმიტომ, რომ დღეს, იგი, „რესპუბლიკური პარტიის“ კიდევ ერთ პარტნიორთან — პრეზიდენტთანაა და უშიშროების საბჭოს დონეზე მისი სათათბირო ორგანოს მდივანი გახლავთ. ანალოგიური გააკეთეს უზენაესი სასამართლოს მიმართულებითაც, როდესაც მათი აქტიური წევრი ნინო გვენეტაძე, უდაოდ კარგი იურისტი, მაგრამ მათი აქტიური წევრი, არჩევნების შემდგომ, ფორმალურად გაუშვეს პარტიის რიგებიდან იმისთვის, რომ შემდგომ, ლობირების დონეზე, ამ ადამიანისთვის მხარი დაეჭირათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად. ვხედავთ, რომ მთელი სტრატეგიული სიმაღლეები მათ ძალიან ადვილად დაიპყრეს — პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივანი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, გარემოს დაცვის მინისტრი, შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი მათია. აღარაფერს ვამბობ ქვედა რგოლებზე. ყველაზე დიდი მონსტრი კი ბიუჯეტის განკარგვის თვალსაზრისით, გახლავთ თავდაცვის სამინისტრო, რომლის ბერკეტები, სხვათა შორის, შუალედურ არჩევნებზე, აქტიურადაა გამოყენებული. ეს ბერკეტი საგარეჯოშიც იქნება გამოყენებული. შემთხვევითი არაა, რომ თამარ ხიდაშელს თინა ხიდაშელი დაყვება, ასევე, სხვა მინისტრებიც. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მათ ამ ადგილის დაკარგვა არ სურთ და ყველა ღონეს იხმარენ, რათა არჩევნები სასურველი შედეგით დაამთავრონ. ძალიან, ძალიან საწყენია, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი ეკლექტურია, იქ, არ არიან ერთი იდეის გარშემო დარაზმული ადამიანები და მათ პოლიტიკური მომავალი არ გააჩნიათ, ისინი საპნის ბუშტივით გასკდებიან და ხვალ, მათი გვარ-სახელები არავის ემახსოვრება. იმიტომ, რომ არ იბრძვიან პარტიული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, რამაც წესით, შიდა კონკურენციაზე დაფუძნებული ძლიერი პოლიტიკური წარმონაქმნი უნდა შვას. დღეს „ქართული ოცნების“ ბევრ წარმომადგენელს ერიდებათ ხმამაღლა იმის თქმა, რომ „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს. აი, რა მივიღეთ მმართველობის სამი წლის თავზე.



**—საუბრობენ, რომ „ნაცმოძრაობა“ პოსტსაარჩევნო კრიზისისთვის ემზადება, სურთ პროცესები ქუჩაში გადაიტანონ და „ქართული ოცნება“ იქ დაამარცხონ. ეს რამდენად რეალურია?**

— დიახ, რამდენიმე დღის წინ განვითარებული მოვლენები ამის ნათელი გამოხატულება იყო — „ნაცმოძრაობა“ დაპირისპირებებს აქტიურად ინსცენირებს. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტთან განვითარებული მოვლენები ამის ნათელი დადასტურებაა. „ქართული ოცნების“ დეპუტატზე დავით ლორთქიფანიძეზე ფიზიკური თავდასხმა მოხდა, პიჯაკი შემოახიეს, რუპორი თავში ჩაარტყეს, შეხლა-შემოხლა და პოლიციაზე თავდასხმაც იყო. ესაა ტესტი შსს-ს წარმომადგენლებისთვის — შეძლებენ კი ისინი უზრუნველყონ სამართლიანობა თუნდაც საკუთარი გუნდის წევრების მიმართ, როცა უმრავლესობის დეპუტატას თავს ესხმიან. როგორც ჩანს, „ნაციონალები“ ტესტავენ რამდენად უნარიანია ხელისუფლება, შსს. თუ ამ ადამიანების დაკავება მოხდება, ნაცები იტყვიან, რომ ეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფაა, ესაა ახალი პოლიტიკური დევნისა და რეპრესიის ეპოქაო და დასავლეთში კვლავ ახალ-ახალ მესიჯებს გააგზავნიან, ხოლო მათი პარტნიორები მხარდაჭერას არ დაიზარებენ, იტყვიან — აი, საქართველოში შეიმჩნევა სახიფათო ტენდენცია, ადამიანის უფლებები ირღვევა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ირღვევა, საქართველო უკან დგამს ნაბიჯებსო. აი, ესაა პატარა მარტივი სცენარი, რაც ჩაფიქრებულია.

იმ პირობებში, ჩვენი კონსტიტუციის გარანტი, პრეზიდენტი, თავისი განცხადებებით მერაბიშვილების, ადეიშვილების, სააკაშვილების და უგულავების წისქვილზე ასხამს წყალს.

დღესაც ეს პროცესი მიდის — ნიჰილიზმის თესვა და შემდგომ აბსოლუტურად გაბრუებული ხალხის ხარჯზე, უკან ხელისუფლებაში მოსვლა. ასე, როდემდე უნდა გაგრძელდეს? ერთადერთი რამაც შეიძლება ეს მოჯადოებული წრე გაარღვიოს, ესაა, ვიმეორებ, ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ადამიანს ღვთისა და ერის წინაშე ავალდებულებს პასუხისმგებელი იყოს, არ ცდუნდეს და იმ მიმართულებით არ გადაიხაროს, რომელიც წინაპართა ძვლებს შეურაცხყოფს. მახსენდება, ზვიად გამსახურდიას მოწოდება — სრული ეროვნული კონსოლიდაცია გვმართებს, ქართული პოლიტიკის განხორციელებას მამულიშვილები და ერისკაცები ესაჭიროება. ესაა დღეს საჭირო.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

## ზაქარია ქუცნაშვილი: მორალისგან შორს არმყოფი პარტიები ნაციონალურ მოძრაობასთან საქმეს არ დაიჭერენ



ჩემი აზრით, არცერთი ოპოზიციური ჯგუფი, რომელიც მორალისგან შორს არ არის, ნაციონალურ მოძრაობასთან საქმეს არ დაიჭერს, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა. მან კომენტარი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინიციატივაზე გააკეთა, რომელიც მთავრობის გადაყენებისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით პოლიტიკურ ძალებთან მოლაპარაკებებს იწყებს.

ქუცნაშვილის შეფასებით, პოლიტიკური პარტიისთვის „ნაციონალებთან“ აპელირება საკუთარ მომავალზე უარის თქმას ნიშნავს.

„ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, გახდეს მისაღები, მათ შორის ოპოზიციისთვის. ეძებს მიზეზებს, რომ მაკოორდინებელის ფუნქცია შეითავსოს. ეს პოლიტიკური ჯგუფი იმდენად დამძიმებულია თავისი დანაშაულებრივი წარსულით, რომ მათთან აპელირება საკუთარ მომავალზე უარის თქმაა.

ნაციონალური მოძრაობის წარსული ვერ იქნება მაგალითი მომავლისათვის. მათი მართვის ფილოსოფია თავიდან ბოლომდე მორალისგან დაცლილი იყო“, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

## დავით ნარმანია: მომსახურებების საფასურის ზრდის გამო „თბილისობის“ ბიუჯეტი გაიზარდა



თბილისის მერი დავით ნარმანია „თბილისობის“ ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.

როგორც დავიათ ნარმანიამ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, თბილისობის დღესასწაული 17-18 ოქტომბერს გაიმართება და მისი ჯამური ბიუჯეტი 977 000 ლარს იქნება.

მისივე განმარტებით, წელს “თბილისობას” დაემატა ღონისძიებები და ძირითადად ამან გამოიწვია ბიუჯეტის ზრდა.

„17-18 ოქტომბერს თბილისობის ტრადიციული დღესასწაული გაიმართება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაული და, შესაბამისად, ჩვენ საინტერესო პროგრამა გავაკეთეთ, საზოგადოების ფართო ჩართულობით. ღია კონკურსი გვქონდა გამოცხადებული და საუკეთესო წინადადებები იქნა შერჩეული. გასართობი ღონისძიებები იქნება როგორც პატარებისთვის, ასევე, დიდებისთვის. ძირითადი აქცენტი თბილისის, როგორც ეკოლოგიურად მდგრადი, სუფთა და მწვანე ქალაქის კონცეფციიდან იქნება აღებული. საკმაოდ ბევრს სტუმარს ველოდებით როგორც საქართველოდან, ასევე, უცხოეთიდან. ხარჯთაღრიცხვა უკვე დაწყებულია, გავლილია ძირითადი მიმართულებები. ჯამური ბიუჯეტი 977 ათას ლარს შეადგენს. ცალკეული მომსახურეობების საფასური გაზრდილია, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის ზრდა“, - განაცხადა დავიით ნარმანიამ.

## სასჯელაღსრულების სამინისტრო აუდიტის დასკვნაზე განმარტებას აკეთებს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. „მედიანიუსი“ მას უცვლელად გთავაზობთ:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნასთან დაკავშირებით, რომელიც 2013-2014 წლებში კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერებს და ამავე წლებში გაცემულ პრემიების საკითხს ეხება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აცხადებს, რომ როგორც იმდროინდელი დოკუმენტაციით ირკვევა, კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013-2014 წლებში ჩატარებულ ტენდერებში მონაწილეობა ნებისმიერ კომპანიას შეეძლო და ამ კუთხით რაიმე სახის შეზღუდვა არ ყოფილა.

ამავე დოკუმენტების თანახმად, დროის უქონლობის გამო შეიქმნა ექსტრემალური ვითარება და სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც თავიდან აიცილა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა კვების ორგანიზების ჩაშლა.

რაც შეეხება 2013-2014 წელს გაცემული პრემიების საკითხს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აცხადებს, რომ თუ სახელმწიფო აუდიტის სამსახური თვლის, რომ როგორც კვების ტენდერების, ისე პრემიების გაცემის საკითხში, შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მიმართოს მთავარ პროკურატურას კანონით დადგენილი წესით გამოძიების დაწყების მიზნით.

# გენმოდიფიცირებული გენოციდი

## აიკრძალება თუ არა საქართველოში კეთილშობილი იდეებით „შეფუთული“ ქიმიურ-ბიოლოგიური იარაღის შემოტანა?

**გახშირებული ეკოლოგიური კატასტროფები, კლიმატის გლობალური ცვლილებები და სრულიად ახალი, საშიში დაავადებების გამოჩენა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებს აიძულებს ადამიანის ბუნებაში ჩარევის მასშტაბებსა და აქედან მომდინარე საფრთხეებზე იფიქრონ. ჩვენს წინა ნომრებში მკითხველს გმო ტექნოლოგიებისგან გამომდინარე საფრთხეებსა და ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ საკანონმდებლო ინიციატივაზე ვუამბეთ, რომელიც საქართველოს გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებისგან თავისუფალ**




**ზონად გამოცხადებას ეხება. ვაგრძელებთ თემას და მიმოვიხილავთ, როგორ მოქმედებს გმო გარემოსა და კლიმატურ პირობებზე, როგორია მისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი და ზარალი, რომელიც ბუნებას და ქვეყნის ეკონომიკას მისი წარმოებით ადგება.**

ჩვენს წინა წერილებში ვწერდით, რომ ახალი ბიოტექნოლოგიის განვითარება, რომლის საშუალებით ნირშეცვლილი ანუ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) მიღება ხდება, წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნებისა და ისედაც მცირერიცხოვანი გენოფონდის გათვალისწინებით, საქართველოს მრეწველთა კავშირმა გმო ტექნოლოგიებში იმთავითვე საფრთხე დაინახა და საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით იმ მეცნიერებს დაუკავშირდა, რომლებიც საქართველოში გმო-ს გავრცელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. 1996 წელს სოფლის მეურნეობის იმდროინდელი მინისტრის თაოსნობით, ამერიკული გენმოდიფიცირებული **BT** კარტოფილის თესლის შესყიდვისა და საქართველოში გავრცელებისთვის ქვეყანამ 2 მილიონიანი კრედიტი აიღო. ამ მზაკვრულ გეგმას დაუპირისპირდნენ აკადემიკოსი გივი თუმანიშვილი, ბიომეურნეობათა ასოციაციის პრეზიდენტი ნანა ნემსაძე, თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის გენეტიკის კათედრის გამგე თემურ ლეჟავა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მზევინარ ღოღობერიძე. მეცნიერთა მცდელობამ შედეგი გამოიღო და პარლამენტის გარემოს დაცვისა და აგრარული კომიტეტების გაერთიანებული სხდომების გადაწყვეტილებით, გენმოდიფიცირებული **BT** კარტოფილის განადგურება გადაწყდა.

გმ ტექნოლოგიებისგან მომდინარე საფრთხეები არც ეკლესიის ყურადღების მიღმა დარჩენილა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოსთვის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელებისა და მათგან დამზადებული საკვების გამოყენების მიზანშეუწონლობაზე ისაუბრა: **„ამ მიმართულების მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ ისინი იგივე საქმიანობას ეწევიან, რასაც, მაგალითად, სელექციონერები, რომელთაც უკეთესი ჯიშები გამოყავთ.მართალია, გენების გადაცემა სელექციის დროსაც ხდება, მაგრამ მხოლოდ ერთი სახეობის ან მონათესავე სახეობის ინდივიდებს შორის. სელექციის დროს ბრინჯი შეიძლება შეჯვარდეს მხოლოდ ბრინჯის სხვა ჯიშებთან, მაგრამ არა მაგ. ვაშლთან. გენური ინჟინერიის შემთხვევაში კი ეს ბარიერი მოხსნილია; გენი გადააქვთ მცენარიდან მცენარეში, მცენარიდან ცხოველში, მცენარიდან, ცხოველიდან ან ბაქტერიიდან - ადამიანში და ა.შ. ამ დამახინჯებულ გენებს კი აქვთ გამრავლების უნარი, რაც ღვთის მიერ ათასწლეულების განმავლობაში დაწესებული სახეობათშორისი საზღვრებისა და წესრიგის დარღვევას იწვევს, ეს კი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს გარემოს და ჩვენს სულიერ სამყაროსაც დააზიანებს. გამოსავალი ერთია, უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე. ამასთან, ვიმედოვნებთ, ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს, რათა ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტადაც იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება.თუ ეს განხორციელდა, იგი დიდ სტიმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ისე ამ სფეროში გადამამუშავებელი ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზეც ქართულ პროდუქციას თავის ადგილს დაუმკვიდრებს.“** — ბრძანა ილია მეორემ.

„თქვა ღმერთმა აღმოაცენოს მიწამ მცენარეული—ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარის მიხედვით და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე.“ სწორედ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის მიძღვნილ ნაშრომში „რატომაა გენმოდიფიცირებული ორგანიზმები საშიში?“ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მზევინარ ღოღობერიძე გმო ტექნოლოგიებსა და მათგან მომდინარე საფრთხეებზე საუბრობს: ღვთის ეს კანონი მცენარეებსა და ცხოველებში ევოლუციურადაა დაცული—სხვადასხვა სახეობის ორგანიზმები ერთმანეთს არ ეჯვარება, ხოლო მათი ხელოვნური შეჯვარებისას, შთამომავლობა უნაყოფოა.

გამოჩენილი მეცნიერი თავის ნაშრომში ყურადღებას გმო ტექნოლოგიის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე ამახვილებს და განმარტავს, რომ კითხვას, არის თუ არა, გმო მოსალოდნელი გლობალური შიმშილისგან გადარჩენის საშუალება, 2008 წელს გმო ტექნოლოგიების წინააღმდეგ გაეროსა და „მსოფლიო ბანკის“ ერთობლივმა გამოსვლამ უპასუხა. 400-მდე გამოჩენილი მეცნიერის მიერ ხელმოწერილ მოხსენებაში წერია, რომ დღეისთვის განვითარებული ქვეყნები ისეთი რაოდენობით ჭარბ პროდუქციას აწარმოებენ, რომ შემდეგ ფასის სტაბილიზირების მიზნით, მისი განადგურება უწევთ. ამ დროს, მსოფლიოს ბევრ ადგილზე ადამიანები შიმშილობენ. მეცნიერები განმარტავენ, რომ მოშიმშილე ადამიანების დახმარება მოწინავე ქვეყნების წარმოებული ჭარბი პროდუქციის გადანაწილებით უნდა მოხდეს და არა ბოლომდე შეუსწავლელი და საფრთხის შემცველი ტექნოლოგიებით მიღებული მცენარეებით. შესაბამისად, თანამედროვე საწარმოო და სავაჭრო სისტემები მოგების გაზრდაზე ფიქრის გარდა თუ ადამიანის ინტერესებზეც იზრუნებენ, გმო ტექნოლოგიებით შექმნილი საშიში პროდუქცია საჭირო აღარ იქნება.

გმო-მ კომერციული გამოყენება 20 წლის წინ დაიწყო. ბუნებრივია, ასეთ მოკლე დროში გარემოზე მისი ზემოქმედების ხარისხების ზუსტად დადგენა, საკმაოდ რთულია. შესაბამისად, მეცნიერებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ ყველა იმ შესაძლო შედეგის ზუსტი პროგნოზირება გააკეთონ, რომელიც გმო-ს ფართო გავრცელებას მოჰყვება. ამის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ არსებობს საშიშროება, ადამიანის ჩარევით შეიცვალოს ცოცხალი ორგანიზმების მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის ცნობილი კანონები.

2008 წელს ტურინის მე-3 საერთაშორისო ფორუმზე, რომელშიც მსოფლიოს 160 ქვეყნის 8000-ზე მეტმა წარმომადგენელი მონაწილეობდა, ხელი მოეწერა მანიფესტს კლიმატის ცვლილებებსა და საკვების უსაფრთხოებაზე. მანიფესტში აღნიშნულია გმო გავრცელების საშიშროება, გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილება და კლიმატის შეუქცევადი გაუარესება.

ქალაქ მაინცის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებული საინტერესო კვლევის თანახმად, ატმოსფერული ნალექებისა და ნისლების გამომწვევი შეიძლება ბუნებაში არსებული ცოცხალი ორგანიზმები იყოს, ვინაიდან, ჰაერის ნაწილაკების 80% ბაქტერიები, ვირუსები, წყალმცენარეები, და სოკოების სპორები, შეადგენენ. მაგალითად, წვიმის წვეთებისა და თოვლის ფანტელების შექმნაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ყინულწარმომქმნელი ბაქტერიები. კვლევებით დადგენილია, რომ ამ ბაქტერიების გენომის შეცვლამ სერიოზული გავლენა მოახდინა გარემო პირობებზე. კერძოდ, ბუნებაში წარმოქმნილმა ბაქტერიათა მუტანტებმა დაიწყეს ბუნებრივი ბაქტერიების დათრგუნვა. სავარაუდოდ, ამას უკავშირდება მთელ რიგ რეგიონებში დაბალ ტემპერატურებზე უთოვლობა.



**ზუსტი პასუხი იმაზე, უკავშირდება თუ არა გმო წარმოებას ბუნებრივი კატაკლიზმების გახშირება, წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყერები და ა.შ. მეცნიერთა კვლევის საგანია, თუმცა ამ მიმართულებით მეცნიერთა გარკვეული მინიშნებები უკვე არსებობს. 2004 წელს, ბელგიის ქალაქ ლიეჟში, ნატოს ერთ-ერთი კომიტეტის სხდომაზე გაკეთდა განცხადება, რომ ტერორისტების ხელში გმო შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ბიოლოგიური იარაღი. მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ გმო შესაძლოა ქიმიურ იარაღადაც იქნას გამოყენებული, ვინაიდან პესტიციდებისა და სხვა შხამქიმიკატებისადმი მდგრადი გმ მცენარეები ამ ნაერთების შემგროვებლებად თავად გვევლინებიან.**

თავის ნაშრომში მზევინარ ღოღობერიძე ამერიკელი ავტორის ფრედერიკ უილიამ ენგდალის წიგნს „განკითხვის დღის საცავსაც“ ახსენებს. საუბარია 2008 წლის 26 თებერვალს ნორვეგიაში კუნძულ სვალბარდზე ოფიციალურად გახსნილ გიგანტურ საცავზე „**svalbord global seed vault**“, რომელსაც 6 მილიონი სახეობის თესლის დატევა შეუძლია. საცავის შექმნის ოფიციალურად დეკლარირებული მიზანი გლობალური კატასტროფების შემთხვევაში (ბირთვული ომები, გლობალური დათბობა ან სტეროიდთან შეჯახება) მცენარეთა თესლების გარემო ზემოქმედებისგან დაცვაა. მთის სიღრმეში განთავსებულ საცავამდე მისასვლელად, გაყვანილია სპეციალური ტიხრებითა და ჰერმეტული კარებით აღჭურვილი 120 მეტრიანი გვირაბი. ყველაზე საინტერესოა, რომ ამ გრანდიოზული პროექტის სპონსორები გმო-ს შემქმნელები „მონსანტო“, „დიუ პონტი“, „სინგენტა“ და „დიუ ქემიკალი“ არიან. საცავის შექმნის რეალური მიზნების შესახებ უამრავი ვერსია და მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, „განკითხვის დღის საცავის“ პროექტის სპონსორები გმო-ს გავრცელებისგან გამოწვეულ კატასტროფას ელოდებიან, რომ იმ დროისთვის ბუნებრივი თესლების ერთადერთი მეპატრონეები გახდნენ. სადამდე მივა უზარმაზარი მოგების მსურველთა დაუძლეველი ფანტაზიები, უცნობია, თუმცა ნორვეგიის მთავრობის სამეცნიერო მრჩეველი, პროფესორი ტრევიე ტრაავიკი, რომელიც 20 წელზე მეტია მუშაობს გენური ინჟინერიის სფეროში დარწმუნებულია, რომ გარემოსთვის უცნობი გენმოდიფიცირებული კონსტრუქციებიდან უფრო დიდი საფრთხე მომდინარეობს, ვიდრე ქიმიური ნაერთებიდან.




ჩვენს წინა წერილებში ვრცლად ვისაუბრეთ იმ გამანადგურებელ ზემოქმედებაზე, რომელსაც გმო ადამიანის ორგანიზმზე ახდენს, ამიტომ ამჯერად მკითხველის ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე გახშირებულ გამოვლინებაზე შევაჩერებთ. როგორც ცნობილია, კვებით ალერგიას საფუძვლად ორგანიზმის იმუნური მექანიზმების მოშლა უდევს. ალერგიების ყველაზე მძიმე გამოვლინებად კი საკვე-

ბის ალერგიის სისტემური რეაქცია- ანაფილაქსია ითვლება. სტატისტიკით, აშშ-ში ყოველწლიურად, საკვები პროდუქტებით გამოწვეული ანაფილაქსიური შოკით 100 ადამიანი იღუპება. საკვები ცილებით გამოწვეული ალერგიულობის მექანიზმი ასეთია: ცილების დაშლა ადამიანის კუჭსა და ნაწლავებში მიმდინარეობს და ამ პროცესში სხვადასხვა ფერმენტების დიდი რაოდენობა მონაწილეობს. მიუხედავად ამისა, ყველა ცილის ამინომჟავებამდე დაშლა, უზრუნველყოფილი არაა. სწორედ ცილამ შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერ ორგანიზმში სიცოცხლისთვის საშიში გართულებები. მცენარის განვითარების ამა თუ იმ ფაზაში გამოყოფილი ცილის შესწავლა ვერ გვიპასუხებს, თუ როგორი იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაზრდილი ტრანსგენური მცენარის შემადგენელი ნაერთების ზეგავლენა ადამიანზე.




უზარმაზარი ფულადი რესურსის მქონე გმო-ს მწარმოებლები მსოფლიოში უდიდესი გავლენით სარგებლობენ და მათი ბიზნესისთვის წამგებიანი სამეცნიერო კვლევების დაბლოკვას ყველანაირად ცდილობენ, თუმცა მათი მცდელობები ყოველთვის შედეგიანი არაა. 2006 წლის მარტში „ბიოუსაფრთხოების კონფერენციაზე“ მოხსენება გააკეთა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ირინა ერმაკოვამ. მეცნიერის თქმით, გმო-მ შეიძლება გამოიწვიოს ონკოლოგიური დაავადებები, უშვილობა, ალერგიები, ახალშობილთა პათოლოგიები და სიკვდილიანობა. მცენარეთა და ცხოველთა რიცხობრიობის გაქრობა.

2012 წელს ევროპა შოკირებული იყო ფრანგი მეცნიერების მიერ ჩატარებული ცდების შედეგებით. კანის უნივერსიტეტის მკვლევარები 2 წლის განმავლობაში კვებავდნენ ვირთხებს მონსანტოს წარმოების ნ„ 603 სიმინდით. შედეგად, მდედრ ვირთხებს სარძევე ჯირკვლებზე დაახლოებით მაგიდის ჩოგბურთის ზომის სიმსივნეები განუვითარდათ. კვლევის შედეგების გამჟღავნებას ევროპის ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.

საინტერესოა, როგორია გმო კულტურების მოყვანით მიღებულ ეკონომიკური სარგებელი, რაზეც გმო ტექნოლოგიების დამცველები აპელირებენ. როგორც გაირკვა, სულ უფრო მეტი ფერმერი რწმუნდება, რომ გენმოდიფიცირებული კულტურების მოყვანა მხოლოდ თესლის მწარმოებლებისთვის არის მომგებიანი. გმო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კომერციული წარმოება აშშ-ში1996 წელს დაიწყო და აქედან მოყოლებული, გმო-ს მიერ დაკავებული ტერიტორიების ფართი და პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი სულ უფრო იზრდება. მოგებას იღებს გმ თესლების მწარმოებელი რამდენიმე კომპანია „**MONSANTO**“, “**OVARTIS**”, “**AVENTIS**”, “**DIU PONT**” და სხვები. რაც შეეხება ფერმერების მოგებას, 2004 წელს ამერიკელმა ფერმერებმა გმ თესლებში 2,2 მილიარდი დოლარი გადაიხადეს, რაც 2001 წელთან შედარებით, 1 მილიარდით მეტია, თუმცა ჰიბრიდული სიმინდით „აშენების“ მომლოდინე ქართველი გლეხების მსგავსად, ამერიკელებიც იმედგაცრუებულნი დარჩნენ. აღმოჩნდა, რომ გიგანტური შემოსავალი, რომელსაც ფერმერებს პირდებოდნენ, ბუნებაში არ არსებობს. ვფიქრობთ, ზოგიერთი ქართველი ეკონომისტისთვის, რომელიც გმო ცოცხალი ორგანიზმების შემოტანას ეკონომიკური ფაქტორით ამართლებს, საინტერესო იქნება აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ 2000 წელს შტატების ტერიტორიაზე მოყვანილი ჩვეულებრივი და გმ სოიოს მოსავლიანობაში უმნიშვნელო განსხვავებაა.

ილინოისი—ჩვეულებრივი სოიო 3,9 (ტ/ჰა) . გმ სოიო 4,04 (ტ/ჰა)

აიოვა—ჩვეულებრივი სოიო 4,10(ტ/ჰა). გმ სოიო 3.83(ტ/ჰა)

მიჩიგანი—ჩვეულებრივი სოიო 4,44(ტ/ჰა). გმ სოიო 4.30(ტ/ჰა)

მინნესოტა—ჩვეულებრივი სოიო(ტ/ჰა) 4.44. გმ.სოიო 4.10(ტ/ჰა)

ნებრასკა—ჩვეულებრივი სოიო(ტ/ჰა) 3, 90. გმ.სოიო 3. 43(ტ/ჰა)

**„გმო კულტურების მოყვანამ შეიძლება მიგვიყვანოს გარემო პირობების მკვეთრ გაუარესებამდე, კლიმატური პირობების ცვლილებამდე და ბიოსფეროს შეუქცეველ ნგრევამდე.“**

ოჰაიო— ჩვეულებრივი სოიო 4.04. (ტ/ჰა) გმ.სოიო 3.90 (ტ/ჰა)

სამხრეთ დაკოტა – ჩვეულებრივი სოიო 3.30. (ტ/ჰა) გმ.სოიო 2,96(ტ/ჰა)

ვისკონსინი— ჩვეულებრივი სოიო (ტ/ჰა) 4.77. გმ სოიო 4.64 (ტ/ჰა)

ანალიგიური შედეგები იქნა მიღებული, გენმოდიფიცირებული სიმინდის და რაფსის მოსავლიანობისა და ხარჯების განსაზღვრისას.

რამდენიმე წლის წინ ევროკავშირში გამოქვეყნდა მოხსენება **(who benefits from GM crops? An analisis of the global performance of genetically modified (GM) GROPS 1996-2006)**, რომელშიც მკაფიოდ იყო მინიშნებული, რომ განვლილ ათწლეულში ტრანსგენურმა კულტურებმა ვერავითარი სარგებელი ვერ მოიტანა: ფერმერებმა ვერც მოგება მიიღეს, ვერც პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები გააუმჯობესეს და ვერც ადამიანები იხსნეს შიმშილისგან. სამაგიეროდ, გმ კულტურების წარმოებით მიიღეს უკიდურესად უარყოფითი გავლენა ბუნებაზე და გამოიწვიეს მისი ბიომრავალფეროვნების შემცირება. მოახდინეს უარყოფითი ზემოქმედება ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე.

სულ ახლახან, რუსული გამოცემა **„არგუმენტი ი ფაქტი“** რუსული მიწების უცხოელებისთვის იჯარით გადაცემის ნეგატიურ შედეგებზე წერდა და მაგალითად, 2 წლის წინ ჩინური კომპანიების მიერ ერთ-ერთ ოლქში 100 000 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის იჯარით აღებას ასახელებდა. გამოცემის ინფორმაციით, ჩინელები მიწას 3-5 წლიანი იჯარით იღებდნენ, თუმცა რატომღაც ერთი ან ორი წლის შემდეგ ტოვებდნენ. როგორც გაირკვა, ჩინელებს შემოჰქონდათ გენმოდიფიცირებული სოიოს თესლი და შხამქიმიკატები. ერთ ჰექტარ მიწის ფართობზე დაახლოებით, 25 ცენტნერ გენმოდიფიცირებულ სოიოს იწევდნენ, ადგილზე ყიდდნენ და მიღებული ფულით შეძენილი ნატურალური სოიო საკუთარ ქვეყანაში მიჰქონდათ. გამოცემა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას, რომ ძვირადღირებული სამუშაოების ჩატარების გარეშე (დანახარჯი1 ჰექტარზე 1000 დოლარს შეადგენს), იმ მიწის სახნავ-სათესად გამოყენება, რომელზეც ორი წლის განმავლობაში გმ კულტურები მოჰყავდათ, შეუძლებელია. ამ გამოფიტულ მიწაზე აღარაფერი ხარობს, ის ჩვენთვის სრულიად გამოუდეგარია. გამოდის, რომ ჩვენს მიწაზე უცხოელების შემოშვებით ქვეყანა გავალატაკეთ—წერს რუსული გამოცემა.

საქართველომ, რომელიც თავისი გამორჩეული ბიომრავალფეროვნებით მსოფლიოს გამორჩეულ 20 ქვეყანაში შედის, განსაკუთრებულად უნდა იფიქროს ამ საშიშროებაზე და დაიცვას თავისი საგანძური, მით უმეტეს, რომ ევროპის სულ უფრო მეტი ქვეყანა უერთდება გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების კულტივირება-მოყვანის აკრძალვის მიზნით დაწყებულ „მწვანე ტალღას“. ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ უკვე ისარგებლა ახალი რეგულაციებით და სრულად აკრძალა თავის ტერიტორიაზე გმ ცოცხალი ორგანიზმების (სათესლე მასალა) ინტროდუქცია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ დანია, ლუქსემბურგი და მალტა შეუერთდნენ ევროპის იმ ქვეყნების მზარდ სიას, რომლებმაც ზურგი შეაქციეს გმო მარცვლოვან კულტურებს. გმო კულტურებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდა ავსტრია, ბულგარეთი, ხორვატია კვიპროსი, საბერძნეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი,



სლოვენია, უელსი, შოტლანდია და ჩრდ ირლნალდია. ამ ქვეყნებმა კატეგორიული უარი უთხრეს გმოოს ყველა კულტურას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყნებმა რომლებსაც გმო პროდუქციის წარმოებაში მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, ვერ აღმოაჩინეს მისი უპირატესობა. გმო კულტივაციის ხარჯზე, მათი ეკონომიკა არ გაზრდილა და შედეგით კმაყოფილები არ არიან, ამიტომ მისი ქვეყნის მასშტაბით აკრძალვა მსოფლიო ტენდენციად იქცა. ამ პროცესის პარალელურად, ბიოლოგიურ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება.

წერილის ბოლოს გთავაზობთ ეკოლოგიური ორგანიზაცია **„გრინფისის“** მიერ შედგენილ სიას, რომელშიც გენმოდიფიცირებული პროდუქციის არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები არიან შეყვანილი. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მათ შორის ბევრია იმ საბავშვო კვების პროდუქტების მწარმოებელი, რომლებიც საქართველოს სუპერმარკეტებში თავისუფლად იყიდება და არანაირიმინიშნება, რომ მათ შემადგენლობაში გენმოდიფიცირებული ინგრედიენტებია, არ აქვს.

1. **Hershey's Cadbury Fruit&Nut**-ის შოკოლადის ნაწარმი
2. **Mars M&M**
3. **Snickers**
4. **Twix**
5. **Milky Way**
6. **Cadbury** (ქედბერი) შოკოლადი, კაკაო
7. **Ferrero**-ს ნაწარმი
8. **Nestle** ნესტლეს პროდუქცუა, შოკოლადები **Nestle, Россия**
9. შოკოლადის სასმელი **Nestle Nesquik**
10. გამაგრილებელი სასმელი **Coca-cola**
11. სპრაიტი , ფანტა, ტონიკი კინლი, ფურქტაიმი
12. კომპანია პეპსიკოს – **Pepsi**
13. **7-Up**, ფიესტა, მოუნთინ დიუ
14. **Kellogg's** – ის მშრალი საკვები
15. **Campbell** – ის სუპები
16. **Uncle Bens Mars** – ის ბრინჯი
17. **Knorr**–ის სოუსები
18. **Lipton**–ის ჩაი
19. **Parmalat**–ის ნამცხვრები
20. **Hellman's** –ის მაიონეზები და სოუსები
21. **Heinz** - ის მაიონეზები და სოუსები
22. **Nestle**–ს საბავშვო კვება
23. **Hipp**
24. **Abbot Labs Similac**
25. **Denon**-ის იოგურტები, კეფირი, ყველი და საბავშვო კვება.
26. **McDonald's**-ის სწრეფი კვების რესტრონები მთლიანად
27. **Kraft**-ის შოკოლადები, ჩიპსები, ყავა და საბავშვო კვება
28. **Heinz Foods** - სოუსები და კეტჩუპები
29. **«Делми» Unilever** – საბავშვო საკვები პროდუქცია

**თანამეგობრობის ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია**

- АООТ «Нижегородский масложировой комбинат» (მაიონეზი «Ряба», «Впрок» და სხვა)
- ЗАО «Балтимор-Нева» - კეტჩუპები
- ЗАО «Микояновский мясокомбинат» — პაშტეტი, ფარში
- ЗАО ЮРОП ФУДС ГБ» — სუპები «Галина Бланка»
- კონცერნი «Белый океан» — ჩიპსები «Русская картошка»
- ОАО «Лианозовский молочный комбинат» — იოგურტები «Чудо-молоко», «Чудо-шоколад».
- ОАО «Черкизовский МПЗ» — გაყინული ხორცის ფარში
- ООО «Кампина» — იოგურტები, საბავშვო კვება
- ООО «МК Гурман» — პაშტეტი
- ООО «Фрито» — ჩიპსები «ლეის»
- ООО «Эрманн» — იოგურტები
- ООО «Юнилевер СНГ» — მაიონეზი «**Calve**»
- Фабрика «Большевик» — ნამცხვარი «Юбилейное»

**“გრინფისის” შავ სიაშია შესული შემდეგი კომპანიები**

«Дарья — ნახევრადფაბრიკატები», ООО "Мясокомбинат Клинский", МПЗ "Таганский", МПЗ "КампоМос", ЗАО "Вичюнай", ООО "МЛМ-РА", ООО"Талосто-продукты", ООО "Колбасный комбинат "Богатырь", ООО "РОС Мари Лтф".

**მწარმოებელი კომპანია:** Unilever: Lipton (ჩაი), Brooke Bond (ჩაი), «Беседа» (ჩაი), Calve (მაიონეზი, კეტჩუპი), Rama (კარაქი), «პიშკა» (მარგარინი), «დელმი» (მაიონეზი, იოგურტი, მარგარინი), «ალგიდა» (ნაყინი), Knorr (საკვები დანამატები და მაიონეზი);

**მწარმოებელი კომპანია Nestle**: Nescafe (ყავა და რძე), Maggi (სუპი, ბულიონი, მაიონეზი, Nestle (შოკოლადი), Nestea (ცივი ჩაი), Neseqiuk (კაკაო);

**მწარმოებელი კომპანია Kellog's** (Corn Flakes , Frosted Flakes , Rice Krispies , Corn Pops, Smacks , Froot Loops, Apple Jacks , Aflbran Apple Cinnamon/ Blueberry , Chocolate Chip , Pop Tarts , Nulri grain , Crispix , All-Bran , Just Right Fruit & Nut , Honey Crunch Corn Flakes , Raisin Bran Crunch , Cracklin'Oat Bran)

**მწარმოებელი კომპანია Hershey's** (Toblerone (yvelas saxis Sokoladi), Mini Kisses, Kit-Kat , Kisses , Semi-Sweet Baking Chips, Milk Chocolate Chips , Reese's Peanut Butter Cups, Special Dark , Milk Chocolate , Chocolate Syrup , Special Dark Chocolate Syrup , Strawberry Syrup)

**მწარმოებელი კომპანია Mars** (M&M'S, Snickers, Milky Way, Twix, Nestle, Crunch, Milk Chocolate Nestle , Nesquik (Sokoladis sasmeli), Cadbury (Cadbury/Hershey's), Fruit & Nut)

**მწარმოებელი კომპანია Heinz** (Ketchup (regular & no salt) , Chili Sauce, Heinz 57 Steak Sauce )

**მწარმოებელი კომპანია Coca-Cola** (Coca Cola, Sprite, Charry Cola, Minute Maid Orange, Minute Maid Grape)

**მწარმოებელი კომპანია PepsiCo** (Pepsi, Pepsi Cherry, Mountain Dew)

**მწარმოებელი კომპანია Frito — Lay / PepsiCo** (Lays Potato Chips, Cheetos)

**მწარმოებელი კომპანია Cadbury / Schweppes** (7-Up, Dr. Pepper)

**მწარმოებელი კომპანია Pringles Procter&Gamble** (Pringles – Original, LowFat, Pizzalicious, Sour Cream & Onion, Salt & Vinegar, Cheezeums).

**და ბოლოს, ჩვენ ვდგავართ დიდი არჩევანის წინაშე. უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, თუ რა სახის პროდუქტით გვინდა გავაძლიეროთ ქვეყნის ეკონომიკა და გავზარდოთ ჩვენი შვილები, ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი ქართული კულტურებით თუ ხელოვნურად შექმნილი ჰიბრიდებით, რომელიც დღეს ევროპაში ასე მკაცრად იკრძალება? ჩვენს ქვეყანაში უკვე წლების განმავლობაში მიმდინარეობს ბრძოლა იმისთვის, რომ აიკრძალოს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ინტროდუქცია და მოხდეს გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების შემცველი პროდუქციის თვალსაჩინო და მკაფიოდ გამოხატული მარკირება. ამ მოძრაობას სათავეში უდგას საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“ გამოჩენილ სამეცნიერო წრეებთან ერთად. ვფიქრობთ, რომ ამ ბროლაში საზოგადოება შორიდან მაყურებლის პოზიციას არ უნდა დასჯერდეს, რადგან საბოლოო არჩევანი მხოლოდ ჩვენი მისაღებია.**

მაგალითად: ტრანსგენური მცენარის რეგულატორულ მექანიზმს აქვს მოქმედების ნაკლი, რაც ბუნებრივ პირობებში არ ხდება. მცენარეებში გენოტიპის 50 000-ზე მეტი გენიდან დღეისთვის ,ზოგიერთ სახეობაში შესწავლილია 200-300 გენი. გენური ინჟინერიით მხოლოდ ერთი გენის გადანერგვა ხდება, რაც პოლიგენიური ნიშანთვისების ჩამოყალიბებას ხელს ვერ შეუწყობს. არაა შესწავლილი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმში ჩეშენებული გენის მრავლობითი მოქმედება და გენთა ურთიერთმოქმედება. არ არის გათვლილი ორგანიზმში ანტიბიოტიკებისადმი გამძლე მარკერული გენების ჩაშენებასთან დაკავშირებული რისკები და ა.შ.

**ნელი თორდია**
**571 35 36 88**

# დათო გოგიშვილი: სამართალმა რომ იზეიმოს, ნიკა გვარამია ციხეში უნდა იჯდეს!

**ინტერვიუ ისტორიკოსთან, „რუსთავი-2“-ის ყოფილ თანამშრომელთან**
**დათო გოგიშვილთან**

**— დათო, ბოლო ხანებში სოციალურ ქსელში ხშირად აქვეყნებთ თქვენს მოსაზრებებს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გარშემო შექმნილ მოვლენებთან დაკავშირებით.**

— ამ დღეებში ნიკა გვარამიამ განაცხადა: „რუსთავი-2“-ი ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, დახურაო, ეს არის ვითარების ხელოვნურად დაძაბვის მცდელობა, რადგან, სინამდვილეში, დახურვაზე საუბარი არაა. მიმდინარეობს მართლმსაჯულების აღსრულების პროცესი და კანონიერი მფლობელის გარკვევის მცდელობა.

როცა საუბარია თავისუფალი მედიის შეზღუდვაზე, ჩემთვის გაურკვეველია ასეთი პრეტენზიები, რადგან მიმდინარეობს ჩვეულებრივი სამართალწარმოება და იმის გარკვევა, თუ ვინ არის ტელეკომპანიის კანონიერი მფლობელი.

ჟურნალისტების გარკვეულმა ჯგუფმა უკვე საჯაროდ მოახდინა საკუთარი თავის ლუსტრირება, წარმოაჩინა თავი, როგორც მხარემ და არა, როგორც მიუკერძოებელმა პირმა. ჩემი აზრით, მათ მორალური უფლება აღარ ექნებათ დეოკუპირებულ „რუსთავი-2“-ში იმუშაონ. აი, აქ იკვეთება ძირითადი კვანძი, რის გამოც არიან ასე აღშფოთებულნი.

„რუსთავი-2“-ის გაკეთილშობილება, მისი დაბრუნება სატელევიზიო კონკურენციის პირობებში და ჩვეულებრივ ჟურნალისტურ სივრცეში, გამოიწვევს ე. წ. ნაციონალი ჟურნალისტების გამარგინალებას, მათ წასვლას ჟურნალისტიკიდან. ეს არის მათი გაღიზიანების მიზეზი. ამ ტელეკომპანიის ბევრ თანამშრომელს არავითარი ცვლილება არ შეეხება, მაგრამ ზოგიერთებს შეცდომაში შეჰყავთ ისინი, აშინებენ — ტელევიზია იხურება და ათასი უბედურება მოხდებაო.

**— თქვენ რომელ წლებში მუშაობდით ამ ტელეკომპანიაში?**

— 2005-2012 წლებში.

როდესაც იქ მივედი სამუშაოდ, **ქიბარ ხალვაში** იყო ტელეკომპანიის ხელმძღვანელი და უნდა აღვნიშნო, ძალიან კარგი სამუშაო სიტუაცია დამხვდა ყველა თვალსაზრისით.

იმ ხანებში, როგორც ჩანს, სააკაშვილი მიხვდა, რომ ეს ტელევიზია, შესაძლო იყო, არ დამორჩილებოდა და დაიწყო მისი განეიტრალება. მაშინ უკვე ნათელი გახდა, ადამიანები, რომლებიც შევარდნაძეს ებრძოდნენ, თვითონ დაინტერესდნენ შევარდნაძის კორუფციული სქემებით, მოეწონათ კიდევაც იმდროინდელი მაქინაციები და მერე თვითონვე გახდნენ ისეთები, რის წინააღმდეგაც, თითქოსდა, თავიდან იბრძოდნენ. თვითონვე გახდნენ ჩინოვნიკები. ჩინოვნიკად ჟურნალისტი არასდროს უნდა იქცეეს — სიტყვის თავისუფლების და ობიექტურობისთვის უნდა იბრძოლოს, არ უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური ან სახელისუფლო რეჟიმის მხარდამჭერი და მეხოტბე.

როცა მუშაობ დამოუკიდებელ ტელევიზიაში, გქვია ჟურნალისტი და ერთ დღეს შსს-ს პრესცენტრში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურაში აღმოჩნდები, ეს ნიშნავს, რომ ჟურნალისტური საქმიანობის პერიოდშიც ალიანსში იყავი ამა თუ იმ სახელისუფლებო სტრუქტურასთან, იყავი ნომენკლატურის ნაწილი.

ვინც ვერ გაუძლო იმ წნეხს და სისტემის ნაწილი არ გახდა, წავიდა ტელეკომპანიიდან.

2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ სააკაშვილმა ბიზნესის მასიური ტერორი დაიწყო. ეს პირდაპირპროპორციულია სარეკლამო ბაზრის.

მით უფრო, რომ თვით **ქიბარ ხალვაშსაც** რამდენიმე მილიონის ქონება გაუნადგურეს, მოსპეს **ოქუაშვილი** და ტელეკომპანია „იბერია“, დაანგრიეს **ბადრი პატარკაციშვილის** ბიზნესები და ა.შ. ტელევიზიებს შემოსავლები მოაკლდა და იძულებულნი გახდნენ ან დახურულიყვნენ, ან ხელისუფლებას შეკედლებოდნენ. ეს შანსი „იყნოსა“ სააკაშვილმა მაშინ და დაიქვემდებარა დამოუკიდებელი მედია. დოტაციაზე მედიის აყვანა კი მის თავისუფლებას კლავს. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ასე შეიქმნა შსს-ს, თავდაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის არალეგალური ფონდები, რომლებიც „რუსთავი-2“-ს და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს აფინანსებდნენ.

ის ადამიანები, რომლებიც სარედაქციო წნეხის ქვეშ მუშაობდნენ სააკაშვილის დროს, ბუნებრივია, დავალებულნი არიან იმ რეჟიმისგან და თვითონ სააკაშვილისაც. ისინი შეეზარდნენ რეჟიმს ისე, რომ ვერც წარმოუდგენიათ, როგორი შეიძლება იყოს ალტერნატიული, ნამდვილი ჟურნალისტური ხედვის მქონე მედიასაშუალება. ამიტომ ძალიან ღია ტექსტებით გამოდიან. თუ ადრე „ნაციონალი ჟურნალისტები“ თავიანთ დამოკიდებულებას რაღაცნაირად მაინც ფუთავდნენ, ახლა ნახეთ ნანუკა ჟორჟოლიანის სტატუსები, სხვა „ნაციონალი ჟურნალისტების“ გამონათქვამები და მოსაზრებანი, ესენი არიან ჩვეულებრივი ჩინოვნიკები და პარტიული აქტივისტები.



ამას ბოლო უნდა მოეღოს.

**— ანუ ვეღარ შეძლებენ პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას?**

— როგორც ჟურნალისტები, ისე არიან დისკრედიტირებულნი, ისე შეირცხვინეს თავი საზოგადოების წინაშე, რომ, ამიერიდან, როგორც ჟურნალისტებს, მათ საზოგადოება აღარ მიიღებს. როცა წმინდა ჩინოვნიკურ, ნაციონალურ სიბინძურეში აქვთ მონაწილეობა მიღებული, როგორ უნდა დარწმუნონ საზოგადოება თავიანთ სიკარგეში და სავლე გახდეს პავლე. არ გამოვა ეს ამბავი.

**— თქვენ ზემოთ ფონდებიახსენეთ. რა ფონდებზე საუბრობდით?**




— მაგალითად, ხშირად ახსენებდნენ, რომ „რუსთავი-2“ შენდებოდა შსს-ს აქტიური მხარდაჭერით. ახალი ოფისი რომ აშენდა, იქ **ვანო მერაბიშვილიც** ვნახე რამდენიმეჯერ. მშენებლობას ათვალიერებდა.

ხელისუფლებას არ აქვს უფლება კერძო მედიასაშუალებას თანხები უხადოს, ან სხვა კუთხით დაეხმაროს.

იყო საუბრები, რომ თბილისის მერიაც იხდიდა გარკვეულ თანხებს ამ ტელეკომპანიიისთვის.

ნაციონალების „ლუბიმჩიკ“ ე.წ. ჟურნალისტებს, შოუების წამყვანებს და სხვებს, სააკაშვილისდროინდელი ძალოვანი სტრუქტურები ხელს უწყობდნენ, სასათბურე პირობებში ყოფილიყვნენ და კარგი ფინანსური ანაზღაურება ჰქონოდათ.

მაღალ ხელფასებს კი „რუსთავი-2“ სარეკლამო შემოსავლებიდან ვერ უზრუნველყოფდა, ამიტომაც, დოტაციის თვალსაზრისით, აქტიური ჩარევა მიმდინარეობდა სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან.

**— ანგარიში გახსნეს „რუსთავი-2“-ის დასახმარებლად. ეს ნორმალურად მიგაჩნიათ?**

— საუბარია იმაზე, რომ ტელეკომპანიის შემოსავლების ყველა წყარო, ფულად-საკრედიტო ოპერაციები, კომერციული შესყიდვებისა და სხვა ლეგალური შემოსავლებისთვის ტელეკომპანიას გაძნელებული აქვს, რადგან საქმე ძიებაშია. ეს ჩვეულებრივი საკანონმდებლო ნორმაა. ყველა საბანკო ოპერაცია იზღუდება, სანამ არ გაირკვევა კანონიერი მფლობელის საკითხი.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ არაკანონიერი, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობაში მყოფი არხები გადაუკეტა „რუსთავი-2“-ს და ამით არიან ისინი უკმაყოფილო.

როგორც წესი, „რუსთავი-2“ და ხელისუფლება იყვნენ, ორმაგი სტანდარტის მატარებელნი. „იმედში“ რომ შეიჭრა სპეცრაზმი და კერძო პირის — ბადრი პატარკაციშვილის ქონება მოსპო, ის იყო დემოკრატია და ახლა, როცა კანონმდებლობის დაცვით, მართლა თმის ღერი არ ჩამოვარდნია არავის „რუსთავი-2“-ში, ეს არის კანონდარღვევა და მედიის უფლებების შელახვა?!

სხვათა შორის, სამართალმა რომ იზეიმოს, თვით ნიკა გვარამიაც ციხეში უნდა იჯდეს მის მიერ ჩადენილი ქმედებების გამო.

აქვე უნდა აღვნიშნო, ჩვენ „რუსთავი-2“-ს, როგორც პერსონალიას კი არ უნდა ვებრძოლოთ, უნდა ვებრძოლოთ „რუსთავი-2“-იზმს, როგორც მოვლენას, თორემ შეიძლება დადგეს საფრთხე, რომ ახალი „რუსთავი-2“ მივიღოთ და ნაციონალების ქურქგამოცვლილი ადამიანები გადმობარგდნენ ახალი ხელისუფლების სტრუქტურებში, ახალი მარგინალური ტელეკომპანიის დასაკომპლექტებლად. კრიტერიუმები უნდა ვამხილოთ და დავამსხვრიოთ, რაც „რუსთავი-2“-მა დაამკვიდრა ამ ქვეყანაში. ეს ტენდენციები განსაკუთრებით მედიაში შეინიშნება.

ყველა ვთანხმდებით, რაც იქ ხდება, ეს არ არის ჟურნალისტიკა და რაც მათ დაამკვიდრეს ჟურნალისტურ სტანდარტებში, არის ნეგატივი.

მახსოვს, „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ დოტაციაზე აიყვანა „რუსთავი-2“ და მოითხოვა ამ მექანიზმის კონტროლი. მაშინ უკვე ღია ტექსტებით მიდიოდა საუბრები. სხვადასხვა მსხვილ გადამხდელებს **კეზერაშვილი** თვითონ უგეგმავდა, რომელ ტელევიზიაში რა დოზით უნდა მიეტანათ რეკლამა, რამდენი წუთით რა უნდა ჩასმულიყო და ა.შ. აქედან გამომდინარე, წამყვანების ხელფასების მომატებაშიც ერეოდნენ შესაბამისი სტრუქტურები და იწყებოდა ჩართვები თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებში, მაგალითად, კალათბურთის და ფეხბურთის გუნდების თანამშრომლებად და ა.შ. მერე, როცა მიიღეს ინფორმაცია, რომ 2012 წელს ანტისააკაშვილისეული მუხტი მომწიფებული იყო „რუსთავი-2“-ში, დაიწყო ზეწოლები თანამშრომლებზე. განსაკუთრებით ახალაიაები აქტიურობდნენ. იმ ხანებში ძალიან დიდი ჯგუფი ვაპირებდით წამოსვლას „რუსთავი-2“-დან, მაგრამ ახალაიების ჩარევით შეჩერდა ეს პროცესი.

ერთ რამესაც ვიტყვი იმ ჟურნალისტებზე და ე. წ. სახეებზე, დღემდე საფლავში რომ მიყვებიან „ნაცმოძრაობას“, როგორ გგონიათ, არ იციან, რას წარმოადგენდა სააკაშვილი? მაგრამ **კეზერაშვილები, ახალაიები, უგულავები** და სხვები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ იმით, რომ კარგ ხელფასებს ურიგებდნენ და პრივილეგიებს ანიჭებდნენ ჟურნალისტებს. ისინი კომპრომატებსაც აგროვებდნენ ამ „ცნობად სახეებზე“ და დღემდე ფლობენ მათზე მნიშვნელოვან ინფორმაციებს.

ვიმედოვნებ, „რუსთავი-2“-ის ახალი მფლობელის ვინაობა მალე გაირკვევა. მაშინ ნიკა გვარამია კარგავს ფუნქციას, ის ხდება ჩვეულებრივი მოქალაქე. აი, ეს არის მისთვის ყველაზე ძნელი წარმოსადგენი.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# დროა, დედა უნივერსიტეტში განათლების რეფორმა გატარდეს და ქვეყნის ბედი შეიცვალოს

**ვესაუბრებით ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯემალ მებონიას.**



**— ბატონო ჯემალ, მინდა გკითხოთ თქვენი აზრი დღეს არსებულ საგანმანათლებლო სფეროზე. ფაქტია, რომ დღემდე ვერც ერთმა რეფორმამ მას ვერ უშველა. პირიქით, სიტუაცია უფრო გამწვავდა და უკუპროცესი განიცადა, თუ განათლების დონის ამაღლება ქვეყნის უპირველესი პრიორიტეტი არ გახდა, საქართველოს, როგორც ქვეყნის არსებობა, შეიძლება სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგეს, რა უნდა გავაკეთოთ დღეს, რომ ხვალ ეს პრობლემა გადაიჭრას?**

— დავიწყოთ იქიდან, თუ რა ხდება დღეს სკოლებში, ფაქტობრივად, იქ ჩატარდა **ანტირეფორმა,** რომელმაც მთლიანად გააუარესა მდგომარეობა. ეს იყო მიზანმიმართული შეცდომა, თუ დანაშაული არა. თუმცა დღემდე გაუგებარია, რა ჰქონდათ ჩაფიქრებული მის ავტორებს. ის სტანდარტები, რომელიც დღეს სკოლებში არსებობს, უვარგისია. ასეთივეა შესაბამისი პროგრამები და სახელმძღვანელოების უმეტესობა, გამონაკლისების გარდა.

ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ვიტყვი, რომ, როდესაც ფიზიკის სახელმძღვანელოების ავტორებს ვეკითხები, თუ რატომ დაწერეს ეს წიგნები ასეთი სახით, მპასუხობენ, რომ ეს წიგნები მათ მოარგეს დაწესებულ სტანდარტებს. მიმაჩნია, რომ ეს არ არის თავის გამართლება, მე, პირადად, ამას არ ვიზამდი!

თავად მასწავლებელთა განათლების დონე სკოლებში სასურველზე დაბალია. თუმცა, მალე ალბათ, ისინიც არ გვეყოლება, რადგანაც დედა-უნივერსიტეტი აღარ უშვებს ამ დარგის სპეციალისტებს. ცოტა ხნის წინ ვიღაცამ გამოთვალა, რომ თუ ასე გაგრძელდა, მომავალი 4 წლის მერე ფიზიკის მასწავლებლები აღარ გვეყოლება!

**— ბატონო ჯემალ, განათლების სამინისტროს ხომ აქვს პროექტი, რომელიც სამთვიანი კურსის გავლის შემდეგ სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებს ნებისმიერი საგნის მასწავლებლის კვალიფიკაციას ანიჭებს, მაგალითად, დღეს სკოლებში მათემატიკას ბევრგან ასწავლიან ეკონომისტები, ბიოლოგები და ა.შ. ამაზე რას იტყვით?**

— ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ფაქტია, რომ მარტო ეკონომისტს კი არა, ვეტექიმსაც აქვს ამის უფლება, ეს სრული გაუგებრობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ის ფაქტი, რომ სტუდენტების გამოცდა ხდება ტესტურად და არა უშუალოდ პროფესორების მიერ, სტუდენტისა და პროფესორის შეხვედრა გამოცდაზე იყო არა მხოლოდ ცოდნის შემოწმება, არამედ ცოდნის გადაცემის გაგრძელება; ამრიგად, სკოლებში არსებული პრობლემა ავტომატურად გადადის უმაღლეს სასწავლებლებში, იქ, სადაც ასევე გაუმართავი პროგრამებია, აქედან გამომდინარე, პრობლემას პრობლემა ემატება.

თსუ-ში განათლების დონეზე აშკარა უარყოფითი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ 2005 წელს დააწესეს შეზღუდვა, როდესაც დაადგინეს წესი 20-საათიანი სალექციო დატვირთვის შესახებ. მაშინაც ვიკითხე მე, რატომ აკეთებდნენ ამას, პასუხი იყო ასეთი, სახელმწიფოს არა აქვს ფული, ამიტომ ხელოვნურად მოხდა საათების შემცირებაო. ანომალიაა ისიც, რომ, მაგალითად, ქიმიკოსი და ბიოლოგი სწავლობს ერთსემესტრიან ფიზიკას. მე, პირადად, 10 წელი ვიყავი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე, მაგრამ არ მესმის, რას ნიშნავს ერთსემესტრიანი ზოგადი ფიზიკის სწავლება — **ეს ჩემთვის, როგორც სპეციალისტისთვის, სრულიად გაუგებარია**. ზოგადი ფიზიკა იკითხებოდა 8 ფაკულტეტზე და ყველას ინდივიდუალური პროგრამა ჰქონდა, სადაც მინიმალური იყო სამი სემესტრი. როგორც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, დღეს მათემატიკოსებს საერთოდ არ ეკითხებათ ზოგადი ფიზიკა, რაღაცა შესავალი აქვთ, რომელიც გახლავთ თავის მოტყუება. **ფიზიკა-მათემატიკა თავის დროზე ერთად დააწყვილეს ჩვენზე ბევრად ჭკვიანმა ადამიანებმა და დღეს რატომ უგულებელყვეს ეს ყველაფერი, აუხსნელია!** ფიზიკის პრობლემებმა ბიძგი მისცა მათემატიკის მთელი რიგი დარგების განვითარებას.

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები გადაიჭრას, თქვენ გაქვთ კონცეფცია, რაში მდგომარეობს იგი?**

— **ერთ-ერთ შესაძლო გამოსავლად, თუმცა არა ერთადერთად, მიმაჩნია ის, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც ქვეყნის მთავარ უმაღლეს სასწავლებელს, უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი, დღეს ეს სიტუაცია ქვეყანაში უკვე მომწიფდა, ეს სიახლე** არ გახლავთ, ასეთი სტატუსი აქვთ ბევრ ქვეყანაში წამყვან უნივერსიტეტებს, როგორც ევროპაში, ასევე პოსტ-საბჭოთა სივრცეში.

**რას ნიშნავს განსაკუთრებული სტატუსი? ეს იმას ნიშნავს, რომ ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს პირდაპირი წესით. ამრიგად, მას უნდა ჰქონდეს თავისი საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ. მოკლედ, უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი და იყოს რეალურად ავტონომიური.**



ასევე მიმაჩნია, რომ მასთან ერთად, მის დაქვემდებარებაში უნდა გაიხსნას სკოლა-ლიცეუმი, სადაც უნივერსიტეტის პროფესურა იმუშავებს ამ სკოლის მასწავლებლებთან და იქ დაინერგება მეთოდური და სამეცნიერო სიახლეები.

ასევე, უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი, ის იქნება სრულიად განსხვავებული და მაღალი ხარისხის, ვიდრე ის, რომელიც დღეს აქვთ.

კვალიფიკაციას მუდმივად უნდა იმაღლებდნენ რეგიონის სკოლის მასწავლებლები, რომელნიც შემდგომში თავის სკოლაში დანერგავენ შესაბამის სიახლეებს, მეცნიერებისა და დარგების განვიტარებისათვის ეს აუცილებელია.

ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა თანაფარდობა სტუდენტსა და პედაგოგებს შორის. ის უნდა დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას. საბჭოთა კავშირის დროს, საკავშირო მასშტაბით თბილისის უნივერსიტეტი ხუთი წამყვანი უნივერსიტეტის სიაში შედიოდა. მაშინ ერთ პედაგოგზე მოდიოდა 6 სტუდენტი, მაშინ საშუალო მაჩვენებელი იყო ერთი ათთან, მსოფლიოშიც ასეთივეა ეს მაჩვენებელი. ახლა ჩვენთან ერთი ოცდაათთან არის ეს მაჩვენებელი. თუ ჩავთვლით მოწვეულ მასწავლებლებს, ეს მაჩვენებელი ერთი თორმეტთან იქნება, ანუ ნორმალურ სტანდარტზე მაინც ნაკლებია. **მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა ერთნახევარჯერ ჭარბობს შტატიან პედაგოგთა რიცხვს.** ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოწვეულთა რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 10 პროცენტს, ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით არის. რატომ მოხდა ეს თავის დროზე, რომელიც ინერციით გრძელდება, იცით? **იმიტომ, რომ მოწვეულ პედაგოგს, ფაქტობრივად, არაფრის უფლება არა აქვს, ერთწლიანი ან ექვსთვიანი ხელშეკრულება აქვს დადებული** და ანაზღაურებაც ბევრად ნაკლები აქვთ. შესაბამისად, კარგი მუშაობის მოტივაციაც არა აქვს, ეს ხომ არანორმალური მდგომარეობაა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ შტატში მყოფ თანამშრომელთა ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 80 პროცენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ შტატში მყოფ პროფესორთა რაოდენობა გასაორმაგებელია.

ასევე უნდა მოხდეს ფაკულტეტების დაყოფა, როგორ შეიძლებოდა 7 ფაკულტეტის გაერთიანება ერთად? შეიძლება პირველ ეტაპზე მოხდეს ფაკულტეტების დაწყვილება, მაგალითად, ფიზიკა-მატემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიის და ა.შ. ამ პროცესის განვითარებას მოჰყვება ისიც, რომ ახალი პროფესორ-მასწავლებლები შემოვლენ უნივერსიტეტში, როგორც ახალგაზრდები, ასევე გამოცდილები, რომელნიც დღეს უნივერსიტეტს მიღმა არიან დარჩენილნი. სამართლიანობა უნდა აღდგეს!

**ამრიგად, აუცილებელია, პარლამენტმა მიიღოს კანონი, ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ, რომლის შემდეგაც მას მასშტაბური ავტონომიური უფლებები მიენიჭება.**

**— ბატონო ჯემალ, შეიძლება სხვა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელსაც გაუჩნდეს ამის პრეტენზია, რატომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და არა სხვა რომელიმეს?**

— ყველასათვის ცნობილია, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში დედა უნივერსიტეტს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, ეს უდავოა და ჭეშმარიტებაა, ამიტომ მიზანშეწონილია, სწორედ მას მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი. თავიდან შეიძლება იყოს როგორც ბაზური დაფინანსება, ასევე ვაუჩერული. ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, სადა აქვს სახელმწიფოს ამდენი ფულიო, გეტყვით მარტივად, ერთი სპორტული ფედერაციის ბიუჯეტის ტოლი თანხა იქნება საკმარისი იმისათვის, რომ უნივერსიტეტს გამოეყოს დამატებითი ბაზური დაფინანსება და ამით უნივერსიტეტში ეს ყველა სიახლეები განხორციელდეს. **ეს არ არის დიდი თანხა, როდესაც საქმე ქვეყნის აღმშენებლობასა და მომავალს ეხება, პირიქით, ეს უპირველესი საქმეა და ყველაზე საჩქარო.**

ჩემი აზრით, ამ იდეის მომხრე უნდა იყოს ყველა სხვა

14 gv.

# დროა, დედა უნივერსიტეტში განათლების რეფორმა გატარდეს და ქვეყნის ბედი შეიცვალოს

13 gv.

უმაღლესი სასწავლებელიც, ისევე, როგორც სკოლები, სადაც უფრო მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ეყოლებათ. იმ სხვა უნივერსიტეტებში კი ვინ მუშაობენ დღეს? დიდი ნაწილი დედა უნივერსიტეტის აღზრდილი კადრებია, ამიტომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა ყველასათვის მომგებიანი საქმე იქნება და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის წარმატებული.

მიმაჩნია, რომ ეს გახლავთ ერთ-ერთი გამოსავალი იმისა, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდეს სწავლის ხარისხი ყველა საფეხურზე და **დედა-უნივერსიტეტმა უნდა აიღოს ეს ტვირთი და ვალდებულება. ლოგიკურად, ამ ინიციატივას მხარი უნდა დაუჭირო** განათლების სამინისტრომ, მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, რადგანაც სერიოზული ცვლილებების გარეშე დღეს მ,ეცნიერების ვერცერთი დარგი ვერ განვითარდება.

მე კითხვას ვსვამ, რატომ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი რომელიმე უწყება? ან რატომ არ უნდა გადადგას სახელმწიფომ ამ მიმართულებით ნაბიჯი?

**მე მსურს ამ საკითხებზე გაიმართოს დისკუსია, ჭეშმარიტი მსჯელობა, რომელიც სწორ გამოსავალს გვაპოვნინებს და ქვეყანას ეშველება.** სამართლიანობა ხომ უნდა აღდგეს ქვეყანაში ბოლს და ბოლოს, უნივერსიტეტმა ისედაც ბევრი შეურაცხყოფა გადაიტანა და ახლა საჭიროა მასში სიახლეების დანერგვა, რომელიც კვლავ ააღორძინებს და განავითარებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ზემოთ ვახსენე, სკოლების უვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ, ხომ უნდა მოხდეს მათი ჩანაცვლება საუკეთესოთი? სად უნდა მომზადდეს ის, თუ არა უნივერსიტეტში, **ახლა, ვისაც გაეხარდება, ყველა სკოლის წიგნს წერს, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს განუკითხაობა?**

**ცხადია, საბოლოო სიტყვა პარლამენტმა უნდა თქვას, მაგრამ მანამდე საზოგადოებაში ხომ უნდა მომწიფდეს აზრი, თუ რა გვინდა და როგორ? მე იმის მომხრეც ვარ, რომ თუ ვინმეს უკეთესი აზრი აქვს, მოვისმინო და გავმართოთ კამათი განსაკუთრებული სტატუსის თითო უნივერსიტეტი არის** უკრაინაში, ბელორუსში, ბალტიის ქვეყნებში, **ვფიქრობ, საზოგადოება სრული ძალით უნდა ჩაერთოს დისკუსიაში, ბევრი ჭკვიანი ადამიანი გვყავს და მათი აზრი ძალიან საინტერესოა.**

– ბატონო ჯემალ, როცა უნივერსიტეტისათვის საბაზო დაფინანსებაზე საუბრობთ, შედარებისათვის იქნებ გვითხრათ, რა დაფინანსება აქვს ჩვენს უნივერსიტეტს, რომელიმე სხვა უნივერსიტეტთან შედარებით?

– **დედა-უნივერსიტეტის დაფინანსება 70 მილიონ ლარამდეა იმ დროს, როცა, მაგალითად, თურქეთის იმავე რანგის უნივერსიტეტს სახელმწიფო 700 მილიონი დოლარით აფინანსებს, არ არის ეს საგულისხმო სხვაობა? ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად სიღარიბისა, შეიძლება ერთი განსაკუთრებული სტატუსის მქონე უნივერსიტეტი არსებობდეს, რომ ეს კომპლექსური ცვლილებები განხორციელდეს.** ეს ყველაფერი კი შემდეგ გავლენას მოახდენს საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებზე. სამწუხაროა ისიც, რომ ქვეყანას არ გააჩნია არანაირი დაგეგმარება, თუ რომელი დარგის და რა რაოდენობის სპეციალისტები დასჭირდება ხუთი-ათი წლის შემდეგ. ამაზე ფიქრობს ვინმე? გეოლოგები აღარა გვყავს, როგორც დავინახეთ ზაფხულის მოვლენების დროს, რატომ? ნუთუ არ უნდა არსებობდეს ქვეყანაში ორგანო, რომელიც კვლევების საფუძველზე ამ ყველაფერს დაგეგმავს? რა მიმართულებები განვითარდება შემდგომში, ვინმემ იცის? **სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო ინტერესები უნდა გატარდეს, თორემ კერძო სასწავლებლებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ რაოდენობა და კონტინგენტი.**

ვფიქრობ, ჩემს მიერ ჩამოთვლილი საკითხები ბევრ კომპონენტს შეიცავს, – საშუალო განათლების გაუმჯობესებასაც, უმაღლესი სასწავლებლების აღორძინებასაც და სამართლიანობის აღდგენასაც. **დღეს არ შეიძლება მუდმივი კამათი იმაზე, რაც მოხდა, მოდი, ვიფიქროთ, რა გავაკეთოთ მომავალში, როგორ გამოვასწოროთ მდგომარეობა.**

როგორც საუკუნის წინ თქვა თავისი სიტყვა უნივერსიტეტმა და სრულიად შეცვალა ქვეყანაში ვითარება, ახლაც ასე უნდა მოხდეს, მან უნდა მოახდინოს სიღრმისეული გარდატეხა ქვეყნის განათლების სისტემაში.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

**P.S. „საერთო გაზეთი“ ამ საკითხებზე დისკუსიისთვის სპეციალისტებს სთხოვს გამოგვეხმაურონ.**

# ასწავლეთ და მერე მოთხოვეთ



როგორც საინფორმაციო წყაროებიდან ირკვევა, საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა განათლებისა და, საერთოდ, წიგნიერებით. ჩვენ დავინტერესდით ამ მეტად სამწუხარო და დამაფიქრებელი საკითხით და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან ჩავატარეთ გასაუბრება. ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ მათ ლექციები არ უტარდებოდათ ხშირად, აცდენდნენ ლექციებს ან ლექტორები არ თვითონ სტუდენტები; ზოგმა ისიც აღნიშნა, რომ დიდ ფულს იხდიან სწავლაში და ლექციებზე დასწრება ჩვენი ნებააო (!), გაცდენების ფულს ხომ ვიხდითო. დავინტერესდით სტუდენტების ზოგადი ცოდნით, სპეციალურ ცოდნას არ შევხებივართ, რადგან ფუნდამენტური ცოდნა ნულს გაუტოლდა. არც ერთმა სტუდენტმა არ იცოდა ისეთი ელემენტარული საკითხები, რაც ყველა განათლებულმა სტუდენტმა უნდა იცოდეს. თვით ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც კი არც ერთმა სტუდენტმა არ იცოდა ტერმინ კოლოკვიუმის განმარტება და მას იცნობდნენ, როგორც „წერით გამოცდას“, როცა ის ზეპირ გამოკითხვას ნიშნავს. არც ერთმა სტუდენტმა არ იცოდა, თუ რას ნიშნავს ტერმინი „უნივერსიტეტი“ ქართულად (ერთობლიობა), ინსტიტუტი (დაწესებულება, დანაწესები რამ), სტუდენტი (მეცადინე), რამდენგვარია უნივერსიტეტი (სასწავლო და ცოდნის ასამაღლებელი, მაგალითად, პოლიტიკური ცოდნისა და ა.შ.). ცხადია, ინსტიტუტის მეორე მნიშვნელობა უფლებრივ ნორმათა ერთობლიობის შესახებ აღარ გვიკითხავს, რადგან ეს რთული დასამახსოვრებელია და შეიძლება უფრო კომპეტენტურმა პირებმაც ვერ გასცენ პასუხი. მაგრამ სავალალო ის არის, რომ სასწავლებლების ფუნქციაც არ იცოდა ბევრმა მათგანმა.

ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა არ იცოდნენ, რა არის ეკონომიკა, იურისტებმა – რა არის იურისპრუდენცია, ჟურნალისტებმა – რა არის ჟურნალისტიკა. ასეთი ვითარებაა თბილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

მე შემოღებული მქონდა სწავლის ასეთი მეთოდი: ყველა სტუდენტს უნდა ჰქონოდა ჯიბის ბლოკნოტი, სადაც ვაწერინებდი ტერმინებს და შემდეგ ვეკითხებოდი, ბოლოს გამოვეცით ამ სიტყვებიდან „მცირე ლექსიკონი“ და სტუდენტებს ეს ძალიან მოსწონდათ, იზეპირებდნენ ამ სიტყვებს, რადგან იცოდნენ, რომ ყოველდღე გამოვკითხავდი ამ ტერმინებს ძირითად ლექციურ მასალასთან ერთად.

მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ სტუდენტი გამოსაშვებ გამოცდაზე ჩავვეჭრას, ეს ნიშნავდა ლექტორის ჩაჭრას, მის არაკომპეტენტურობას. მუდამ გვახსოვდა ჩვენი პატრიარქის სიტყვები: ნუ გაამწარებთ სტუდენტებს, მოსწავლეებს, ნუ დაუწერთ ცუდ ნიშნებს, ასწავლეთ კარგად! ვისაც ეს არ შეუძლია, მან არ უნდა იტვირთოს პედაგოგის მძიმე ფუნქცია.

რაც შეეხება უწიგნურობას, რაზედაც ბევრი მსჯელობაა მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში, ვფიქრობ, ეს შემაშფოთებელი საკითხი სპეციალურად უნდა განიხილოს განათლების სამინისტრომ. პედაგოგებმა უნდა მოთხოვონ სკოლის მოსწავლეებს წაკითხული წიგნების ჩამონათვალი, ჩაწერონ ბიბლიოთეკებში როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე სტუდენტები. სამწუხაროა, რომ ბიბლიოთეკებში არავინ აღარ შედის, ბიბლიოთეკის მესვეურებმა გვითხრეს, არავინ აღარ შემოდის, ჩვენ მხოლოდ ვიცავთ აქაურობასო. განა შეიძლება მოზარდი არ კითხულობდეს შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა ქართველი საუკეთესო პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს? განა შეიძლება ასევე არ იცნობდნენ მსოფლიო მწერლობას, პროზისა და პოეზიის დიდოსტატებს, დიდ მოაზროვნეებს სოფოკლეს, შექსპირს, ბაირონს, ტოლსტოის, მარკესს, ჰამსუნგს, ჰემინგუეის, იოკაის, დანტე ალიგიერს, ჰომეროსს, სერვანტესს, ბალზაკს და სხვა კორიფეებს. ჩვენს ბავშვებს გაგონილიც არა აქვთ მათ შესახებ. პედაგოგები არაფერს ეუბნებიან ბავშვებს იმის შესახებ, რომ მხოლოდ წიგნიერი ერია დიდი ერი და წიგნიერი ადამიანი – დიდი ადამიანი“.

ასეთია სამწუხარო რეალობა და ჩვენი განათლების სისტემა. განათლება გადაქცეულია ბიზნესად, ისე როგორც მედიცინა, ფარმაცია და სხვა ნებისმიერი დარგი, გაჩარებულია დიდი მარათონი, თუ ვინ უფრო მეტ ფულს იშოვის და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ დავკარგავთ სულიერებას, დავკარგავთ ადამიანს, როგორც ბუნების უზენაეს, უნივერსალურ ქმნილებას.

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი**
**ტელ.: 597 821 102**

# „ჩვენი ლადო“

„რუსეთის მოქალაქეებს!

გესმით, რუსეთის მოქალაქეებო მსხვერპლთა გმინვა, მათი ქმრების, მამების, ძმების. იცით, რისთვის ეწიათ მათ ასეთი მკაცრი სასჯელი?

იმად, რომ ქართველებმა მიზანმიმართულად, თავდაუზოგავად იარეს თავისუფლებისკენ, მათთვის უცხო იყო სეპარატიზმი და ისინი სრულიად რუსეთის თავისუფლებას ითხოვდნენ.

გამოგვეხმაურეთ, რუსეთის მოქალაქეებო!

თქვენი ძმები – ქართველები თქვენს თანაგრძნობას ელოდებიან: ნუ მიაყენებთ მათ ახალ ტკივილს – ნუ გაუცრუებთ ძმურ გრძნობებს, ამის შემდეგ ისინი ზურგს შეგაქცევენ.

გაჩუმება ამ დროს ყველაზე საშინელი რამ არის!

ასეთი მკაცრი ანგარიშსწორება არ იყო აუცილებლობით გამოწვეული.

მშვიდობისმყოფელთა თავდასხმამდე ეს მხარე ისეთი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც ოდითგან...

მშვიდობისმყოფელებმა ამ ხალხს მოუტანეს ცეცხლი, სიკვდილი, ციხეები და ძალადობა.

ვერაფერს შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს უბედურება. მოდიოდნენ დაუნდობელი ჯარები, მათ თეთრი დროშებით ხვდებოდა მოსახლეობა, არსად შეხვედრიათ წინააღმდეგობა მოსახლეობის მხრიდან.

ოფიციალური მოხსენებების სადღესასწაულო ტონი სრულ მორჩილებაზე მეტყველებდა.



ვლადიმერ სტაროსელსკი

**რამდენიმე ხნის წინ ცნობილმა ისტორიკოსმა, ბატონმა ზურაბ რატიანმა ერთ რუსულენოვან გაზეთში დაბეჭდილი წერილი მომიტანა: — გადახედე, იქნებ საინტერესოდ მოგეჩვენოსო. მას შემდეგ კვირეები გავიდა და ბატონი ზურაბის ნათქვამი გონებიდან გადამცილდა და ახლახან წავაწყდი ჩემს მაგიდაზე ბატონი ზურაბ რატიანის მოტანილ საგაზეთო პუბლიკაციას სათაურით „რუსეთის მოქალაქეებს“.**

**ვლადიმერ სტაროსელსკი, რომლის წერილიც არის გამოქვეყნებული ბატონი ზურაბ რატიანის მიერ მოტანილ რუსულ გამოცემაში, ზოგადსაკაცობრიო მოვლენად არ ითვლება მსოფლიო აზროვნებაში, მაგრამ მისი წერილი მთლიანად არღვევს ყოველგვარ კუთხურობას, გმობს ძალადობას და ომს.**

**სტაროსელსკიმ ეს წერილი 1905 წელს, რევოლუციური ქარიშხლების მძვინვარების დროს დაწერა. მაშინ ის ქუთაისის გუბერნატორი გახლდათ და ქართველები ასე მოიხსენიებდნენ: „ჩვენი ლადო!“**

**ეს „ჩვენი ლადო“ მალე აჯანყებული ქართველების არაოფიციალურ პრეზიდენტად იქცა.**

**რეაქცია მძვინვარებდა.**

**იხოცებოდა ხალხი, ასახლებდნენ ციმბირში, ხვრეტდნენ.**

**სტაროსელსკი კი მიმართავს რუს ხალხს.**

რა საჭირო იყო ასეთი ბარბაროსული ანგარიშსწორება?

გამოგვეხმაურეთ რუსეთის მოქალაქეებო! თქვით თქვენი სიტყვა!

გამოააშკარავეთ დამნაშავენი და პასუხისმგებელნი.

გაერთიანდით სამართლის მოთხოვნით!

ვლადიმირ სტაროპოლსკი“.

*სტაროსელსკის ეს მგზნებარე მოწოდება გაზეთ „თავისუფლებაში“ დაიბეჭდა 1906 წელს. მომდევნო ნომერში დაიბეჭდა მისი მეუღლის* ***ნადეჟდა ზახაროვას*** *მიმართვა ქალებისადმი:*

„შეურაცხყოფილი ქალბატონებისადმი თანაგრძნობა, რუსი და ქართველი ქალების, დების, ქალიშვილების, დედების სასტიკი დამცირება უფლებას მაძლევს, ხმამაღლა, გაბედულად წარვსდგე საზოგადოების წინაშე და ვთქვა: კმარა უდანაშაულო მსხვერპლი! საკმარისია დამცირებათა საშინელება, სისხლისღვრა! ვინ და როდის დაასრულებს ამ თვითნებობას!

ნუთუ თქვენ, რუსო ქალბატონებო, არ მიიღებთ ამაში მონაწილეობას? ნუთუ თქვენ არ გამოხვალთ თქვენი დების დასაცავად? ნუთუ თქვენ გულგრილნი დარჩებით მცირეწლოვნებზე დაუსრულებელი ძალადობის შემყურედ? გამოგვეხმაურეთ. მოგვაწვდინეთ თქვენი თავისუფალი და მამაცი ხმა. დაე, თქვენი პროტესტი გრგვინვის ხმად გაისმას საქართველოს ველ-მინდვრებსა და მთიანეთებში.

არის სადმე თუნდაც ერთი ქალი, რომელიც ამ სტრიქონებს წაიკითხავს და გულს არ აატკივებს შეურაცხმყოფელი გრძნობა?! მაგრამ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ, რუსმა ქალებმა, მაშინ, როცა ყოველივე ეს დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზე?!

მიმოიხედეთ ირგვლივ, რამდენი იმედგაცრუება, რამდენი ცრემლი, უსაზღვრო მწუხარება, რამდენი უსიტყვო დარდი, მწუხარების გრძელი ჯაჭვია. ვინ აუნაზღაურებს დაზარალებულებს ამხელა ზარალს და ვინ აღადგენს მათ შელახულ ღირსებას, მათ ხომ ყველას ჰყავთ ქმრები, მამები, ძმები, ვაჟები. ისინი ხმას არ იღებენ. რამდენი უხმო უსუსურობაა. როგორ ვაიძულოთ ადამიანები, ხმა ამოიღონ და აღსდგნენ საკუთარი და თავიანთი ახლობლების ღირსებების აღსადგენად?..

ქალებო! ვინც უნდა იყოთ თქვენ – რუსები, ქართველები, სომხები, მუსულმანები, თქვენსკენ მოვმართავ ჩემს ხმას და ძახილს, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და მოვითხოვოთ ძალადობის შეწყვეტა! მოვითხოვოთ დამნაშავეთა დასჯა, რომლებმაც ხელყვეს უდანაშაულო ქალების ღირსება და შეურაცხჰყვეს ისინი.

ღრმად მწამს, რომ ჩვენი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და გამოხმაურებას ჰპოვებს იმ ადამიანებში, რომელთაც ჰყავთ და, დედა, ცოლი.

მწამს, რომ დედამიწაზე ჯერ კიდევ არსებობს სამართალი და ამ სამართალმა უნდა გაიმარჯვოს!

ნადეჟდა ზახაროვა“.



ძველი ქუთაისი

ზოგს არ სჯერა, რომ არსებობს ორი რუსეთი, მაგრამ ხომ არსებობს რამდენიმე საქართველოც? ნაციონალური, დემოკრატიული, ეროვნული საქართველო?

პატივს უნდა ვცემდეთ ნებისმიერი ქვეყნის იმ ნაწილს, რომელსაც ესმის ჩვენი ეროვნული ტკივილი, ჩვენი ხმა თავისუფლებისა და მეგობრობისა.

მეგობრობაა ხიდი, რომელიც ყველა დაბრკოლებას ანგრევს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „რკინის“ ფელიქსი

ლენინი ერთ-ერთ საიდუმლო წერილში, რომელიც პოლიტბიუროს წევრებისთვის იყო განკუთვნილი, ნათლად წერდა: „ახლა, როდესაც მოსახლეობა შიმშილობს, არის კანიბალობის შემთხვევები, ადამიანებს აღარ ედარდებათ ეკლესიის საქმეები, ოღონდ კი ცოცხლები დარჩნენ. ყველანი დაკავებულები არიან თავიანთი საქმეებით, გადარჩენის პრობლემით. დადგა ხელსაყრელი დრო, რათა გამოვიყენოთ ეს სიტუაცია. გავუსწორდეთ მთელ რეაქციულ ბურჟუაზიას და რეაქციულ სასულიერო წოდებას და რაც მეტ მტერს დავხოცავთ, მით უფრო უკეთესი, მაგრამ ამის გაკეთება საჭიროა ძალზე სწრაფად, რადგან ხალხი ძალადობის ატანას დიდხანს ვერ შეძლებს. გავწყვიტოთ რაც შეიძლება მეტი სასულიერო პირი. ახლა ზოგიერთ ქალაქში სასულიერო პირებმა მოახდინეს მორწმუნეთა მიტინგების და დემონსტრაციების ორგანიზება ეკლესიის დასაცავად და წინააღმდეგობასაც კი უწევენ ხელისუფალთ, რომელთაც სურთ საეკლესიო ფასეულობების წამოღება იმისთვის, რათა ვიყიდოთ პური დამშეულებისთვის, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს გარემოება და ყველა, ვინც წინააღმდეგობას გვიწევს, ციხეში ჩავსვათ. მოვახდინოთ საჩვენებელი პროცესების ორგანიზება და ა.შ. მათ რიცხვში საჭიროა პატრიარქიც გადავცეთ სასამართლოს. გაჟლიტონ, რაც შეიძლება მეტი, რაც შეიძლება, უფრო სწრაფად.“ ბელადი აღნიშნულ წერილში ციტირებს მაკიაველის სიტყვებს და აშკარად ცდილობს, მიბაძოს... როგორც წერილიდან ჩანს, ლენინი საკუთარ ხალხს როგორც დამორჩილებულს, რუსეთს როგორც დაპყრობილ ქვეყანას, ისე აღიქვამდა. აი, ცინიზმი და მისი დამოკიდებულება რუსეთისადმი,ამაოდ არ ამბობდა იგი გულიდან ამოსულ სიტყვებს: „მიმიფურთხებია რუსეთისთვის! მე მსოფლიო რევოლუცია უნდა გადავარჩინო“-ო. ცნობილი ფაქტია, რომ ლენინს მატერიალურად უზრუნველყოფდნენ გერმანიის გენშტაბიდან. ტროცკი კი აშშ-ში გემზე დააკავეს და შემდეგ „სამუშაოდ“ რუსეთში დიდი ფინანსებით გამოუშვეს. აშშ-ი მატერიალურად ლენინსაც ეხმარებოდა. ნაწილობრივ ეს ვალები დაფარული იქნა ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ.ლენინი თვლიდა,რომ ყველა საშუალება უნდა გამოეყენებია პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

ლენინის სადამსჯელო სისტემის სათავეში, დახვრეტებით, მძევლებით, ქონებრივი ძარცვით, ბინებიდან გამოსახლებით იდგა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ვჩკ-ს (საგანგებო კომისიის) თავმჯდომარე ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი. იგი იყო პოლონელი სოციალისტი. შემდეგ გადავიდა რკპბ-ის თავმჯდომარედ. ლენინის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლიც გახლდათ... ანდრეი კოკოშინი ირონიით აღნიშნავს, რომ დასავლელი ბიოგრაფები და ისტორიკოსები ძერჟინკს სპეცსამსახურის დამაარსებლად, პროფესიონალ რევოლუციონერად, კეთილშობილ რაინდად მოიხსენიებენ. სინამდვილეში ფელიქსი ტრაგიკული პიროვნება იყო. ის მრავალშვილიან, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში დაიბადა. დედამისი მორწმუნე კათოლიკე იყო და ყველანაირად ცდილობდა, შვილებს უმამობა არ ეგრძნოთ. თუმცა ფელიქსი უცნაური და ჯიუტი ბავშვიც ყოფილა. მას სანადირო თოფით და შემოაკვდა. ოჯახმა გადაწყვიტა, ეს ფაქტი დაემალათ. ფელიქსი ცდილობდა, ღმერთის წინაშე როგორმე გამოესყიდა ეს დანაშაული, რომელმაც მოსვენება დაუკარგა, მონასტერშიც წავიდა, აღსარებაც ჩააბარა, მაგრამ შვება ვერ იგრძნო. 16 წლის ასაკში გადაწყვიტა, მღვდელი გამხდარიყო, რაზეც მოძღვარი კატეგორიულად არ დაეთანხმა ფიცხი ხასიათის და სხვა სახასიათო შტრიხების გამო. ფელიქსი თვლიდა, რომ ეკლესიის კარები მიუხურეს. სკოლიდანაც გარიცხეს და მაშინ გამოჩნდა რევოლუციური მოძრაობაც, მარქსის იდეები, რომელიც მომენტალურად გაითავისა და აიტაცა. შემდეგ იყო არაერთხელ ღალატი რევოლციონერი მეგობრებისგან და 20 წლის ასაკში დაპატიმრებაც. ისტორიკოსები ამბობენ — დაპატიმრებული ფელიქსი ვერ გატეხეს, სასტიკად გაუსწორდნენ ფიზიკურად თუმცა ღირებული ინფორმაცია მისგან ვერ მიიღეს. შემდეგ იყო გადასახლებები, ციხე, რამოდენიმე „ლაგერნი“ სიყვარული ისევ რევოლციონერი ქალბატონების. მომავალი მეუღლეც გადასახლებაში გაიცნო და ფეხმძიმე დააპატიმრეს... ბოლოს 17 წლის რევოლუციამ ისევ თავისუფლების აღკვეთის ადგილზე მიუსწრო და სანატრელი სიტყვა — „თავისუფალი ხარ“, რევოლუციონერმა ამხანაგმა ახარა. შემდეგ იწყება სახელმწიფოს შენება. ტერორისტობიდან ჩეკისტობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. მთავარი კი ის არის, პირველს რომელს გადადგამ. ფაქტობრივად, იდეა, შექმნილიყო კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ სპეც.განყოფილება, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ხდება ცნობილი, ლენინისთვის ძერჟინსკს მიუწოდებია, საინტერესოა და პირველი ხელმძღვანელიც გამხდარა. თავიც არ დაუზოგავს, დაკავება, დაკითხვა, გადმობირება, ცემა, დახვრეტა, ყველაფერში პირადად იღებდა მონაწილეობას. ხრუშოვის დროინდელი ბიოგრაფები ფელიქსზე წერდნენ, რომ არასდროს ისვენებდა, 18 საათი მუშაობდა, ძველი ტანსაცმლით დადიოდა და ჭამაც არ ახსოვდაო — სინამდვილეში სამ აგარაკს, სამ საცხოვრებელ სახლს ფლობდა და შვებულებას ყირიმში, აფხაზეთში, ოდესაში ატარებდა. არქივში ინახება დიეტა, რომელიც ექიმმა დაუნიშნა ავადმყოფობის გამო, დოკუმენტი 1922 წლით თარიღდება, როცა ხალხი უკიდურესად გაჭირვებულია და პურის ლუკმა ენატრება. ფელიქსს მხოლოდ თეთრ ხორცს, საუკეთესო ბოსტნეულს, თევზს სთავაზობენ ,მთელი კვირის მენიუში საუზმიდან ვახშმამდეა გაწერილი... 1921 წელს პატრიარქმა ტიხონმა, მორწმუნეები აკურთხა, დამშეულთა დასახმარებლად შეეგროვებინათ ძვირფასი ნივთები, რომელთაც საეკლესიო დანიშნულება არ გააჩნდათ. ამ მოწოდების პასუხად საბჭოთა ხელისუფლებამ 1922 წელს თებერვალში დაადგინა ტაძრებიდან ყოველგვარი საეკლესიო ფასეულობა გაეტანათ. ნეტარმა ტიხონმა ხმა აიმაღლა ამგვარი ძალადობის წინააღმდეგ. რაც საბოტაჟად შეფასდა და მწყემსმთავარი დააპატიმრეს. ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა ორ წელიწადში მოულოდნელად, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. პატრიარქმა ტიხონმა ჯერ კიდევ 1918 წელს გაუგზავნა წერილი სახალხო კომისარიატს: „სანამ ხელისუფლებას ხელში ჩაიგდებდით, ხალხს რასაც ჰპირდებოდით გაიხსენეთ, პირდებოდით პურს და მიეცით ქვა, თევზის მაგივრად კი გველი“-ო. ცალკე თემაა ძერჟინსკის მოადგილეები და მათი ბიოგრაფიები. „სამთავრობო კარუსელი“ იმ დროშიც აპრობირებული ყოფილა, პირველი ჩეკისტი ეკონომიკურ გუნდსაც ხელმძღვანელობდა, გუნდში კი ებრაელი მენშევიკების სიმრავლის გამო გამოთქმულ უკმაყოფილებას პასუხობდა: ისინი „პროფესიონალები არიან“ ოთხი კლასის განათლებით. როგორც ჩანს, კოჰაბიტაციის მოთხოვნა მაშინაც მოდიოდა დასავლეთიდან. განათლებას კი რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი იყო, ერთგული და უპირობოდ დავალების შემსრულებელი, დაკომპლექსებული გარეწარი ყოფილიყო... მეექვსე განყოფილებას ხელმძღვანელობდა ევგენი ტუჩკოვი. ის სოფელ ტელიაკოვაში დაიბადა და ობლობაში გაზარდა უფროსმა დამ.მასაც ეკლესიასთან არსებული 4-წლიანი სკოლა ჰქონდა გავლილი. მისი დამსახურებით უამრავი სასულიერო პირი დაიხვრიტა, გაიძარცვა და განადგურდა ეკლესია-მონასტრები. იგი პირადად ხელმძღვანელობდა სასულიერო პირების პროვოცირებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტუჩკოვი ფსევდონიმით „ტელიაკოვა“ პრესაში აქვეყნებდა მართლმადიდებლობის და ეკლესიის დამაკნინებელ სტატიებს. აშშ-ს ჟურნალისტს კი სიამოვნებით გაუძღვა და დაათვალიერებინა, ფოტოც გადააღებინა დანგრეული ეკლესიის წინ. მან გაუვრცელა დეზინფორმაცია პატრიარქს. იმედგაცრუებული დარჩა, როდესაც 1943 წელს სტალინი სამ პატრიარქთან ერთად ნახა, რადგან ვერ წარმოედგინა ბელადის თბილი დამოკიდებულება სასულიერო პირების მიმართ. სიკვდილის წინ კი, 1957 წელს, ცოდვებით დამძიმებულმა, ტკივილებით გაწამებულმა, პატრიარქთან შეხვედრა მოითხოვა და ყველა სიბინძურე მოუყვა, რაც მათ წინააღმდეგ ჰქონდა ჩადენილი. საინტერესოა, დღეს პატრიარქის და მართლმადიდებლობის მლანძღავები თუ მოინდომებენ, მოინანიონ სიკვდილის წინ. ფელიქსის ახლო მეგობარი და თანამოაზრე იყო ალექსანდრე ბელობოროდოვი, კაცი, რომელმაც ლენინის ბრძანებით რომანოვები დახოცა. ისიც ოთხი კლასის განათლებით, თუმცა ციხის აკადემია ჰქონდა ფრიადზე გავლილი და თავბრუდამხვევი კარიერით. იგი შსს მინისტრიც იყო და, რასაკვირველია, ეკლესია მონასტრების გამნადგურებელიც. იგი 1937 წელს სტალინის ბრძანებით, როგორც ტროცკისტი დახვრიტეს. ასევე ფელიქსის თანამოაზრეებიც ვერ გადაურჩნენ სტალინის დიდ „წმენდას“. ვფიქრობ, დამსახურებულად. ღმერთო, როგორ ჰგავს ეს გასული საუკუნის ისტორია საქართველოში 10 წლის წინათ განვითარებულ ისტორიას, რევოლუციის დაფინანსებიდან დაწყებული, იდეოლოგიით დამთავრებული. მხოლოდ სტალინის სახით მოთამაშის გამოჩენა ვერ გათვალეს, მაშინდელ დასავლეთში და გეგმებიც ჩაეშალათ, კოსმოსსაც მოსწონს დასავლეთთან თამაში და სიურპრიზები, დაველოდოთ კულისებიდან ახალი სტალინის გამოსვლას. „ძლევაი საკვირველი“ მართლმადიდებელ სამყაროს!





ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ვაშინგტონი და მოსკოვი ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ სირიაში და არა ერთმანეთის წინააღმდეგ

## „კატასტროფის რეცეპტი“ რუსეთისგან

ამერიკის შეერთებული შტატები და მოკავშირეები აპირებენ წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთისა და მისი საჰაერო ძალების მიერ 30 სექტემბერს სირიაში დაწყებულ ოპერაციებს ტერორისტული დაჯგუფების — „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ამგვარად პრობლემის მოგვარების ოფიციალური მიზეზი სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის ოფიციალური განცხადებაა, რომლითაც მან ვლადიმირ პუტინს სამხედრო დახმარება სთხოვა (სირია უკვე 40-წელზე მეტია რუსეთის მოკავშირეა. ბაშარის მამამ, ჰაფეზ ასადმა, ასევე სთხოვა საბჭოთა კავშირს სამხედრო დახმარება და საბჭოთა საჰაერო-საზღვაო ძალებს გადასცა ბაზა ტარტუსში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე 1971 წელს, როცა ბაშარი 6 წლისა იყო). რუსეთის მფრინავებმა უკვე გაანადგურეს „ბოევიკთა“ 50-ზე მეტი სტრატეგიული ობიექტი და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს მათს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.



ვიდრე სამხედრო მოქმედებას დაიწყებდნენ, რუსეთისა და ამერიკის სამხედროებმა ვიდეოკონფერენცია გამართეს, რათა თავიდან აიცილონ სირიის საჰაერო სივრცეში შესაძლო შეტაკებები.

პრეზიდენტი ობამა სირიაში რუსეთის პოლიტიკას „კატასტროფის რეცეპტს“ უწოდებს. „ჩვენ ვერ ვითანამშრომლებთ რუსეთის სამხედრო კამპანიაში: „ჩვენთვის მიუღებელია მოსკოვის თეორია, რომლის თანახმადაც ტერორისტია ყველა, ვინც ასადის წინააღმდეგია. პუტინი, სავარაუდოდ, არ ასხვავებს ეგრეთ წოდებულ ზომიერ ოპოზიციასა და ისლამისტებს და ისინი ტერორისტებად მიიჩნია. რუსეთის ავიადარტყმებმა შესაძლოა გააძლიეროს „ისლამური სახელმწიფო“. გარედან და სამხედრო ჩარევით ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. უნდა შევძლოთ და ხელი შევუწყოთ იმას, რომ ქვეყნის შიგნით არსებულმა ძალებმა მოახერხონ თანაარსებობა. ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევით პრობლემა ვერ მოგვარდება. ამას გვკარნახობს ბოლო 10, 12, 13 წლის გამოცდილება. რომ არა რუსეთისა და ირანის მხარდაჭერა, ბაშარ ასადი ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა“.

„რუსეთის მოქმედებამ სირიაში ომის ესკალაცია გამოიწვია. ამერიკა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა აღკვეთოს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერაციები. იმავდროულად, მზად ვართ ამ საკითხში რუსეთთან ღია თანამშრომლობისთვის“, — ასეთი განცხადება გააკეთა პენტაგონის ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა ორშაბათს, მოსკოვის მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების მეექვსე დღეს.

მოსკოვის გადაწყვეტილებას, სამხედრო ძალით მოაგვაროს სირიის პრობლემა, თანაც ამერიკასთან თანამშრომლობის გარეშე, პოლიტოლოგები აფასებენ რუსეთის ხელისუფლებისგან არაკომპეტენტურობის გამოვლენად და იმის აშკარა მცდელობად, მსოფლიოს დაანახვონ ამერიკის პოლიტიკური უძლურება.

ამერიკის ადმინისტრაციაში პრეზიდენტ ჯიმი კარტერის თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკი სთავაზობს ამერიკის შეერთებულ შტატებს აღკვეთოს რუსეთის „პროვოკაციები“ სირიაში. იმავდროულად, ფიქრობს, რომ რუსეთსა და ჩინეთთან თანამშრომლობასაც შეუძლია სარგებლის მოტანა:

„ვიცით, თუ როგორ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ძალადობის ცალკეულმა შემთხვევებმა შეუქცევადი გახადა სამხედრო ოპერაციები, რომლებსაც აკლდა საერთო სტრატეგიული ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, საერთო ამოცანებიც არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი... ჯერ კიდევ შეიძლება, არ გავიმეოროთ და თავიდან ავიცილოთ მტკივნეული მოვლენები, ამჯერად ახლო აღმოსავლეთში, რომლის დანაწევრების საფრთხე არსებობს, განსაკუთრებით კი სირიაში.



ახლა სასწორზე დევს რეგიონის მომავალიცა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მხრიდან ამერიკისადმი ნდობის საკითხიც. თუ ამერიკას სურს დაიცვას თავისი რეგიონული ინტერესები, რეალისტური ნაბიჯი ერთადერთია: რუსეთს უნდა მოსთხოვოს შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები, რომლებიც ამერიკულ აქტივებს ეხება და მათზე უარი თქვას მომავალშიც. რუსეთს აქვს უფლება, მხარი დაუჭიროს ასადს, მაგრამ თუკი მსგავსი რამ განმეორდება, მას აშშ-ის შურისძიება უნდა მოჰყვეს... საუკეთესო გზაა დაარწმუნონ რუსეთი, ითანამშრომლოს ამერიკასთან და ერთობლივად მოაგვარონ რეგიონული პრობლემა, რომელიც რომელიმე ერთი სახელმწიფოს ინტერესებს გასცდა“.



მოსკოვისა და ვაშინგტონის პოზიციების შეჯერება ჩინეთთან „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ იმედს გააჩენს, რომელიც ახლოაღმოსავლური კონფლიქტის ლოკალიზაციითა და თავისი გავლენის გაზრდით ერთდროულად არის დაინტერესებული — ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ქაოსი შესაძლოა გავრცელდეს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, დააზარალოს რუსეთი და მასთან ერთად ჩინეთიც. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება ზიანს მიაყენებს ამერიკას, მის მეგობრებს, რომ არაფერი ვთქვათ რეგიონულ სტაბილურობაზე. სწორედ ამიტომ სტრატეგიული გამბედაობის გამოჩენაა საჭირო.

რუსეთის საჰაერო დარტყმების შედეგად სამოქალაქო პირებიც დაიღუპნენ, მიუხედავად ამისა, პუტინი თავისი მიზნისკენ მიიწევს, ობამას პოლიტიკას ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი მაღალი მორალური პრინციპების ერთგულებად და კეთილგონიერებად აფასებენ, მაგრამ ეფექტიანი არ არის.

ამერიკამ მწარე გაკვეთილი იწვნია ერაყში ათწლიანი ომით, ამიტომაც სირიის ტერიტორიაზე ჯარების გადასხმას თავს არიდებს. არადა, პუტინის დაჟინებულობა და ობამას მერყეობა შესაძლოა სირიაში ხანგრძლივი ომის სათავე გახდეს.

დღესდღეობით კი, დაღუპულია 250 ათასი სირიელი, ოთხ მილიონზე მეტმა საკუთარი სახლები მიატოვა და დევნილად იქცა. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს არასტაბილურობა მეზობელი ერაყისა, საიდანაც სირიაში აგრესიულმა იდეოლოგიამ და სამხედრო თვალსაზრისით მძლავრმა დაჯგუფებამ „ერაყისა და ლევანთის ისლამურმა სახელმწიფომ“ შეაღწია. ახლა ისეთი ვითარებაა შექმნილი, როცა სამთავრობო ძალები და ზომიერი ოპოზიცია ომმა მეტისმეტად დაასუსტა, ხოლო „ისლამური სახელმწიფო“ აფართოებს თავის ტერიტორიას: ჩრდილოეთით ქურთებს ეომება თურქეთის საზღვრის სიახლოვეს, სამხრეთით უკვე მიადგა დამასკოს. დედაქალაქის გარდა, ასადის ხელისუფლებისთვის კრიტიკულ საფრთხეს წარმოადგენს სამხედრო მოქმედებების გავრცელება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მის საკვანძო პორტ ლათაკიასთან. სწორედ მის დასაცავად ირჯებიან რუსეთის ავიაცია და სამხედრო კონტინგენტი.

პოლიტოლოგთა წრეში არსებობს მოსაზრება, რომ მიმდინარეობს რუსეთის არმიის გადაიარაღების ახალი ეტაპი, იქმნება ახალი საბრძოლო ტექნიკა და ახალი სისტემები, რადარები, კონტროლის გაუმჯობესებული სახეობები. რუსეთი ბევრ სწავლებებს ატარებს, მაგრამ სირიის პოლიგონი — ბომბდამშენებისა და სხვა თაობის მოწყობილობების გამოსაცდელად და გამოსაყენებლად, განსაკუთრებულია.

როგორი პროცესების მაპროვოცირებელი შეიძლება აღმოჩნდეს სირიაში ახლა მიმდინარე მოვლენები საერთაშორისო პოლიტიკაში? როგორ ნაწილდება ძალთა ბალანსი წამყვან სახელმწიფოებს შორის? ხომ არ გადაინაცვლებს ახლოაღმოსავლური კრიზისი აზიისკენ? რა გავლენას მოახდენს პუტინის „საშინაო რეიტინგზე“ ახლანდელი საგარეო-პოლიტიკური მოქმედებები? როგორ აისახება ეს რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაზე?..

ახლო აღმოსავლეთი კვლავაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარი და საჯილდაო მოედანია.

**მიმოხილვა მოამზადა**
**გიორგი ჭავჭავაძემ.**




1. „იდიოტის" ავტორი
2. მითიური ჰერაკლეს ატრიბუტი
3. ხმელეთის დიდი ნაწილი
4. იატაკზე დასაგები ფილა
5. მწვერვალი ჰიმალაის მთებზე
6. პოლონელი ქალბატონი
7. კოსმოსური ხომალდების გასაშვები ადგილი
8. ლიხტენშტაინის დედაქალაქი
9. პიროვნების უფლებების შეზღუდვა
10. დროის უკმარისობა ჭადრაკში
11. თეთრყვავილიანი დეკორატიული მცენარე
12. ფრანგი აზნაური
13. ატომური ბომბის გამოცდისას დანგრეული კუნძული
14. ფხვიერი მასალების მტვირთავი მოწყობილობა
15. დ. აბაშიძის უკანასკნელი ფილმი
16. იაპონური სამშ. ტექნიკა
17. სამუსიკო ნიშანი
18. ბალზაკის „მამა ..."
19. გერმანიის საფეხ. გუნდი „..04"
20. სათბურში გამოყვანილი ნერგი
21. მარიტას შეყვარებული „ნატვრის ხეში"
22. მსახიობი მიკი . . .
23. ცეცხლგამძლე თიხა
24. ერის ძვ. შესატყვისი
25. დარტყმა ბილიარდში
26. პატარა აკლდამა
27. საწერი სითხე
28. ფრინველთა გუნდის ხმიანობა
29. დაუფიქრებელი, ჩქარი
30. „იყო არაბეთს . . ."
31. დღეები ყოველი თვის შუაში
32. ფეხის ნაწილი
33. ოსეთი
34. დიდი მუსიკ. ნაწარმოები
35. სოსლანის დამარცხებული სელჯუკთა მეთაური
36. „იგულის" მოდელი
37. ნახატი ქსოვილის ორივე მხარეს
38. ამერიკელი მომღერალი ბარი . . .
39. პარკოსანი კულტურა
40. საქმის კარგად მცოდნე ხელოსანი
41. „უთაო მხედარში" მუსტანგერი მორის . . .
42. აბორტების უნებართვოდ გამკეთებელი



43. გახეხილი ხილის ტკბილეული
44. შოშიასებური ფრინველი
45. სერიალის გმირი ძაღლი
46. ძალის ერთეული
47. ბანჯგვლიანი ძაღლი
48. ესპანელი მამაკაცის ხსენება
49. ქაღალდის ძველი ფული
50. შუა აზიური ლევზელი
51. მხარე იტალიაში
52. კატაბალახას სამკურნალო ფესვი
53. ფეხბურთელი . . . შევჩენკო
54. წიგნის პირველი ფურცელი
55. ავსტრალიური ხვლიკი
56. . . . ჩარლზი
57. ზაირის დედაქალაქი
58. მაზინის კინო გმირი
59. ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი
60. მეგრული ყველი
61. პარკოსანი კულტურა
62. ვრცელი ველი ჩრდ. ამერიკაში
63. დახრილი კოშკი იტალიაში
64. რუსი მომღერალი ქალი
65. წლამდე ბატკანი
66. შალი
67. ქართული შეჯიბრი ცხენებით



## თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წ | | | | | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | | |
| ა | ■ | ■ | ■ | | | თ | | | ■ | | ■ | ■ | ■ | |
| ბ | | | | | ■ | ა | ■ | | ■ | შ | ა | რ | ჟ | ი |
| ლ | ■ | | ■ | | ■ | გ | | | | | ■ | | ■ | |
| ა | | | | | ■ | ვ | ■ | | ■ | | | | | |
| ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | ი | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ |
| | | | | ე | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | ი |
| | ■ | ■ | ■ | ვ | ■ | | | ხ | | | ■ | ■ | ■ | ს |
| | ■ | | | ი | | | ■ | ა | ■ | | | | | ე |
| | ■ | | ■ | ტ | ■ | | | რ | | | ■ | ■ | ■ | თ |
| | | | | ა | ■ | | ■ | ჭ | ■ | | | | | ი |
| ■ | ■ | | ■ | ■ | | | | ი | | ■ | ■ | | ■ | ■ |
| ქ | | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | ძ | | | | |
| ა | ■ | ■ | ■ | | | | | | ■ | ა | ■ | | ■ | |
| ც | | | | | ■ | ■ | | ■ | ■ | ლ | | | | |
| ვ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | | უ | ■ | ■ | ■ | |
| ი | | | | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ა | | | | |

**შვეულად:** ალისა, აჯანი, დერბი, ვარდი, იმაგო, კატია, ლარსი, მესია, ნისლი, ოფისი, რქენა, უნარი, ჩვევა, შოშია.

**თარაზულად:** აგუტი, ათენი, არენა, აყირო, ბუჩქი, გოლფი, დრაჟე, ვაიმე, იორღა, იურტი, კლანი, ლაიკა, მახრა, სარჭი, ტენგე, ფითრი, ქვიშა, ღინტუ, ყალია, შხუნა, ცანგა, ძვალი, წენგო, ჯავრი.

## სამიდან ერთი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 1 | ■ | 2 | ■ | 3 | | 4 | | 5 | | 6 | |
| 7 | | | | | | ■ | | ■ | | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | | ■ | 8 | | | | | | | |
| 9 | | | | | | ■ | | ■ | | ■ | | ■ |
| ■ | | ■ | | ■ | 10 | | | | | ■ | | ■ |
| 11 | | 12 | | 13 | | ■ | | ■ | | ■ | | ■ |
| | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | 14 | | 15 | | 16 |
| 17 | | | | | | ■ | ■ | | ■ | | ■ | |
| | ■ | | ■ | | ■ | 18 | | | | | | |
| 19 | | | | | | ■ | ■ | | ■ | | ■ | |
| | ■ | | ■ | | ■ | 20 | | | | | | |

**შვეულად:** 1. სენატი, სუნამო, საგანი. 2. ფულურო, ჩეხოვი, მიზანა. 3. გიბონი, დუმილი, ზუმერი. 4. ფერარი, დეგოლი, ზალიკო. 5. დოგმატი, ბანცალი, სანთელი. 6. ბორკილი, ლენოქსი, ყუმბარა. 11. კამათი, ჩიჩინი, ფასადი. 12. დუქანი, ლიკანი, ჩოხელი. 13. დურაკა, დოკერი, დაცუნი. 14. სანიო, მანია, ძიძია. 15. რაინი, ხეობა, შპალი. 16. ოფოფი, ულაყი, ამაყი.

**თარაზულად:** 3. მარაკანა, გაზრდილი, დედალოსი. 7. კამორა, ბეგარა, დუმილი. 8. ქარავანი ბალაგანი, ფელეტონი. 9. მულატი, სალარო, წოდება. 10. ნოდია, ნათია, ნოკია. 11. ფოლადი, ბეჩუნი, სირენა. 14. კოლია, ტემპი, სირია. 17. საკაცე, მონეტა, კახეთი. 18. კარდალა, შინშილა, გარმონი. 19. გუმანი, ჯახუნი, დენონი. 20. პროთეზი, პლაკატი, პროფილი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 7 | ■ | 25 | ■ | 13 | 9 | 1 | 9 | 20 | 5 | ■ |
| 24 | 6 | 22 | 19 | 4 | 5 | ■ | 19 | ■ | 5 | ■ | 31 |
| ■ | 2 | ■ | 14 | ■ | 21 | 19 | 10 | 16 | 26 | 4 | 5 |
| 23 | 5 | 11 | 9 | 12 | 5 | ■ | 7 | ■ | 15 | ■ | 29 |
| ■ | 3 | ■ | 18 | ■ | 22 | ■ | 5 | 1 | 5 | 3 | 26 |
| 32 | 9 | 8 | 5 | 4 | 5 | ■ | ■ | 19 | ■ | ■ | 12 |
| 19 | ■ | 9 | ■ | 26 | ■ | 28 | 5 | 22 | 9 | 4 | 5 |
| 15 | 9 | 22 | 9 | 17 | 9 | ■ | ■ | 2 | ■ | 19 | ■ |
| 5 | ■ | 5 | ■ | 19 | ■ | ■ | 30 | 5 | 8 | 22 | 5 |
| 4 | 9 | 18 | 5 | 12 | 9 | 17 | 5 | ■ | ■ | 2 | ■ |
| 5 | ■ | 9 | ■ | 5 | ■ | ■ | 18 | 9 | 4 | 5 | 9 |
| ■ | 7 | ■ | 32 | ■ | 3 | ■ | 19 | ■ | 9 | ■ | 27 |
| 21 | 19 | 33 | 5 | 2 | 5 | ■ | 22 | 5 | 12 | 14 | 9 |
| ■ | 2 | ■ | 12 | ■ | 15 | ■ | 5 | ■ | 1 | ■ | 4 |
| 15 | 9 | 16 | 9 | 4 | 19 | 9 | ■ | 14 | 26 | 22 | 9 |

| | |
|---|---|
| ა-9 | ს-2 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ- |
| დ- | ფ- |
| ე- | ქ-10 |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ-5 | შ- |
| ი- | ჩ-1 |
| კ-3 | ც- |
| ლ-22 | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ-4 | |



# ცოფი – როგორ ავიცილოთ იგი თავიდან?



***ცოფი ის დაავადებაა, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში წელს ცხოველებში 81 ცოფის შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადებაზე დეტალურად სასაუბროდ ვესტუმრეთ საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსს ხათუნა ზახაშვილს.***

– ცოფი – ეს დაავადება გვხვდება, როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში. იმ შემთხვევაში, თუ ცოფიანმა ცხოველმა დაკბინა ადამიანი, დიდი ალბათობით შეიძლება გადაედოს ადამიანებსაც. ცოფის საწინააღმდეგოდ არსებობს ვაქცინა, რომელიც უკეთდება ადამიანს ცოფიანი ცხოველის დაკბენის შემთხვევაში, ეს გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, რადგან დაავადება ადამიანის სიკვდილს იწვევს.

**– როგორ უნდა გავიგოთ, ცოფიანია თუ არა ცხოველი, რა სიმპტომები აქვს დაავადებას?**

– ცხოველი, რომელიც ცოფით არის დაავადებული, არაადეკვატური საქციელით გამოირჩევა. შინაურმა ძაღლმა შეიძლება პატრონსაც შეუტიოს, უჭირთ საკვებისა და წყლის მიღება.

რაც შეეხება ადამიანებს, დაკბენილი ადგილი წითლდება, იწყება ქავილი. შემდეგ ემართება შიშები წყლის, ჰაერის. თუ მკურნალობა დაგვიანებულია, ანუ ადამიანმა დროულად არ მიმართა ექიმს, შეიძლება ცოფმა სიკვდილი გამოიწვიოს. ეს უკურნებელი სენია. თუმცა, დაავადების მძიმე ფორმის დროსაც, ადამიანი ცნობიერებას ინარჩუნებს, აზროვნებას არ კარგავს, რეალურად აღიქვამს მოვლენებს. ამიტომ ცხოველის დაკბენისთანავე უნდა მოხდეს აცრა, რაც თავიდან აგვაცილებს შემდგომ გართულებებს.

**– ქალბატონო ხათუნა, თავიდან რომ ავიცილოთ ეს დაავადება ცხოველებში, რა ღონისძიება უნდა ჩავატაროთ?**

– ცხოველებშიც აუცილებელია იმუნიზაცია, ანუ აცრები. საერთოდ, ადამიანზე მეტად ცხოველებს სჭირდებათ იმუნიზაცია. განსაკუთრებით მეტი ყურადღება შინაურ ცხოველებს სწირდებათ. ზოგიერთ ადამიანს სახლში ჰყავს ძაღლები, მაგრამ მათ აცრებზე ნაკლებად ზრუნავენ, რაც დიდი შეცდომაა. ცხოველების აცრები გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე შემდგომ დაავადების მკურნალობა. სახლებში მყოფი ძაღლების 70 პროცენტი მაინც რომ აიცრეს, ჩვენ შევძლებთ ცოფის შეჩერებას. წელს ცხოველებში ცოფის 81 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც პატარა ციფრი არ გახლავთ. თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ადამიანებში დღემდე ცოფის შემთხვევები არ ყოფილა. წინა წლებში ამ დროისთვის სამი-ოთხი დაავადებული ადამიანი გვყავდა.

**– რომელი ცხოველებია ძირითადად ცოფის მატარებლები?**

– ჩვენთვის, ადამიანებისთვის, ყველაზე დიდ ხიფათს ძაღლები წარმოადგენენ, რადგან მათ ქუჩაში ყოველთვის შეიძლება გადაეყარო. რაც შეეხება მგლებს, ადამიანი იშვიათად თუ შეხვდება მათ. ამასთან, თუ ცხოველი ცოფით არის დაავადებული, მალე კვდება. ამიტომ რისკფაქტორს, ძირითადად, შინაური ცხოველები წარმოადგენენ. აქვე გეტყვით, რომ ცოფი ადამიანიდან ადამიანზე არ გადადის.

**– ვიდრე ექიმთან მივა ადამიანი, დაკბენის შემთხვევაში, რით შეუძლია დაიცვას თავი დროებით მაინც?**

– პირველ რიგში, ასეთ შემთხვევაში, ადამიანმა დაკბენილი ადგილი უნდა დაიბანოს სარეცხის საპნით და ბევრი წყლით. სხვა რაიმე საშუალების გამოყენება არ შეიძლება. ერთადერთი, რაც შეიძლება, სუფთა საფენის დადებაა, ესეც იმ შემთხვევაში, თუ ჭრილობა დიდია. ამის შემდეგ უნდა მიაკითხოს ექიმს და ის გადაწყვეტს, რა სახის მკურნალობა დაუნიშნოს. ვიმეორებ, სხვა საშუალებების თვითნებურად გამოყენება არარეკომენდებულია. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ დაავადების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალებაა, ძაღლების პატრონებმა აცრან საკუთარი ცხოველები. ამით ისინი საფრთხეს აცილებენ როგორც ოჯახის წევრებს, ასე შემთხვევით გამვლელებსაც.

**გია ბურდული**
551 71 27 07


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***

***მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**-ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელის კომპენსაციას?**

- დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით,

დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან

გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის, სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

* * *

**- მაინტერესებს „საჩუქრის“ თემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით.**

-კანონის „ საჯარო სამსახურის შესახებ“ მე- 5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქარი“ არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

მე-2 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

მე-3 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

ამავე კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქრად“ არ ჩაითვლება:

ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;

ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;

გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და

რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;

დ) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს;

ე) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ამავე კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ მოთხოვნებს ან/და გარკვეული მიზეზებით (ფოსტით მიღებული საჩუქარი, საჯაროდ გადაცემული საჩუქარი) შეუძლებელი იყო საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა, მაშინ ის ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მიღებული საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან

ზუსტი ღირებულება/ოდენობა, მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო აკრძალული საჩუქარი სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო სააგენტოს.

**მოგზაურთა კლუბი „მოვიაროთ საქართველო“ აგრძელებს მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა მხარესა და კუთხეში. ამჯერად ადიგენის მუნიციპალიტეტს ვეწვიეთ, რომელიც მდიდარია ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობებით.**

# ზარზმის მონასტერი



სოფელი ზარზმა ქვაბლიანის ხეობაში მდებარეობს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ქვაბლიანს მდინარე ძინძე ერთვის, რომელიც ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ იხსენიება. ეს არის ადგილი, სადაც შემთხვევით, გავლით ვერ მოხვდება ადამიანი, გამიზნულად უნდა წავიდეს, ხოლო — რატომ, ამ მცირე მონათხრობიდან შეიტყობთ.

მონასტრის დაარსების დროის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს — VIII საუკუნე და IX საუკუნე. მონასტერი ადრინდელი ფეოდალური ხანის სასულიერო მოღვაწეს, წარმოშობით კლარჯს, სერაპიონ ზარზმელს დაუარსებია, რომლის ცხოვრება აღწერილია ბასილი ზარზმელის თხზულებაში. მისთვის მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია ადგილობრივ მთავარს გიორგი ჩორჩანელს, რომელსაც ახალი მონასტრისთვის სოფლები და მამულები შეუწირავს.



სერაპიონ ზარზმელის ეკლესია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, ხუროთმოძღვარ გარბანელს აუშენებია, მეორე ეკლესია კი მიქაელის წინამძღვრობით დაუწყიათ და მომდევნო წინამძღვრის, პავლეს დროს დასრულებულა. ზარზმის ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV საუკუნის პირველ წლებში სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის დროს.

XVIII-XIX საუკუნეებში, მიტოვებული, მაჰმადიანი მოსახლეობით გარშემორტყმული ზარზმა თანდათან ინგრეოდა და ზიანდებოდა. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში არსებულ ზარზმას დღესაც, ფაქტობრივად, მრევლი არ ჰყავს, მაჰმადიანურ გარემოცვაშია მოქცეული, თუმცა მაინც მოქმედია...

ზარზმის მთელი ქონება, ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები, უპირველესად კი წმიდათაწმინდა ფერისცვალების ჭედური ხატი ზარზმისა, გურიაში, სოფელ შემოქმედში იქნა გახიზნული. ხატზე გამოსახულია ფეხზე მდგომი მაცხოვარი მაკურთხებელი მარჯვენით, წინასწარმეტყველები კი ვედრების პოზაში დგანან. ზარზმის გადარჩენილი განძი ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება. XVI-XVII საუკუნეებში სოფელ შემოქმედში თავი მოიყარა ზარზმის ძვირფასმა ნივთებმა...

სოფელ შემოქმედის ჯვარ-სატები და სხვა საეკლესიო ნივთები მრავლად იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადატანილ ქართულ საგანძურში...

ზარზმის მონასტრის ეზოში დგას ჯვარი, რომელსაც ცალი მხარე ჩამოტეხილი აქვს. ჯვარი ზარზმაში, უცნაურ ვითარებაში აღმოაჩინეს. XVIII ან XIX საუკუნეში სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი ფეხმძიმე ქალი ხედავდა სიზმარს, რომელიც, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ხილვა იყო — მას ეცხადებოდა ვიღაც და ეუბნებოდა, ჩემზე ნუ დადიხარო. ერთი და იგივე ხილვა რამდენჯერმე გამეორდა, მაგრამ ქალი მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ერთხელაც, ნათლად დაინახა ის ადგილი რომელსაც ხილვაში ხედავდა, საკუთარი სახლის ეზო. არ დაიზარეს, გათხარეს მიწა და ამოიღეს აღნიშნული ჯვარი. ვარაუდობენ, რომ ეს არის ის პირველი ჯვარი, რომელიც ეკლესიის გუმბათზე იდგა. ჯვარი XIX საუკუნიდან უკვე მონასტრის ეზოშია.

მონასტრის ეზოშია ბერთა საძვალეც. ყველას არ შეუძლია იხილოს ადამიანის თავის ქალებითა და ძვლებით სავსე სენაკი (საძვალე). მართლაც შთამბეჭდავი დასანახია მგრძნობიარე ადამიანისთვის ფერადი თავის ქალებითა და აკურატულად დაწყობილი ადამიანის კიდურებით სავსე ოთახი... როგორც ბერმონაზონმა აგვიხსნა, ეს ადგილი მიწით ყოფილა ამოვსებული და მათ გაუსუფთავებიათ მოგვიანებით. ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: რატომ არის ზოგი თავის ქალა თეთრი, ზოგი კი მოყვითალო ყავისფერი? იმ სასულიერო პირებს, რომლებიც მღვდელმსახურებით უფლისგან გამორჩეულნი არიან, სხვებისგან განსხვავებით, მათ თავის ქალაზე ჯვრის ფორმის ნაკერი აქვთ და ფერიც განსხვავებული აქვთ. როგორც დავთვალეთ, იქნებოდა 5-7 ასეთი თავის ქალა, თუმცა ეს მხოლოდ ნაწილია ძვლებისა, რადგან კომუნისტების პერიოდში ძვლების ნაწილი გატანილია, მდინარეს გაატანეს...

მონასტერშია უცნობი ბერის უხრწნელი სხეული, რომელიც IX-X საუკუნით თარიღდება. ის შემთხვევით აღმოაჩინეს გასული საუკუნის 90-იან წლებში აწყურის მხარეში, როდესაც რკინიგზა გაჰყავდათ. სხეულთან ერთად შენარჩუნებულია მისი შესამოსელიც.

საერთოდ, მართლმადიდებლობაში ამგვარი ფაქტები ცნობილია და უფლის განგებით ხდება, მაგრამ თურმე არსებობს მეორე უკიდურესობაც, როცა უფლისგან დაწყევლილ ადამიანს მიწა არ ღებულობს. ზარზმაში დასვენებული უხრწნელი სხეული დადასტურებულად ბერისაა...

თავდაპირველად ის მუზეუმში ყოფილა დაბრძანებული, შემდეგ კი მამა გიორგის ინიციატივით უწმინდესთან ჩაუბრძანებიათ. უწმინდესის ლოცვა-კურთხევა ყოფილა რომ სხეული არ დაეკრძალათ, ამგვარად არსებულისთვის მიეგოთ პატივი, ამიტომ 2000 წლიდან ზარზმის მონასტერშია დაბრძანებული...

იმ სენაკის მაღლა, სადაც უხრწნელი გვამია, მცირე ზომის ტაძარია რომლის კედელშიც გვირაბი გადის და მდინარეზე ჩადიოდა, თუმცა დროის მდინარებამ გამოანგრია და შესვლა ვერ ხერხდება... (განა, რა თანხაა მისი გაწმენდა-რესტავრაციისთვის საჭირო?)

ზარზმის მონასტრის სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში და ამ ტიპის ქართულ ნაგებობათა საუკეთესო ნიმუშია.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს დაიწყო ზარზმის ფერისცვალების ხატის ასლის შექმნა და ხატის ასლი 2009 წლის 10 ოქტომბერს ზარზმის მონასტერში დაბრძანდა...



ზარზმის ფერისცვალების ღვთისმშობლის ეკლესიაში იყო დაბრძანებული ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი, რომელიც ახალციხიდან ხარზე დაუკრავთ და იქ უნდა დავრძანებულიყო, სადაც ხარი გაჩერდებოდა. აი, ასე მოხვდა ხატი მონასტერში...

განა რამდენჯერ უნდა დარეკოს ზარზმის ზარმა, რომ გაიღვიძოს საქართველომ...


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს.



იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.**
**მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**